# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№049 (12728) 2 მარტი ორშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტრიგა

დინამო ვიტ ჯორჯიას უკვე ქულით ჩამორჩება

საქართველოს ჩემპიონატი. XXI ტური » 2-4



# 55:11

## ესპანეთი მოვიგეთ, ველოდებით რუმინეთს

ერთა თასი » 11


პე ეს პე
ჩემი ოჯახის აფთიაქია








## კალაძე დიდი ხნით დაგვაკლდა

ქართველი ლეგიონი » 5



## ატლეტიკომ პრიმერას ცეცხლი წაუკიდა

რეალი ბარსას კვალში მისდევს

მსოფლიო ფეხბურთი » 6-10

# საქართველოს XX ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
### XXI ტურის წინათქმა

28.02. გორი. თ. ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია-სიონი**

**1:1**

0:1 სანიკიძე (16-პენ), 1:1 ლომაია (27)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ხურციალავა, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ბეჭვაია - დათუნაიშვილი, რაზმაძე, გ. მელქაძე, კლიმიაშვილი (69. კვალინიძე) - კვარაცხელია, ბერიაშვილი (60. ზაქრაძე).

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, როსტიაშვილი, ყველაშვილი, მაისაშვილი*

სიონი: ჭანტურია - ორბელაძე, სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე - შალამბერიძე (90. კაკაშვილი), დიდავა, ზ. ჭელიძე, მიკუჩაძე (83. შენგელია), სანიკიძე - რ. გოცირიძე (65. ბობოხიძე).

*სათადარიგოები: ბოლიაშვილი, დავითაშვილი, ალადაშვილი, ბაჯელიძე*

გამოუყენებელი პენალტი: რაზმაძე (64)

გაფრთხილება: ბედიაშვილი (15), მიკუჩაძე (41), ი. ვაშაკიძე (56), ზ. ჭელიძე (77), სანიკიძე (85), ქემოკლიძე (90)

არბიტრი: მ. ურუშაძე

# გაზაფხული და ინტრიგა

ბოლოსწინა ტურში ნათამაშები ყაიმისა და გამოტოვებულ შეხვედრაში „ზესტაფონთან" თბილისის „დინამოს" გამარჯვების შემდეგ, ლიდერს, შეიძლება ითქვას, უახლოესი მდევრის სუნთქვა ესმოდა. ამიტომაც იყო, რომ ბოლნისელებთან მატჩის წინ „ვიტ ჯორჯიას" დამრიგებელი **რამაზ მუმლაძე** სიფრთხილეზე საუბრობდა. „ვეტერინართათვის" მორიგი ნაფორხილება სატურნირო ცხრილში სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავდა. ასეც მოხდა. მართალია, ბატონმა რამაზმა ნამატჩევს აღნიშნა, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავო, მაგრამ ფაქტია - გაზაფხულთან ერთად ჩემპიონობისთვის ბრძოლას გვარიანი ინტრიგაც ეწვია.

წვიმისგან არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნილ გორის არენაზე თავიდანვე ჭირდა კომბინაციური თამაში, გამოზომილი გადაცემები თუ ისედაც იშვიათი ინდივიდუალური გარღვევები. ცხადია, მოულოდნელი არ იყო, რომ „ვიტ ჯორჯია" პირველივე წუთიდან შეტევებზე ზრუნვას შეუდგა. თავის მხრივ, „სიონმა" აქცენტი უკანა ხაზის გამაგრებაზე გააკეთა, ეულ ფორვარდად კი **რევაზ გოცირიძე** იყო გამწესებული. მართალია, 65 წუთის განმავლობაში მან დიდი თავსატეხი ვერ გაუჩინა მეტოქის მცველებს, მაგრამ ფაქტია - სტუმართა ყველაზე ღირებული სახიფათო მომენტი სწორედ მისი დიდი დამსახურება იყო. მე-16 წუთზე გოცირიძემ ბოლომდე იბრძოლა, **ბედიაშვილი** კი ჯერ მისთვის ცდილობდა ხელის შეშლას, მერე კი **მიკუჩაძესთან** შეხლისას დაარღვია წესები და 11-მეტრიანი დაინიშნა. **სანიკიძემ** უშეცდომოდ დაარტყა და - 0:1.

ცხადია, მუმლაძის გუნდის შეტევები უფრო მასირებული გახდა. თუ თავდაპირველად მათ თავდამსხმელთა მისამართით ჩაწოდებები ძირითადად ფლანგებიდან ხდებოდა, ამის მერე მოედნის სიღრმიდანაც იმატა დაწოლამ. პირველ ტაიმში არაერთი ასეთი მცდელობა ჰქონდა **გიორგი მელქაძეს**, მან რამდენჯერმე შორი დისტანციიდანაც მოსინჯა **ჭანტურიას** მზადყოფნა, თუმცა ამაოდ, მაგრამ ზოგადად მთელი მატჩის განმავლობაში მელქაძის გარჯა მაინც ქების ღირსია.

21-ე წუთზე **ბერიაშვილს** შეეძლო გატანა, მაგრამ დარტყმულს სიზუსტე დააკლდა. ცოტა ხანში მასპინძელთა მორიგი შეტევის განსამუხტად „სიონის" მცველებმა დიდი ჯაფა გასწიეს, 27-ე წუთზე კი ეს ველარ შეძლეს და ვიდრე საკუთარი საჯარიმოდან ბურთს მოიცილებდნენ, **დავით ლომაიამ** ის ბადეში გაგზავნა - 1:1.

უნდა ითქვას, რომ „სიონი" არ დაბნეულა, მიუხედავად იმისა, რომ ვიტელებს შეტევებისთვის ჟინი არ დაუკლიათ. ბოლნისელთაგან განსაკუთრებით კარგად **დიდავა** ახერხებდა მასპინძელთა იერიშების ჩაშლას, თუმცა ჭირდა ამის შემდგომი პროცედურა - ბურთის მოპოვების შემდეგ მოწინააღმდეგის ნახევარზე გადასვლა. შესვენებამდე ორივე მხრიდან სიმწვავემ იკლო, მხოლოდ ერთხელ იყო, **ბერიაშვილი** მეურვეს რომ დაუსხლტა, კარის სიახლოვეს მკერდით ჩამოიღო ბურთი, მაგრამ სველ მოედანზე თავი ველარ შეიმაგრა და წაიქცა, არადა, ხელსაყრელი სიტუაცია იყო...



ლომაიამ (მარცხნივ) ანგარიში გაათანაბრა, რაზმაძემ კი პენალტი ვერ გაიტანა

მეორე ნახევარიც თბილისელების ტერიტორიული უპირატესობის ფონზე წარიმართა. ჭანტურიას კართან ხიფათმაც იმატა. გამორჩეული მომენტი იყო 62-ე წუთზე, როცა მელქაძის პასის შემდეგ კართან ორიოდ მეტრში მყოფმა **კვარაცხელიამ** ბურთი მიზანში ვერ მოარტყა. ხუთ წუთში კვლავ კვარაცხელია აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში. ის საჯარიმოს ხაზთან წააქციეს, ოღონდ, ხაზის შიგნით თუ გარეთ - ეს კამათის საგნად იქცა. ცხადია, სტუმრები მიიჩნევდნენ, რომ წესების დარღვევა საჯარიმოს გარეთ მოხდა, მასპინძლები კი პირიქით, 100-პროცენტიანი პენალტი იყოო. საბოლოოდ, არბიტრმა ხელი 11-მეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა, **ლუკა რაზმაძემ** კი, რომელიც ამ დღესაც ჩვეული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა, ესოდენ საჭირო მომენტში ბურთი ძელს მოარტყა.

ეს კი ერთობ მოუხდა „სიონს". **ოთარ კორღალიძის** შეგირდებმა მეტი თავდაჯერება იგრძნეს. „ვიტ ჯორჯია" კვლავინდებურად კი უტევდა, მაგრამ სტუმართა დაცვითი ზღუდეების გარღვევა სულ უფრო უჭირდა. მალე ბოლნისელებმა კონტრშეტევებსაც მოუხშირეს, ხოლო თამაში, ისევ და ისევ მათი დამსახურებით, უფრო ხისტი გახდა. ამის გამო არბიტრს ყვითელი ბარათების ჩამორიგება მოუხდა.

უნდა აღვნიშნოთ მუმლაძის მიერ განხორციელებული ორივე შეცვლა (**ზაქრაძე, კვალინიძე**), რასაც მასპინძელთა საგრძნობი გააქტიურება მოჰყვა... თუმცა მატჩის მიწურულს, შეტევაში გართულებს, **შალამბერიძის** ფლანგური გარღვევა გაეპარათ. შალამბერიძემ კარგ პოზიციაში მყოფ **ბობოხიძეს** ჩააწოდა, თუმცა ამ უკანასკნელს მცველებმა დაასწრეს. 89-ე წუთზე კი **ზაქრაძის** თავურს ჭანტურია ადგილზე დახვდა. ბოლოს, კორღალიძემ გარკვეული დრო შეცვლებითაც მოიგო და თამაში ფრემდე მიიყვანა.

**მატჩის შემდეგ**

**რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია):** „ნაწვიმარ მოედანზე შეტევების განხორციელება გვიჭირდა, რამაც დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ დაგეგმილი სამი ქულა ვერ მოვიპოვეთ. ბუნებრივია, ფრით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ, ჩემპიონატი გრძელდება და ჩვენც ვაგრძელებთ ბრძოლას ოქროს მედლებისთვის".

**ოთარ კორღალიძე (სიონი):** „ძალიან დაძაბული თამაში იყო. ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, არ წაგვეგო და გარჯა დაგვიფასდა კიდეც. მართალია, მეტოქე ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ჩვენს კართან 100-პროცენტიანი საგოლე მომენტი, თუ არ ჩავთვლით პენალტს, არ შეუქმნია, შესაბამისად, ფრე ლოგიკურ შედეგად მიმაჩნია".

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

01.03. თბილისი. ეროვნული. 200 მაყურებელი

**დინამო-მგლები**

**2:1**

1:0 მერებაშვილი (64. ნერგაძის პასით), 1:1 რ. ონიანი (66), 2:1 ჯუისი (74. გველესიანის პასით).

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ხმალაძე - ტომიჩი (61. გველესიანი), დილმელაშვილი, ნერგაძე, კოშკაძე - გ. მერებაშვილი, სპასოევიჩი (67. ჯუისი).

*სათადარიგოები: ლორია, ნემსაძე, ქანთარია, ლომია, გეთიაშვილი.*

მგლები: სომხიშვილი - ჭითანავა (81. ჯოჯუა), აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი - გუჩუა (69. ინჯგია) - გულორდავა, ა. ბაჯელიძე, გ. თოდუა, ქირია (78. ხურციძე) - ჭედია.

*სათადარიგოები: ქალდანი, ხუხია, ბაკარანძე, ყიშკარიანი.*

გაფრთხილება: გუჩუა (12), კრშკო (33), ხმალაძე (65)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# იღბლიანი შეცვლები

...მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი **რაინერ ცობელი** უკმაყოფილებას არ მალავდა: რაც „დინამოში" ვარ, ჩემს გუნდს ასე ცუდად არ უთამაშიაო!..

აბსოლუტურად მართალს ბრძანებდა მოქმედი ჩემპიონის გერმანელი თავკაცი: „დინამოს" აშკარად გაუმართლა და ერთობ სოლიდურად მოასპარეზე მეტოქესთან უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა. შესაძლოა, „დინამოს" ფეხბურთელები გადაღლილებიც იყვნენ — ამ შეხვედრამდე სამი დღით ადრე ხომ ურთულესი მატჩი ჰქონდათ „ზესტაფონთან"; არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიური ფაქტორიც: გამარჯვების შემთხვევაში ხომ „დინამო" ერთ ქულამდე შეამცირებდა ჩამორჩენას ერთპიროვნულ ლიდერ „ვიტ ჯორჯიასთან". მასპინძელთა უსახური თამაში ვინმემ საკადრო პრობლემებითაც შეიძლება გაამართლოს — სხვადასხვა მიზეზის გამო „დინამოს" შემადგენლობაში გუშინ ოთხი ფეხბურთელი (**მათე ვაწაძე, შოთა კაშია, ლევან კაკუბავა, მარკო ჩარასი**) ვერ ვიხილეთ, წინა ტურში ძირითადში რომ იყვნენ. თუმცა, „დინამოს" არადამაჯერებელ ასპარეზობას, ჩვენი აზრით, ზემოთ დასახელებული მიზეზები ვერ გაამართლებს; მაგრამ, აქვე, უმთავრესსაც ნუ დავივიწყებთ: გუნდმა ხომ სასურველ შედეგს მიაღწია!

ახლა კი უშუალოდ გუშინდელ მატჩზე. საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი რაინერ ცობელს თამამი როტაციის საშუალებას აძლევს: **ლევან ხმალაძე** ამჯერად დაცვის მარცხენა ფლანგზე ვიხილეთ, **გიორგი ნერგაძე** „საყრდენად", ხოლო ორივე ჩერნოგორიელი (**დანილო ტომიჩი, ილია სპასოევიჩი**) ამჯერად ძირითადში გამოჩნდნენ. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით: „ზესტაფონთან" „დუბლის" ავტორი სპასოევიჩი გუშინ საერთოდ შეუმჩნეველი იყო; ერთ ეპიზოდში კი უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გაანიავა.

პირველი ტაიმი უინტერესო გამოდგა: სტუმრები ერთობ ორგანიზებულად იცავდნენ თავს, „დინამო" კი ეპიზოდურად თუ ცდილობდა საიმედოდ მოთამაშე **გიორგი სომხიშვილის** შეწუხებას. სტუმართა მეკარემ პირველ ტაიმში ორჯერ იყოჩაღა, როცა ჯერ **გიორგი მერებაშვილის** საჯარიმოდან დარტყმული ბურთი მოიგერია, მერე კი ტომიჩს არ დაანება გოლის გატანა. კიდევ ერთი, მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი ეპიზოდი „დინამოს" მატჩის დასაწყისში ჰქონდა, როცა გურამ კაშიას შორეული პასის მერე **ალექსანდრე კოშკაძე** მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა.

აი, სტუმრები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ; **ბესიკ შეროზიამ** კვლავაც ერთობ საინტერესო ტაქტიკური განლაგება (4-1-4-1) აირჩია. „მგლებს" შეტევის წინა ხაზზე ახალწვეული **გიორგი ჭედია** ჰყავდათ და უნდა ითქვას, რომ ბელარუსიდან საქართველოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა ფორვარდმა თავისი ხშირი მანევრებით მასპინძელთა დაცვას არაერთი პრობლემა შეუქმნა. ჩვეულ დონეზე გამოიყურებოდნენ „მგლების" ლიდერებიც — **ვალტერ გუჩუა**, როგორც ყოველთვის ორთაბრძოლებს არ ერიდებოდა. უაღრესად შრომატევადი სამუშაო შეასრულა ამპლუაშეცვლილმა **გია თოდუამაც** — სტუმართა საუკეთესო ბომბარდირი ამჯერად ნახევარდაცვის ცენტრში ვიხილეთ.

მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს: ჯერ, მოულოდნელმა გიორგი ჭედიამ სცადა მახვილი კუთხიდან გოლის გატანა, მერე კი სპასოევიჩმა ვერ მიუსწრო ხმალაძის გამჭოლ გადაცემას. ამის შემდეგ თამაში „დაწყნარდა" და ძირითადი ბრძოლა მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. აი, მესამოცე წუთზე კი, ცოტაც და წინა მატჩის მსგავსი სიტუაცია განმეორდებოდა: ტომიჩის პასის მერე სპასოევიჩი სომხიშვილთან პირისპირ დარჩა; მანძილი ფორვარდსა და მეკარეს შორის, ალბათ, ერთი-ორი მეტრი თუ იქნებოდა, მაგრამ...

ცობელმა, ვინც მანამდეც ენერგიულად და ემოციურად ცდილობდა თავისი ფეხბურთელების გამხნევებას, ცვლილებით სცადა თამაშის შინაარსის შეცვლა. ჰოდა, ისევე როგორც „ზესტაფონთან", მწვრთნელს ამ შემთხვევაშიც იღბლიანი შეცვლები გამოუვიდა: **ოლეგ გველესიანმა** მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში ბურთი მაღალი ტრაექტორიით ჩააწოდა და **დონალდ ჯუისმა** ეფექტური თავური დარტყმით გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა! ჰო, ეს ამ შეხვედრის მესამე და უკანასკნელი გოლი იყო; მანამდე კი მეტოქეებმა ორწუთიან მონაკვეთში დაცვაში უხეშზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი შეცდომები დაუშვეს და ორი გოლიც ვნახეთ. ჯერ გიორგი ნერგაძემ იბრძოლა ბოლომდე და სტუმართა მცველს ბურთი მისსავე საჯარიმოში წაართვა („მგლების" ფეხბურთელები მიიჩნევდნენ, რომ ამ ეპიზოდში ჯარიმა იყო), მერე კი ზუსტი პასით გიორგი მერებაშვილი მოძებნა; მეოცე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბადირმა კი ეფექტური დარტყმით სომხიშვილს შანსი არ დაუტოვა. ამის მერე კი ვალტერ გუჩუას „სტანდარტულს" მასპინძელთა მცველების სრული უყურადღებობა მოჰყვა და **როინ ონიანმა** ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. სწორედ ამ გოლის მერე შემოვიდა მოედანზე ჯუისი და საკუთარი გუნდისთვის უნიშვნელოვანესი ბურთი გაიტანა!

მატჩის დარჩენილ დროში ბესიკ შეროზია სამფორვარდიან განლაგებაზეც გადავიდა, მაგრამ ოვონოს კართან სტუმრებს მეტი ხიფათი აღარ შეუქმნიათ. აი, „დინამოს" კი ორი, მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი ჰქონდა ბოლო წუთებზე, მაგრამ მერებაშვილისა და ჯუისის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. აი ასე, არცთუ დამაჯერებელი თამაშის ფონზე მოქმედმა ჩემპიონმა უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა და სატურნირო ცხრილს ინტრიგა შემატა...

**მატჩის შემდეგ**

**ბესიკ შეროზია (მგლები):** „დინამო" ჩინებულ ფორმაში იმყოფება და ვიცოდით, თუ როგორი რთული თამაში გველოდა. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ თავი არ შეგვირცხვენია და ძლიერ მეტოქეს სწორი ტაქტიკა დავუპირისპირეთ. ქულის აღებაც შეგვეძლო, მაგრამ დაცვაში ბავშვური შეცდომების გამო პირველი გოლი არაფრისგან მივიღეთ".

**რაინერ ცობელი (დინამო):** „შედეგით, რაღა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, აი, თამაშზე კი ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. ალბათ, ჩემს ფეხბურთელებს ეგონათ, რომ შეხვედრას იოლად მოიგებდნენ...

მიზეზი შესაძლოა ბევრი იყოს, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია, თუ როგორ შეიძლება ფეხბურთელებმა ამდენი შეცდომა დაუშვან. მეტსაც ვიტყვი — პირველ ტაიმში ყველა ორთაბრძოლა წავაგეთ! საბედნიეროდ, შეცვლებში გამიმართლა და ასე საჭირო სამი ქულა მოვიპოვეთ...

**გია ტუხაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

28.02. რუსთავი. ფოლადი.
700 მაყურებელი

**ოლიმპი-ლოკომოტივი 0:0**

ოლიმპი: ალავიძე - თ. ლონლაძე, მაჭავარიანი, გ. ონიანი, ჩიკვილაძე (82. გ. რეხვიაშვილი) - სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, ფიფია (46. გ. ნოდ. ჭელიძე) - გ. ჩხეტიანი (65. დეკანოსიძე), მეგრელაძე.

სათადარიგოები: სტურუა, კაკულია, გორდეზიანი

ლოკომოტივი: ლომაია - ფოფხაძე, გუშარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა - დ. ჩაგელიშვილი (62. ბებუა), მახარაძე (90. გ. სოსელია), ჩირიკაშვილი, დიაკვნიშვილი, ი. გილაური - შ. კვანტალიანი (87. გ. მოდებაძე).

სათადარიგოები: ბელეური, კობიაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, მებალიშვილი.

გაფრთხილება: დიაკვნიშვილი (28), მეგრელაძე (33), გ. ონიანი (89)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი



ზურაბ ჯაფარიძე მსაჯობამ აღაშფოთა

# ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო...

## არდანიშნული პენალტი, ნულები და ქულები

„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! არბიტრი დღეს კიდევ ერთხელ მოგვექცა უსამართლოდ. წინა ტურში, ცხინვალის“სპარტაკთან“, 100-პროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნეს. დღესაც ანალოგიური რამ განმეორდა. მეგრელაძე მეკარემ აშკარად წააქცია და მაშინ, როცა არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილს პენალტი უნდა დაენიშნა, მეგრელაძე სიმულაციისთვის გააფრთხილა. აღსანიშნავია ისიც, რომ გვერდითმა მსაჯმა გურამ ჩიგოგიძემ არბიტრს ანიშნა, წესების დარღვევა იყოო, მაგრამ კრიჭაშვილი ლაინსმენს რატომღაც არ დაეთანხმა. ეს მომენტი ვიდეოფირზეც ვნახეთ და ვისაც დააინტერესებს, მასაც ვაჩვენებთ... აქამდე ხმას არ ვიღებდით, ვითმენდით, გვეგონა, მსაჯობა გამოსწორდებოდა... წელს უკვე 4 ქულა დაგვაკარგვინეს. მოთმინების ფიალა უკვე სავსეა. კლუბის მესვეურები ამაზე კიდევ ერთხელ ვიმსჯელებთ და ვნახოთ, შესაძლოა, რადიკალური ზომებიც მივიღოთ“, - აღშფოთებული იყო რუსთავის „ოლიმპის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ზურაბ ჯაფარიძე.**

ისე კი, პენალტი მართლაც ჩანდა. **გიორგი ლომაიამ** კარი დატოვა და **გია მეგრელაძე** ხელით შეაჩერა. შესვენებისას საკამათო ეპიზოდის ვიდეოფირზე ნახვის საშუალება გვქონდა - არავინ დაეჭვებულა, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ 11-მეტრიანი ნამდვილად იყო...

რაც შეეხება თამაშს. შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. რუსთაველებმა იმდენი საგოლე მომენტი შექმნეს, ბარე ორ-სამ მატჩს რომ ეყოფოდა, მაგრამ გოლის გატანა ვერაფრით მოახერხეს. „ლოკომოტივის“ თავკაცებმა, ასე ვთქვათ, საგარეო ტაქტიკა აირჩიეს - მოწინააღმდეგეს სივრცე დაუთმეს, თავიანთ ნახევარზე შეიტყუეს, კონტრშეტევებს მიჰყვეს ხელი. თუ შედეგით ვიმსჯელებთ, აქვე უნდა დავასკვნათ, რომ **კიკნაძე-ზამთარაძის** ჩანაფიქრმა გაამართლა.

„ლოკომოტივი“ ორი ახალი მცველით გავიდა მოედანზე - ლაპარაკია ერთ დროს საქართველოს ნაკრების წევრ **ზაალ ელიავასა** და კიშინიოვის „ზიმბრუდან“ დაბრუნებულ **მამუკა ლომიძეზე.** მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად „ოლიმპის“ ფორვარდ მეგრელაძესა და კაპიტან **ბაბუნაშვილს** დავასახელებდით. ორივემ დიდი სამუშაო გასწია, სტუმართა მხრიდან კი საუკეთესო იყო ნაკრების მეკარე ლომაია - რომ არა მისი ოსტატობა, „ლოკომოტივი“ რუსთავში „მშრალად“ ვერ გადარჩებოდა.

მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ. მე-7 წუთზე **სეთურიძის** დარტყმული ლომაიამ მოიგერია. ერთ წუთში მეგრელაძემ სტუმართა კარის ძელი შეაზანზარა. მე-20 წუთზე **ბაბუნაშვილი-ჩხეტიანი-მეგრელაძის** კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა, მაგრამ ბურთს ელიავა გადაეფარა. მერე მეგრელაძის პასი **ჩხეტიანმა** ვერ გამოიყენა. ტაიმის ბოლოს იმავე ჩხეტიანის დარტყმული მიზანს მცირედით ასცდა. პირველ ნახევარში სხვა დასამახსოვრებელი მომენტი, გარდა არდანიშნული პენალტისა, არ ყოფილა.

„ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა **ვარლამ კილასონიამ** მეორე ტაიმში შემტევი პოტენციალი გააძლიერა. ჯერ **გიორგი ჭელიძე** ჩართო თამაშში, მერე კი დაღლილი ჩხეტიანი **დეკანოსიძით** შეცვალა. რუსთაველებმა მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერეს, მაგრამ თბილისელები თავს საიმედოდ იცავდნენ და ოპონენტს კონტრშეტევებით „კბენდნენ“.

ამასობაში ლომაიას საქმე არ მოჰკლებია. მან ჯერ **ჩიკვილაძეს** აუღო, მერე კი ჭელიძის დარტყმული კუთხურზე მოიგერია. 65-ე წუთზე ელიავამ კარგად მოძებნა **კვანტალიანი,** მაგრამ ამ უკანასკნელს **მაჭავარიანმა** დაასწრო და ვითარება განმუხტა. 68-ე წუთზე, იმავე მაჭავარიანის ჩაწოდებისას, ჩიკვილაძის თავური მცირედით ასცდა კარს, ხოლო მოგვიანებით მეგრელაძეს უმტყუნა მიზანმა. სამ წუთში კი ლომაიამ მეგრელაძის მიერ ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმა აიღო. 82-ეზე **დიაკვნიშვილმა** და შეცვლაზე შესულმა **ბებუამ** ააფორიაქეს მასპინძლები, მაგრამ უშედეგოდ. „ლოკო“ გადარჩა მოგვიანებითაც, როცა ბაბუნაშვილმა გამჭოლი პასით მეგრელაძე მოძებნა... 90-ე წუთზე კი **ლონლაძის** პასი მეგრელაძემ მიიღო და სახიფათოდაც დაარტყა, მაგრამ სტუმრები ისევ ლომაიამ იხსნა. ზედ საფინალო სასტვენის წინ კი, დეკანოსიძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმისას, ლომაიამ და მცველმა **გუშარაშვილმა** ერთობლივი ძალებით განმუხტეს სიტუაცია.

ამ ფრით „ოლიმპმა“ კიდევ 2 ქულა დაკარგა და მოწინავე სამეულს დასცილდა - დროებით თუ სამუდამოდ, ამას მომდევნო ტურები გვიჩვენებს.

**დავით ცაბაძე**
რუსთავი-თბილისი

ნამატჩევს...

# ყველა ამბობს, ასპროცენტიანი პენალტი იყოო...

რუსთავის „ოლიმპმა“ შინ თბილისის „ლოკომოტივის“ დამარცხება ვერ შეძლო. შეხვედრის 33-ე წუთზე მოხდა ფაქტი, რომელსაც მასპინძელთა განრისხება მოჰყვა. მეკარესთან პირისპირ გასული „ოლიმპის“ თავდამსხმელი გია მეგრელაძე გიორგი ლომაიასთან ორთაბრძოლაში წაიქცა. რუსთაველები პენალტს ითხოვდნენ, არბიტრმა ალექსანდრე კრიჭაშვილმა კი ფორვარდის ქმედება სიმულაციად ჩათვალა და ყვითელი ბარათი უჩვენა. მეგრელაძესთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ:



გია მეგრელაძე

- თამაშის შემდეგ ეს ეპიზოდი ბევრმა ნახა. ყველა ამბობს, რომ 100-პროცენტიანი პენალტი იყო. ვერ გავიგე - ეს თუ პენალტი არ არის, მაშინ რაზე ნიშნავენ საერთოდ 11-მეტრიანს? რას ვიზამთ, მსაჯმა ასე ჩათვალა საჭიროდ. არადა, წინა ტურში „სპარტაკთანაც“ ასე მოხდა - ხუბუას ნაქცევისთვის პენალტი არ მოგვცეს.

**- ფეხბურთში სიმულაციებიც ხშირია და იქნებ არბიტრმა ამ ეპიზოდშიც ასე მიიჩნია...**

- მესმის, რომ ასეც შეიძლებოდა მომხდარიყო. პირველი ტაიმის შემდეგ კრიჭაშვილმა მითხრა, პენალტზე შეგნებულად წახვედიო. მაგრამ პენალტი ხომ ნაღდი იყო?! არანაირი სიმულაცია არ ყოფილა. რა გაეწყობა, შეცდომა ყველას მოსდის...

**- ეტყობა, მოედნიდან გასული მსაჯების შეცდომებზე ნაკლებად ბრაზობ, თამაშის დროს კი ასე არ არის...**

- რა ვქნა, ასეთი რაღაცების გამო ემოციური ვხდები...

**- „ლოკომოტივთან“ საჭირო ქულები დაკარგეთ...**

- სეზონი ისე მიდის, ჩვენ კი არა, ქულებს ყველა კარგავს. შემდეგ ტურში „ზესტაფონს“ სახლში თუ მოვუგეთ, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

**- შენი აზრით, ეს რეალურია?**

- უეჭველად მოვუგებთ-მეთქი, ამას ვერც ერთ გუნდზე ვერ ვიტყვი, მაგრამ აუცილებლად ვეცდებით და ვნახოთ, რა გამოვა. პირველ წრეში დაკარგული ქულები უნდა ავინაზღაუროთ. გუნდი სულ უფრო უკეთ გამოიყურება, უფრო შევთამაშდით, ამასაც ხომ დრო სჭირდებოდა, თან ჯერ სეზონი კიდევ წინაა - 11 მატჩი და თასის ნახევარფინალი გვაქვს სათამაშო.

**- ჩემპიონატში უფრო მეტი შანსი გაქვთ თუ თასზე?**

- სამეულში მოხვედრა უფრო რეალური მგონია.

**- კარგად გვახსოვს, როგორ თამაშობდი ქუთაისის „ტორპედოში“, რომელიც ვიცე-ჩემპიონი გახდა. მაშინდელ და დღევანდელ მეგრელაძეს შორის დიდი განსხვავებაა...**

- მაშინ მართლა მაგრად ვიყავი, ახლა წლებიც მომემატა, ფორმაშიც არ ვარ, მაგრამ ჩემსას ვცდილობ. გუნდიც ბოლომდე ვერ ამოძრავდა, „ლოკომოტივთან“ პირველ ტაიმში უფრო კარგად ვითამაშეთ, ვიდრე მეორეში. ვერ ვიგებდით და ბოლოსკენ ავნერვიულდით. ალბათ, მომენტები ამიტომ ვერ გამოვიყენეთ. სხვათა შორის, „ლოკომოტივი“ მომეწონა, საკმაოდ ძლიერი გუნდია. ლიდერების წასვლა კი დაეტყო, მაგრამ ნიჭიერი ბიჭები აუყვანიათ. დარჩენილებიც კარგად თამაშობენ - გუშარაშვილი, ჩირიკაშვილი, კვანტალიანი...

**- ძველ ფეხბურთელებს საქართველოს ჩემპიონატში თამაშის ხალისი არ გეტყობათ...**

- ხალისი და კარგი ცხოვრება სადაა? ქუთაისს პირველ ლიგაში ჰყავს გუნდი და „ტორპედოს“ ყველა შეხვედრას მაინც ხუთი ათასი მაყურებელი ესწრება. მე კი უმაღლეს ლიგაში ვთამაშობ და ამის ნახევარიც მენატრება. ცარიელი ტრიბუნები არავის სიამოვნებს. თქვენ, ჟურნალისტებს გსიამოვნებთ? ფეხბურთელებიც ასე ვართ. „ლოკომოტივთან“ წვიმა რომ არ ყოფილიყო, მეტი მაყურებელი მოვიდოდა და უკეთესი ფეხბურთიც გამოგვივიდოდა. ხალხი მაინც სხვა განწყობას ქმნის, ცარიელი ტრიბუნების წინ კი ასეთი განწყობა ვერ გექნება. სამწუხაროდ, დღეს არ გვაქვს მაღალი დონის ჩემპიონატი და ხალხიც ამიტომ არ დადის სტადიონზე.

**- მართალია, რომ მერაბ მეგრელაძე რუსეთში აპირებდა მუშაობას?**

- თუ გახსოვთ, ადრე ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცში“ თამაშობდა, რომელიც ახლა „სიბირის“ სახელით თამაშობს. მწვრთნელობას აპირებდა, მაგრამ არ გამოვიდა ეს საქმე და წამოვიდა.

**- უცხოეთში წასვლაზე ხელი ჩაიქნიე?**

- არა, რატომ? ჯერ თასი ავიღოთ და მერე სიამოვნებით წავიდოდი. ისე კი, კარიერის ბოლოს ქუთაისის „ტორპედოში“ დავბრუნდებოდი...

**მერაბ მამულაშვილი**

01.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.
100 მაყურებელი

**მესხეთი-გაგრა 2:0**

1:0 სამადაშვილი (79. მიქაბერიძის პასით), 2:0 სამადაშვილი (88. მიქაბერიძის პასით)

მესხეთი: ბათიაშვილი - ჩხეტიანი, ფარულავა, ლ. მერებაშვილი, ლეკიშვილი - ვაშაკიძე (67. პ. ხორგუაშვილი), თედიაშვილი, გაბიდაური, ვ. ხორგუაშვილი - ქებაძე (67. სამადაშვილი), სუდაძე (46. მიქაბერიძე).

სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ბეჟანიძე, ქოჩორაშვილი, გვირჯიშვილი

გაგრა: თევდორაძე - კუპრეიშვილი, ტყეშელაშვილი, კოზლენკო, გაბუნია - გაბედავა, ცხადაია, ჩარგეიშვილი, შარიქაძე - აბაშიძე (80. ჭაავა), ძაგანია.

სათადარიგოები: ხომერიკი, ქაჯაია, ჯარმელაშვილი, გედენიძე

გაფრთხილება: კოზლენკო (54), ცხადაია (56), გაბიდაური (58), ჩხეტიანი (60), მიქაბერიძე (90)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

# მესხეთმა ნავსი გატეხა

მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა „ბორჯომმა“ უშუალო კონკურენტ ცხინვალის „სპარტაკთან“ წააგო, საკვირაო მატჩს მხოლოდ 100 მაყურებელი დაესწრო. „მესხეთი“-„გაგრას“ თამაშს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გასარკვევად, თუ ვინ იქნებოდა ცხრილის ბოლო სამეულში. აქვე უნდა ითქვას, რომ „მესხეთს“ რამდენიმე თვეა, ჩავარდნა აქვს. თავად განსაჯეთ - „ლოკომოტივთან“ შარშანდელი მოგების შემდეგ შვიდმა ტურმა ისე განვლო, ახალციხელებმა ერთი თამაშიც ვერ მოიგეს, ამ წელს კი გოლიც არ ჰქონდათ გატანილი.

თავისთავად ეს ფაქტი თავდასხმის უგერგილობაზე მიუთითებს. ალბათ, სწორედ ამის გამო იყო, რომ **კობა თედიაშვილმა** სასტარტო შემადგენლობაში აღარ დააყენა **სამადაშვილი,** რომელსაც მწვრთნელის გადაწყვეტილება სასიკეთოდ წაადგა...

უნდა ითქვას, რომ ამ დღეს „მესხეთმა“ წინა მატჩებთან შედარებით უკეთ ითამაშა, რაც უპირველეს ყოვლისა ნახევარდაცვის გააზრებულმა თამაშმა განაპირობა. აქ თავისი სიტყვა თქვა ყოფილმა ანორთოსისელმა **გიორგი გაბიდაურმა,** რომელმაც არაეფექტურად, მაგრამ სასარგებლოდ კი ითამაშა. თუმცა პირველ რიგში უნდა გამოვყოთ **ლევან თედიაშვილი,** რომელმაც თავისი საუკეთესო თამაში ჩაატარა. ის, რომ დაცვის ცენტრში საჰაერო სივრცეები გადაკეტა, აღარავის უკვირს, მაგრამ გუშინ ის ყველგან იყო - აზღვევდა თანაგუნდელებს, რამდენჯერმე ეფექტურად ჩაჭრა გადაცემა, ხოლო „გაგრას“ საჯარიმო მოედანში მისი გამოჩენა ერთთავად ძაბავდა სიტუაციას...

„გაგრამ“ აქტიურად დაიწყო თამაში, რაც მხოლოდ პირველ 10 წუთს გაგრძელდა. მალე ახალციხელებმა მეტოქეს ერთგვარი შტურმიც მოუწყვეს, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ სტუმრები ძირითადად საკუთარი კარისკენ იყურებოდნენ...

მეორე ტაიმში თამაში თითქოს ერთფეროვანი გახდა და ფრის სურნელიც დატრიალდა, მაგრამ აქ მესხთა მწვრთნელმა იეშმაკა: 67-ე წუთზე ორმაგი შეცვლა გააკეთა და... ინიციატივას სტუმრები დაეუფლენ (?!), მაგრამ მოულოდნელად **მიქაბერიძემ** მშვენიერი პასით გარღვევაზე გაიყვანა სამადაშვილი, რომელმაც ძლიერი დარტყმის იმიტაცია გააკეთა, რის შემდეგაც მეკარე, მცველი და ბურთი ერთად შეგორდნენ კარში - 1:0.

გაგრელები მეტი გაფთრებით ეკვეთნენ მეტოქეს, მაგრამ... მიქაბერიძემ სწრაფი კონტრიერიში განახორციელა, გასცდა ორი მცველს, გადააწოდა სამადაშვილს, რომელმაც დააბნია ჯერ მცველი, მერე მეკარე და ძლიერი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა - 2:0. სამადაშვილმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ „ერთი ტაიმის“ ფეხბურთელია. ასე იყო შარშანაც, როცა მეორე ტაიმში შემოსულმა „ლოკომოტივს“ ორი ბურთი გაუტანა...

**მატჩის შემდეგ**

**ვლადიმერ ხაჩიძე (გაგრა):** „1991 წელს დაბადებული ხუთი ფეხბურთელი ვათამაშე. მათ უდავოდ აქვთ მომავალი, მაგრამ საჭიროა დრო, რომ კუნთი გაუმაგრდეთ, დაიხვეწონ და გამოცდილება მიიღონ. ძალზე მნიშვნელოვანი მატჩი წავაგეთ, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ. მარცხის მიუხედავად, ცუდად არ გვითამაშია. ვულოცავ ახალციხელებს გამარჯვებას“.

**კობა თედიაშვილი (მესხეთი):** „ძალზე საჭირო 3 ქულა მოვიპოვეთ. გაბიდაურმა და მიქაბერიძემ გუნდი უდავოდ გააძლიერეს. სასტარტო შემადგენლობაში სამადაშვილის არდაყენების ექსპერიმენტმა გაამართლა. შვილია და მეუხერხულება, მაგრამ უნდა ვთქვა - ლევანმა საკუთარ თავს გადააჭარბა. თუ ასე გააგრძელა, შრომა აუცილებლად დაუფასდება. გრიგალაშვილის წასვლის შემდეგ ნახევარდაცვამ პირველად ითამაშა ესოდენ გამართულად. მალე გონჩაროვიც შემოგვემატება და... ერთი სიტყვით, იმედიანად ვართ“.

**ომაზ ჩხეიძე**
ბორჯომიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 19 | 12 | 6 | 1 | 32-12 | 42 |
| 2. დინამო | 19 | 13 | 2 | 4 | 41-15 | 41 |
| 3. ზესტაფონი | 19 | 11 | 3 | 5 | 24-13 | 36 |
| 4. ოლიმპი | 19 | 8 | 9 | 2 | 22-11 | 33 |
| 5. სიონი | 19 | 7 | 8 | 4 | 22-16 | 29 |
| 6. ლოკომოტივი | 19 | 8 | 3 | 8 | 23-19 | 27 |
| 7. მესხეთი | 19 | 5 | 6 | 8 | 14-24 | 21 |
| 8. მგლები | 19 | 5 | 4 | 10 | 17-25 | 19 |
| 9. გაგრა | 20 | 4 | 4 | 12 | 14-34 | 16 |
| 10. სპარტაკი | 19 | 3 | 3 | 13 | 17-34 | 12 |
| 11. ბორჯომი | 19 | 2 | 6 | 11 | 16-39 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 11 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |

**XXII ტური**

**6 მარტი, პარასკევი**

სპარტაკი-მესხეთი
მგლები-ვიტ ჯორჯია
ბორჯომი-დინამო

**7 მარტი, შაბათი**

ლოკომოტივი-ზესტაფონი
სიონი-ოლიმპი

*გაგრა ისვენებს*

მარტში თამაშები დაიწყება 15 საათზე
მატჩები, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა, დაიწყება 14 საათზე

ქართული ფეხბურთი

# ზუსტი სვლა და იონას სასწაული

**01.03. ზესტაფონი. ცენტრალური. 2000 მაყურებელი**

**ზესტაფონი-სპარტაკი**

**4:1**

1:0 გ. ხიდეშელი (11. გორგიაშვილის პასით), 1:1 სახოკია (44. ჩივაძის პასით), 2:1 იონანიძე (54. ლ. მელქაძის პასით), 3:1 ლ. მელქაძე (89. ნ. კვასხვაძის პასით), 4:1 ლ. მელქაძე (90. ჭელიძის პასით)

ზესტაფონი: მამალაძე - კვესიეშვილი, თოდუა, ხიდეშელი, გორგიაშვილი (68. გრიგალაშვილი) - გ. ნუგ. ჭელიძე, დაუშვილი, ბენაშვილი (54. იონანიძე), ძარია - კაკალაძე (46. ნ. კვასხვაძე), ლ. მელქაძე.

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, კაჭკაჭიშვილი, ბერუაშვილი, ჭანკოტაძე*

სპარტაკი: იაშვილი - ქურასბედიანი, გ. კვახაძე, ოქროპირიძე, ქორიძე - მგალობლიშვილი (70. მეტრეველი), ჩივაძე, თურმანიძე (63. ჯანგიძე), სახოკია (66. ავალიანი) - მაისურაძე, სირბილაძე.

*სათადარიგოები: კოდალაევი, ხაჭიპერაძე, ჯანელიძე, გაბელაია*

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროთ, რომ „ზესტაფონმა" მეტოქე იოლად დაამარცხა, თუმცა ანგარიშმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ. **სერგო გაბელაიას** გუნდმა, ქართული საზომით მრისხანე „ზესტაფონს" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და რომ არა შეცვლაზე შესული **ზურაბ იონანიძის** უსწრაფესი და ბრწყინვალე გოლი, შესაძლოა, მორიგი სენსაციის მოწმენიც კი გავმხდარიყავით. სწორედ ამ გოლის შემდეგ შეძლეს ფეროელებმა თამაშში გარდატეხის შეტანა და მოწინააღმდეგის გატეხვა...

**გია გეგუჩაძემ** სხვადასხვა მიზეზის გამო 3 წამყვანი ფეხბურთელი - **ლობჟანიძე, მაკარიანი** და **გელაშვილი** მოისაკლისა. დაცვაში გაჩენილი ვაკუუმი მან ორი ახალგაზრდა ფეხბურთელით - **გიორგი კვესიეშვილითა** და **თორნიკე გორგიაშვილით** შეავსო, თავდასხმაში კი **ლევან მელქაძეს მიხეილ კაკალაძე** შეუწყვილა. ამ ოთხეულიდან განსაკუთრებით დაცვის მარცხენა ფლანგზე გამწესებული გორგიაშვილი გამოირჩეოდა, რომელიც ხშირად ერთვებოდა შეტევებში და სტანდარტულებსაც სახიფათოდ ასრულებდა. მე-4 წუთზე სწორედ მის მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ **ხიდეშელის** თავური ოდნავ ასცდა მიზანს. მე-11 წუთზე გორგიაშვილმა ჯარიმიდან კვლავ ხიდეშელს დაასვა ბურთი თავზე და ამჯერად, ანგარიშიც გაიხსნა -1:0.

სტუმართაგან განსაკუთრებით **გიორგი ჩივაძე** გამოირჩეოდა. გონივრული თამაშითა და პასებით ის მეტოქეს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. სპარტაკელთაგან პირველად სწორედ ის დაემუქრა **ზურაბ მამალაძის** კარს, თუმცა დარტყმა მიზანს ასცდა...

გოლის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. **ჭელიძის** გადაცემების შემდეგ **ძარიას** ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ უშედეგოდ. სტუმართაგან კვლავ ჩივაძემ გაამწვავა თამაში. 24-ე წუთზე მან კარიდან გამოსული მამალაძე შენიშნა და თითქმის ცენტრიდან სცადა მისთვის ბურთის თავზე გადაგდება, მაგრამ... სიზუსტე დააკლდა. 33-ე წუთზე, გორგიაშვილის კუთხურის შემდეგ, მეკარე **იაშვილი** შეცდა, ბურთი წინ გაუვარდა, მაგრამ მდგომარეობა მცველებმა დროულად განმუხტეს. რამდენიმე წუთში ჭელიძის პასის შემდეგ ძარია ახლოდან ცდილობდა დარტყმას, მაგრამ მცველი გადაელობა. ზესტაფონელები კი უტევდნენ, მაგრამ გულხელდაკრეფილნი არც სტუმრები ყოფილან. მე-40 წუთზე ცხინვალელებმა პირველი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს - მაისურაძემ მარცხნიდან სირბილაძეს გადააწოდა, ამ უკანასკნელის თავური კი ოდნავ ასცდა კარს. ეს ერთგვარი გაფრთხილება იყო - პირველი ტაიმის მიწურულს, მორიგი შეტევისას, „სპარტაკმა" უკვე ანგარიშიც გაათანაბრა - ჩივაძემ სახოკიას დაუგორა, რომელმაც ძლიერად და ზუსტად დასცხო - 1:1.

შესვენების შემდეგ გეგუჩაძემ ინერტული კაკალაძე **ნიკა კვასხვაძით** შეცვალა. მეტოქის მცველებს საკუთარი საჯარიმო კარგად ჰქონდათ გამოკეტილი, ამიტომ, ზესტაფონელები შორეული დარტყმებით ცდილობდნენ მეტოქის დაფრთხობას. აგერ, იაშვილმა ძარიასა და **დაუშვილის** ძლიერი დარტყმები მოიგერია. ამასობაში, მასპინძლებს ნერვიულობაც დაეწყოთ... და აი, ის გარდამტეხი მომენტი, რომელზეც თავშივე გითხარით - მოედანზე გამოჩნდა იონანიძე, რომელმაც 10-12 წამში, მელქაძის თავური პასის შემდეგ, ულამაზესი „მაკრატელა" გაიტანა - 2:1.

სტუმრებმა თამაში გახსნეს. თუმცა მათი შეტევების უმეტესი ნაწილი „ზესტაფონის" საჯარიმოს მისადგომებთან იფუშებოდა. თუმცა იყო ერთიორი მწვავე შეტევაც, რასაც მასპინძლებისთვის განსაკუთრებული გართულება არ მოჰყოლია. მალე ზესტაფონელთა რიგებში გამოჩნდა **შოთა გრიგალაშვილი**, რომელმაც მასპინძელთა თამაში კიდევ უფრო გაამწვავა და ფანტაზიაც შემატა. თუმცა 89-ე წუთამდე მატჩის ბედი ჰაერში იყო გამოკიდებული. „სპარტაკს" ძლიერ ენადა ანგარიშის გათანაბრება და ბოლო წუთებში ვა-ბანკზე წავიდა. სწორედ ამით ისარგებლა „ზესტაფონმა" და თამაშის მიწურულს ორი შედეგიანი კონტრშეტევით ანგარიში გამანადგურებელი გახადა. ბოლო წუთების გმირად მელქაძე მოგვევლინა - მან ჯერ **ნიკა კვასხვაძის** ფლანგური გადაცემა შეირგო, კომპენსირებულ დროში კი **გიორგი ჭელიძის** პასიც გამოიყენა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

### მატჩის შემდეგ

**სერგო გაბელაია (სპარტაკი):** „საინტერესო მატჩი გამოდგა. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეტოქეს არაფერი დავუთმეთ, მაგრამ მეორე ტაიმში, იონანიძის გოლის შემდეგ, ვა-ბანკზე წავედით, რითიც მეტოქემ ისარგებლა და ბოლო წუთებზე კიდევ ორი გოლი გაგვიტანა. იქამდე თურმანიძემ ტრამვა მიიღო და შესაცვლელი გახდა. ეს ფეხბურთელი ჩვენთვის დიდი ძალაა და მისმა გასვლამ გუნდზე ცუდად იმოქმედა. საერთოდაც, ტრავმები ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემაა. ბევრი დაშავებული გვყავს... „ზესტაფონსაც" ჰქონდა დანაკლისი, მაგრამ ამ გუნდს გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და ყველას მოეძებნება შემცვლელი, ჩვენნაირი გუნდისთვის კი სამი-ოთხი წამყვანი ფეხბურთელის გამოკლება დიდი პრობლემაა".

**გიორგი გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „რთული თამაში გამოვიდა. მატჩის განმავლობაში იყო ეპიზოდები, როცა უპირატესობა დავთმეთ, რისი უფლებაც არ გვქონდა. იონანიძის გოლმა სიტუაცია თითქოს დაალაგა, მაგრამ მეორე ტაიმში კვლავ საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით, როცა მამალაძე დაგვიშავდა და შეცვლების ლიმიტი უკვე ამოწურული გვქონდა. ზურაბს მადლობას ვუხდი, რომ ტრავმის მიუხედავად თამაში გააგრძელა და გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა. „სპარტაკმა" ბოლომდე იბრძოლა, ამ გუნდს წარმატებებს ვუსურვებ. ჩვენ კი თამაშის ხარისხს ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ".

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

ინტერვიუ

დავით მუჯირი

ბურთის მოთვინიერება, კარგი პასი, კაცის მოტყუება და ძლიერი დარტყმა - ეტყობა, ასეთი თვისებების მქონე ფეხბურთელი ექტორ კუპერის გემოვნებაში არ ჯდება. ყოველ შემთხვევაში, დავით მუჯირისთვის ეროვნული გუნდის კარი ჯერჯერობით დახურულია. მაგრამ რატომ? ცხადია, უნაკლო მოთამაშე არც მუჯირია, მაგრამ ისიც ვიკითხოთ - არის კი საქართველო ისე მდიდარი კარგი ფეხბურთელებით, რომ მუჯირი ნაკრებისთვის საჭირო აღარ იყოს? ის რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელია. ამ გუნდმა ახლახან დაასრულა შეკრება იტალიაში და ფეხბურთელებიც ორი დღით დაასვენა. მუჯირმა დრო იხელთა და თბილისისკენ გამოსწია. ჩვენც ვისარგებლეთ მისი ერთდღიანი შვებულებით და ინტერვიუ ვთხოვეთ. საბედნიეროდ, დათომ ჩვენთვისაც მოიცალა. ვფიქრობთ, საინტერესო საუბარი გამოგვივიდა...



# ...მაშინ, მოვძებნოთ ნაკრებისთვის თერთმეტი კარგი მძლეოსანი!

## კუპერს უნდა, აქეთ მოარგოს ფეხბურთელები თავის ტაქტიკას. საქართველო დროს კარგავს

**- ახალი სეზონისთვის ერთობ ინტენსიურად ემზადებით. როგორც ატყობ, კარგად მიდის შენი საქმეები „ლოკომოტივში"?**

- მოსამზადებელი ეტაპი საკმაოდ რთული გამოდგა, უკვე ორ თვეზე მეტია, რაც ახალი სეზონისთვის ვემზადებით. წინა ჩემპიონატის ბოლო მატჩი 22 ნოემბერს ვითამაშეთ და ამიტომაც ინტენსიურად უნდა მოვემზადებულიყავით მომავალი პრემიერლიგისთვის. უკვე სამი შეკრება გვქონდა, თითოეული 12-13 დღე გრძელდებოდა, ახლა მეოთხე შეკრებაც გვექნება: 2-8 მარტს ავსტრიაში, სადაც ორ საკონტროლო მატჩსაც ვითამაშებთ.

**- ავსტრიულ „შტურმში" ოთხი წელი გითამაშია. ხომ არ მოგენატრა ევროპა?**

- რუსეთში თამაშს უკვე მივეჩვიე. თავიდან კი გამიჭირდა, მაგრამ უკვე სამი სეზონი მაქვს იქ ნათამაშები.

**- „ლოკომოტივს" ფული არ აკლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, წინა სეზონში ხელმოცარული დარჩა - წინ ისეთი გუნდები გაუშვა, ფინანსურად მას მკვეთრად რომ ჩამორჩებიან...**

- ფეხბურთში მარტო ფული არ წყვეტს ყველაფერს. ფინანსურად „ზენიტიც" ძალიან ძლიერია, მაგრამ მხოლოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა. ჩვენ კი მე-7 ადგილი დავიკავეთ და, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვერ დავრჩებოდით. წლეულს გაცილებით უკეთესი შედეგისთვის ვიბრძოლებთ.

**- საერთო ფინანსური კრიზისი რამენაირად აისახა „ლოკომოტივზე?**

- ჯერჯერობით, ყველაფერი ნორმალურადაა. არ გამიგია, რომელიმე ჩვენი ფეხბურთელისთვის პირობების გადახედვაზე ჩამოეგდოთ სიტყვა. სეზონის წინ „ლოკომოტივმა" ოთხი ახალი ფეხბურთელი შეიძინა, მაგრამ სელექცია ამით არ დასრულებულა, ერთი თავდამსხმელის დამატებაც გვინდა.

**- საკონტროლო მატჩებში რაშიდ რახიმოვი მეტწილად რა პოზიციაზე გათამაშებდა, ან რა ადგილას ხედავს მუჯირს მომავალი ჩემპიონატისთვის?**

- „ლოკომოტივი" თამაშობს ორი საყრდენით და სამი შემტევი ნახევარმცველით, წინ კი ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი გვყავს. ამ სამი შემტევი ნახევარმცველიდან საკონტროლო მატჩებში ერთ-ერთი მე ვიყავი, ფორვარდის უკან ვმოქმედებდი. ჩემ გარდა, სამეულში იყვნენ ბილიალეტდინოვი და სიჩოვი.

**- კონკურენციაზე არაფერი გითქვამს...**

- სამ პოზიციაზე ოთხი ფეხბურთელი აცხადებს პრეტენზიას - სიჩოვი, მუჯირი, ბილიალეტდინოვი და ტორბინსკი. კონკურენცია ამით არ მთავრდება, თუმცა ძირითადად ამ ოთხეულიდან უნდა აირჩეს სამი ფეხბურთელი. მოკლედ, სასტარტოში ადგილის დამკვიდრება ადვილი არ იქნება, ბილიალეტდინოვისა და სიჩოვის დარად, ტორბინსკიც რუსეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია და ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთში ვთამაშობთ. იმედიანად ვარ, რის საფუძველსაც მოსამზადებელ შეკრებაზე ჩატარებული საკონტროლო მატჩებიც მაძლევს.

**- ერთ-ერთ ბოლო საკონტროლო შეხვედრაში „ლაციოს" 3:1 მოუგეთ და ორი გოლი გაიტანე. ეს შორეული დარტყმებით მოახერხე?**

- ერთი მართლაც შორეული დარტყმით გავიტანე, მეორე გოლის დროს კი მეტოქის საჯარიმოში ვიყავი. „ლაციომ" შერეული შემადგენლობით ითამაშა, რამდენიმე დღეში ხომ იტალიის ჩემპიონატის მატჩი ელოდა.

**- ექტორ კუპერი ნაკრებში აღარ გიწვევს. ნაკრების სამზარეულოდან ასეთი ხმაც კი გამოვიდა - ეროვნული გუნდის თავკაცს მუჯირი კი მოსწონს, მაგრამ რაკი ეს ფეხბურთელი დიდი მოცულობის სამუშაოს ვერ ასრულებს, ამიტომაც არ იძახებსო. კუპერის ნაკრებში მხოლოდ უელსთან ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშე...**

- კუპერს ჩემთან არ უსაუბრია. უელსის მერე ირლანდია-იტალიასთან მატჩებისთვისაც ვიყავი სანაკრებო შეკრებაზე ათი დღით და არც ერთ შეხვედრაში განაცხადშიც კი არ შემიყვანა - თუ მწვრთნელს ფეხბურთელის იმედი აქვს, ასეთ დროს მინიმუმ ის მაინც უნდა გააკეთოს, რომ დაელაპარაკოს. ქართველებს არ გვაქვს იმის ფუფუნება, გვყავდეს ბევრი კარგი ფეხბურთელი და ასეთ დროს, უარს ვამბობთ იმათზე, ვინც გვყავს...

**- კუპერი საქართველოს ნაკრებს 4-3-3 განლაგებით ათამაშებს. სად არის დავით მუჯირის ადგილი ასეთ სქემაში? კუპერის მხარდამჭერები იმ არგუმენტსაც იშველიებენ, რომ შენ ამ განლაგებისთვის საჭირო ფეხბურთელი არ ხარ...**

- 31 წლის ვარ და ამ ასაკში ველარ გარდავიქმნები. ნაკრების მწვრთნელმა ტაქტიკა უნდა მოარგოს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ჰყავს. კუპერს კი უნდა, რომ აქეთ მოარგოს ფეხბურთელები თავის ტაქტიკას. ამით, სამწუხაროდ, დრო იკარგება, საქართველოს ნაკრები კი ერთ ადგილს ტკეპნის.

**- გასაგებია, მაგრამ ერთს გკითხავ კიდევ - როცა ამბობენ, მუჯირი დიდი მოცულობის სამუშაოს ვერ ასრულებსო, ეს გადამეტებულად მიგაჩნია?**

- მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი ვარ და საქართველოს 3-4 მოთამაშე თუ ეყოლება, ვინც უკეთეს გუნდში თამაშობს... სხვათა შორის, ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს კუპერის დამოკიდებულება მალხაზ ასათიანთან... თუ რა შემიძლია, ეს მწვრთნელის განსახილველია, ნაწყენი არავისზე ვარ, თუ ნაკრებში გამომიძახებენ, ჩამოვალ და ვითამაშებ.

**- ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პირად საუბარში მითხრა - კუპერს მორბენალი ფეხბურთელები მოსწონს, მუჯირი კი ბევრს ვერ დარბისო...**

- მაშინ მოვძებნოთ ჩვენი ნაკრებისთვის თერთმეტი კარგი მძლეოსანი და ისინი ვათამაშოთ. ფეხბურთი მარტო სირბილი რომ არ არის, ამიტომაც არის ძალიან რთული თამაში.

**- რას შეცვლის კუპერი უახლოესი მატჩებისთვის, ეს ჯერ უცნობია. დავუშვათ, გამოგიძახა. დიდი მოცულობის სამუშაო რომ დაგავალოს, მოახერხებ ამის შესრულებას?**

- ამაზე არც კი გვილაპარაკია. ფაქტია, კუპერს არ ვჭირდები, ნაკრებში საერთოდ აღარ მიძახებს, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად კი არა, სათადარიგოდაც არ ვუნდივარ. ამით ჩემს საკლუბო კარიერას არაფერი ემუქრება, მაგრამ... გული კი მწყდება...

**დავით თავართქილაძე**

ტრანსფერის მოლოდინში

# სირაძე 10 მარტამდე მოიცდის

უგუნდოდ მყოფი **დავით სირაძე** თბილისის „ლოკომოტივში" ვარჯიშობს. რამდენიმე დღის წინ კლუბში გვითხრეს, თუ სირაძე უცხოურ კლუბს დროულად ვერ გამოძებნის, სეზონის ბოლომდე ჩვენთან ითამაშებსო. ამასთან დაკავშირებით თავად სირაძეს შევეხმიანეთ. როგორც საქართველოს ნაკრების ფორვარდმა გვითხრა, ამ ეტაპზე „ლოკომოტივში" მისი მისვლა გამორიცხულია.

*„აქ მხოლოდ ვვარჯიშობ და მეტი არაფერი. „ლოკომოტივი" ჩემთვის სათადარიგო ვარიანტიც კი არ არის. ახლა რამდენიმე გუნდზეა ლაპარაკი და თუ მათგან არც ერთი არ გამოვიდა, ისევ ნალჩიკის „სპარტაკში" დავბრუნდები",* - გვითხრა სირაძემ.

მანვე დასძინა, რომ მხოლოდ რუსეთზე არ ფიქრობს და შეიძლება, სხვა ქვეყანაში წავიდეს. 10 მარტამდე მოვიცდი და თუ რეალური არაფერი გამოჩნდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაკითხავ ნალჩიკის „სპარტაკსო".

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უქმეები

# ქართველ მწვრთნელთა წარმატებები

## დანიაში კი მატჩებაა...

ამ უქმეებზე ქართული ლეგიონის ანგარიშზე ერთადერთი გოლია, მისი ავტორი „კვიპროსელი“ ლევან ქებაძეა. არადა ჩემპიონატი უკრაინაშიც განახლდა, სადაც ათამდე ჩვენებური თამაშობს. კარგი სიახლე ისაა, რომ საკმაოდ ძლიერ დანიურ ლიგაში 21 წლის დავით დევდარიანის დებიუტი შედგა, ცუდი ამბავი კი იტალიიდან შევიტყვეთ - კახა კალაძე ოპერაციას იკეთებს და დიდი ხნით დაგვაკლდება. ზამთარი გავიდა, მაგრამ ზოგან ევროპული სუსხი ქართველებს თამაშის დაწყების საშუალებას არ აძლევს, უნგრეთში რატი ალექსიძე და დავით ოდიკაძე ჯერაც ელიან...

მართალია, ჩვენს სამეზობლოში, აზერბაიჯანში ქართული გოლი არ გასულა, თუმცა იქ ჩვენთვის საინტერესო ორი ფაქტი მოხდა - ქართული ტრიოს „ბაქომ“ ლიდერ და ჩემპიონ „ინტერს“ 1:0 მოუგო და ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა, სამწვრთნელო კარიერაში პირველი ოფიციალური გამარჯვება მოიპოვა ბადრი კვარაცხელიამ, რომლის „სტანდარდმაც“ სტუმრად ძლიერი „ყარაბახი“ 1:0 დაამარცხა. უფრო ვრცლად 20-მდე ქართველი ლეგიონერის აზერბაიჯანულ ტურზე ხვალ მოგახსენებთ.

### კოზი კვლავ სოლიდურია

ბუნდესლიგაში გამარჯვების გემო გაიხსენა **ლევან კობიაშვილის** „შალკემ“. „ხუმარებმა“ ფრანკფურტში „აინტრახტს“ მოუგეს - 2:1. ლევანმა მარცხენა მცველად ითამაშა 90 წუთი. „შპორტალმა“ ჩვენებურს 3,5 ქულა დაუწერა: „დაიწყო მარცხენა მცველად, კარგი თამაში გამოუვიდა. შეტევებშიც ერთვებოდა“. ბუნდესლიგის აუტსაიდერი „კარლსრუე“ 0:2 დამარცხდა „შტუტგარტთან“. მასპინძელთა მწვრთნელმა **ალექსანდრე იაშვილი** ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დატოვა. „შალკეს“ 34 ქულა აქვს და მე-8 ადგილზეა, ხოლო „კარლსრუე“ 17 ქულით ბოლოსწინაა.

მეორე ლიგაში 45 ქულით **დავით თარგამაძის** „ფრაიბურგი“ ლიდერობს, **ლევან ცქიტიშვილის** „ვეენი“ კი 17 ქულით ბოლოა. **მათე ღვინიანიძემ** წინა ტურში ტრავმა მიიღო, ამიტომაც მან გამოტოვა „მიუნხენი“-“ზანქტ პაულის“ მატჩი (5:1). **ოთარ ხიზანეიშვილი** კვლავ არ ჩანს „აუგსბურგის“ რიგებში და ზოგიერთი გერმანული წყაროს მტკიცებით მას არც უნდა ველოდოთ ამ სეზონში. „აუგსბურგი“ შინ 0:2 დამარცხდა „კობლენცთან“. „მიუნხენს“ და „აუგსბურგს“ 29-29 ქულა აქვთ და ცხრილში მე-10 და მე-11 ადგილზე არიან.

### ბარაქა, თემურ!

კუნძულზე ქართველთა გუნდებმა გაილაღეს - შაბათს **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსმა“ სტუმრად 4:0 გაანადგურა „ენოსისი“. შეცვლაზე შესულმა ქართველმა ფორვარდმა 82-ე წუთზე გატანილი გოლით წერტილი დაუსვა მასპინძელთა ტანჯვას. გუშინ კი **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი“ „ატრომიტოსს“ ეწვია და შავი დღე აყარა, 6:1 მოუგო. ამ შეხვედრაში პოლონელმა **სოსინმა** პოკერი შეასრულა. ვერ მოიგო მხოლოდ **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა“, რომელიც შინ აპეპ-ს დაუზავდა - 1:1. ლევანმა 90 წუთი ითამაშა. ქეცბაიას „ანორთოსისი“ 59 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ აპოელ-ს 4 ქულით ჩამორჩება. „აპოლონი“ 39 ქულით მე-5 ადგილზეა, ხოლო „ეთნიკოსი“ 37 ქულით მეექვსეა.

### კალაძე დიდი ხნით

პრემიერლიგაში ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად „ჰალ სიტისთან“ **ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლქებერნმა“ - 2:1. სამწუხაროდ, **სემ ელერდაისმა** განაცხადშიც კი ვერ გამოძებნა ქართველი მცველისთვის ადგილი. „ბლექბერნი“ 27 ქულით მე-17 ადგილზეა.

სერია A-ს მორიგი ტური უქართველოდ დასრულდა, **ლევან მჭედლიძე** სიცილიურ დერბის დააკლდა, რომელიც მისი გუნდისთვის სამარცხვინოდ დასრულდა - „პალერმომ“ შინ 0:4 წააგო „კატანიასთან“. ლევანი უკვე ვარჯიშობს, თუმცა ინდივიდუალურად. **კახა კალაძის** გარეშე ჩავიდა „მილანი“ გენუაში და „სამპდორიასთან“ 1:2 წააგო. იტალიური წყაროები ჯერჯერობით არ ადასტურებენ, თუმცა კახამ უკრაინულ „ფუტბოლს“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განუცხადა, რომ გადაწყვიტა მუხლზე ოპერაცია ჩაიტაროს. *„ოთხშაბათს ან ხუთშაბათს ოპერაციას ბელგიაში გამიკეთებენ, რის შემდეგაც მოედანს ოთხი-ხუთი თვე ვერ დავუბრუნდები“*, - განუცხადა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა „ფუტბოლს“. „მილანი“ 48 ქულით მესამე ადგილზეა, ხოლო „პალერმო“ 36 ქულით მეათეა.



ლევან კობიაშვილის (მარცხნივ) თამაში გერმანელებმა დადებითად შეაფასეს



ჯაბა კანკავა



დანიურ ორჰუსში დავით დევდარიანის დებიუტი შედგა

### რატომ გამოცვალეს კანკავა?

უკრაინაში მე-18 ტურით განახლდა ვიშალიგა. **მალხაზ ასათიანის** „დინამო“ 4 მარტს გამართავს ტურის მატჩს „მეტალისტთან“. მანამდე შედგა **ლაშა ჯაკობიას** დებიუტი კიევის „არსენალში“. ლაშა კიევში „მეტალისტიდან“ გადავიდა, თუმცა კიეველ „მეთოფეთა“ რიგებში ადრეც უთამაშია. ის „ხარკივთან“ მატჩის 88-ე წუთზე შევიდა მოედანზე, მისმა გუნდმა კი 1:0 მოიგო. „დნიპრომ“ ვერ შეძლო „ლვივის“ დამარცხება - 1:1. მასპინძელთა რიგებში ქართული ტრიოდან მხოლოდ **ჯაბა კანკავამ** ითამაშა, ის 41-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე მან ერთხელ მოახერხა სტუმართა კარში დარტყმა. თამაშის შემდეგ **ვლადიმერ ბესონოვს** შეეკითხნენ, თუ რა მიზეზით განახორციელა ორი შეცვლა პირველ ტაიმში: *„თუ ფეხბურთელი მოედანზე ვერ დარბის, დავალებებს არ ასრულებს, რას უნდა ელოდო, რაც უფრო ადრე გამოცვლი ასეთს უკეთესია“*.

ლუგანსკის „ზარიამ“ ზაპოროჟიეში ადგილობრივ „მეტალურგთან“ 1:2 წააგო. სტუმართა 10 ნომერი **გიორგი ციმაკურიძე** 66-ე წუთზე გამოჩნდა. ქართველთა „ტავრია“ სტუმრად 0:1 დამარცხდა „ვორსკლასთან“. სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ როგორც გუნდის ვიცე-კაპიტანი **ვასილ გიგიაძე**, ისე **ვლადიმერ ბურდული**, მათ თამაშმა არ მოუწიათ. **სანდრო გურულის** „კარპატიმ“ 3:0 დაამარცხა „ჩერნომორეცი“. სანდრომ 73-ე წუთამდე ითამაშა. ის ჩვეულებრისამებრ აქტიური იყო, მასთან უხეშობისთვის 66-ე წუთზე სტუმრები ათნი დარჩნენ, მასპინძელთა ორი გოლიც ამის მერე გავიდა. კიევის „დინამო“ 43 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. „დნიპრო“ 25 ქულით მე-7 ადგილზეა. მას კვალში მიჰყვებიან: „კარპატი“ (22 ქულა) და „ზარია“ (21). „არსენალი“ 17 ქულით მე-12 ადგილზეა, „ტავრიას“ 14 ქულით მე-13 პოზიცია უკავია.

### დევდარიანმა დებიუტი კინაღამ გოლით აღნიშნა

ავსტრიული ბუნდესლიგა მოულოდნელი მარცხით განაახლა ქართველთა „შტურმმა“, რომელიც შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ „სუპერფუნდთან“ 1:3 დამარცხდა. **გიორგი შაშიაშვილი** და **ილია კანდელაკი** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ, შაშიაშვილი 83-ე წუთზე შეცვალეს. „შტურმი“ 42 ქულით მესამე ადგილზეა. მე-20 წუთზე „შტურმის“ გოლი გააუქმეს, რადგან კანდელაკმა ხელით ითამაშა.

ჩეხურ გამბრინუსლიგაში „პლზენი“ შინ 0:2 დამარცხდა „სლოვანთან“. **დიმიტრი ტატანაშვილი** მატჩის 78-ე წუთზე გამოჩნდა. ორ წუთში მას გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ სტუმართა მცველმა იყოჩაღა. ქართველი ფორვარდის გუნდი 22 ქულით მე-10 ადგილზეა. უნგრეთში და სლოვაკეთში, სადაც ქართველი ლეგიონერები გამოდიან ტურები უამინდობის გამო გადაიდო.

დანიის სასლიგა ჩვენთვის სასიამოვნო სიახლით განახლდა - „ორჰუსის“ რიგებში პირველად გამოჩნდა ნახევარმცველი **დავით დევდარიანი**. ჩვენებური 70-ე წუთზე შეცვალეს, „ორჰუსი“ კი შინ 1:2 დამარცხდა „რანდერსთან“. ჩვენებურს საგოლე მომენტიც ჰქონდა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი „რანდერსის“ მეკარემ კუთხურზე მოიგერია. „ორჰუსი“ 24 ქულით მე-7 ადგილზეა სასლიგაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 17. ამხანაგური მატჩი

**აზერბაიჯანი-საქართველო 0:0**

საქართველო: მეშველიანი, ხარაბაძე, ბრაჭული (41. აფაქიძე), კობახიძე, კვეკვესკირი, ელიზბარაშვილი (77. სირბილაძე), ძალამიძე (70. ლორია), კუხიანიძე, გაბაშვილი (61. ილურიძე), საბაძე, დეკანოსიძე (70. ჯიშკარიანი).

# ისევ არ ჩაგვითვალეს...

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა აზერბაიჯანში მეორე მატჩიც გამართა და სამშობლოში დაბრუნდა. **გელა შეყილაძის** გუნდი აზერბაიჯანელ თანატოლებს შაბათს სუმგაითში შეხვდა და უგოლოდ დაშორდა, ისევე, როგორც პირველ მატჩში. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ეს მატჩიც ჩვენი ჭაბუკების უპირატესობით წარიმართა, თუმცა ბურთის გატანა რამდენიმე შესაძლებლობა განიავდა. მე-10 წუთზე **ბესიკ დეკანოსიძეს** შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მცირედით ააცილა კარს. ტაიმის შუაწელი იყო, როცა **კოტე გაბაშვილი** მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს. მან გოლკიპერს ბურთი თავზე კი გადაავლო, მაგრამ კარში ველარ მოარტყა. შესვენებამდე **ნიკა ძალამიძეს** შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ამჯერად მასპინძელთა მეკარემ იმარჯვა.

მეორე ტაიმში ჩვენს გუნდს კიდევ ჰქონდა საგოლე შანსები, რომელიც **ჯაბა ჯიშკარიანმა** და იმავე გაბაშვილმა ქარს გაატანეს. ბოლოს გაბაშვილმა კი შეძლო გატანა, მაგრამ არბიტრმა მასზე თამაშგარე მდგომარეობა, თუმც კი უსამართლოდ. მოკლედ, 0:0.

აზერბაიჯანთან საკონტროლო მატჩებით შეყილაძემ სელექციას წერტილი დაუსვა. 17-წლამდელთა თავკაცი ამ დღეებში ელიტრაუნდისთვის საბოლოო შემადგენლობას გამოაცხადებს. 9 მარტს ჩვენი ჭაბუკები გაემგზავრებიან ლუქსემბურგში, სადაც 11-ში ადგილობრივ 17-წლამდელებს გაეჯიბრებიან. მეორედ დღეს კი შეყილაძე და მისი რაზმი უკვე ავსტრიაში უნდა იყოს. ელიტრაუნდამდე იქ 6-დღიანი შეკრება დაგეგმილი. 20 მარტს კი პირველი ტურის მატჩია...

**დავით ცაბაძე**

იტალია. სერია A XXVI ტური




მილანი-სამპდორია. კასანო თითქოს თამაშგარეშია




მილანი-სამპდორია. კასანოს დარტყმის შემდეგ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა

# მილანი ხელიდან წავიდა

ევროთასების შემდეგ შინაურ სარბიელს იტალიური კლუბებიც დაუბრუნდნენ. შუა კვირას აპენინელებისთვის წარმატებული არ ეთქმის, პირიქით - „რომამ" და „იუვემ" წააგეს, „ინტერმა" შინ უგოლოდ ითამაშა „მანჩესტერ იუნაიტედთან", უეფას თასიდან კი ერთმანეთის მიყოლებით გავარდნენ „მილანი", „ფიორენტინა" და „სამპდორია", მხოლოდ „უდინეზემ" შეუნახა ნამუსი კალჩოს, თუმცა ამ გუნდს არ ეტყობა საიმისო რეზერვი, რომ უფრო შორს წავიდეს...

დავანებოთ თავი ევროტურნირებს და სერია A-ში დავბრუნდეთ. ლონდონმოვლილმა „იუვენტუსმა" შინ მინიმალური ანგარიშით სძლია „ნაპოლის", რომელსაც აგერ უკვე თვენახევარია არ მოუგია და პირველ წრეში **ედი რეია** ქებით ცაში რომ აჰყავდათ, ახლა ფანები მის მოხსნას ითხოვენ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ნეაპოლელებმა ტურინში ღირსეულად ითამაშეს და რომ არა სამსაჯო შეცდომა (ყოველ შემთხვევაში, ასეთი შეფასება მისცა იტალიურმა მედიამ ბოლო წუთების ეპიზოდს, რომელსაც ქვემოთ შევეხებით), დამსახურებულ ქულასაც წაიღებდა...

მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრობით. პირველ ტაიმში **კლაუდიო რანიერიმ** შემტევი ტაქტიკა აირჩია, მისმა ვიზავიმ კი აქცენტი შუა ხაზის სიმყარეზე გააკეთა. პირველი მომენტი **ტრეზეგეს** ჰქონდა, როცა **მარკიონის** ჩაწოდებულს ჭვინტი წაჰკრა, მაგრამ **ნავარომ** ბურთი ფეხით მოიგერია. მოგვიანებით, იმავე ნავაროს თავგანწირული ნახტომი დასჭირდა **დელ პიეროს** საფირმო ჯარიმის მოსაგერიებლად...

ერთი სიტყვით, მიუხედავად არაშთამბეჭდავი თამაშისა, მთელი პირველი ტაიმი მასპინძელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა, შესაბამისად, ლოგიკურიც იყო, რომ თამაშის ეს მონაკვეთი გოლით დაგვირგვინდა - მარკიზიოს შორეული დარტყმის შემდეგ ბურთი (სხვათა შორის) ექსიუვენტუსელ **ბლაზის** შეეხო და აქ ნავარო „ნაპოლის" უკვე ველარ უშველიდა - 1:0.

მეორე ტაიმში სტუმრებმა თავი გამოიდეს. ეს უკვე სხვა გუნდი იყო და რანიერიმაც თითქოს ლოგიკურად გააკეთა არჩევანი თავდაცვითი ზღუდეების გამაგრებაზე, რის გამოც ქომაგთაგან სტვენა დაიმსახურა - **ჯოვინკო სალიჰამიჯიჩმა** შეცვალა, ხოლო **მარკიონიმ** ოდნავ წინ, დელ პიეროსა და ტრეზეგეს სიახლოვეს გადაიწია...

„ნაპოლი" გარკვეულ უპირატესობას ფლობდა, თუმცა საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდა. ერთადერთი, თამაშის ბოლოს იყო შემთხვევა, რომელსაც გოლი და დიდი კამათი მოჰყვა - **ბუფონის** მიერ სასწაულებრივ მოგერიებული ბურთი პირდაპირ **ლავეცის** მიუგორდა და... თამაშგარე? დიახ, არბიტრმა **ნიკოლა აიროლდიმ** ლაინსმენს დაუჯერა და ერთობ საეჭვო ოფსაიდი დააფიქსირა. ამას ჩიოდა კამპანიელთა თავკაციც - ხანდახან, მსაჯები სანტიმეტრებში ცდებიან და მგონი, ახლაც ეს შემთხვევა იყო, გოლს ვიმსახურებდითო. თუმცა რეიამ შვება იმაში ნახა, რომ ბოლო მატჩებთან შედარებით „ნაპოლიმ" უკეთ ითამაშა. რაც შეეხება რანიერის, მან მეორე ნახევარის ტაქტიკური უკანდახევა და „იუვეს" უჯიგრო თამაში „ჩელსისთან" გადატანილი მძიმე ბრძოლით ახსნა.

„ლაციომ" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო, „ბოლონიამ" კი ამდენივე წააგო. და რა მივიღეთ ამით? ის, რომ „ბიანკოჩელესტემ" სატურნირო მდგომარეობა და ხასიათი კიდევ უფრო გამოიკეთა, ხოლო ემილიელებმა პირიქით - კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს სერია B-სკენ. ფაქტია, რომ **სინიშა მიხაილოვიჩის** („ლაციალესთან" მატჩი მისთვის წარსულში დაბრუნდება იყო, ამ გუნდში 1998-2004 წლებში გატარებული სეზონების შემდეგ) თავკაცობით „ბოლონიამ" ერთხანს თითქოს გამოასწორა სიტუაცია და აღარ აგებდა, მაგრამ ბოლო პერიოდში საქმე ისევ უკან-უკან წავიდა. სხვათა შორის, იტალიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს „ბოლონიაში" მთავარ მწვრთნელად **რობერტო მანჩინი** უნდა დაინიშნოს. ერთი კვირის წინათ, ის „რენატო დ'ალარზე" „ინტერთან" მატჩს დაესწრო, ვითომდაც, ყოფილი თანაშემწის (მიხაილოვიჩი) გასამხნევებლად, თუმცა იტალიურმა მედიამ ამაში მომავალი გადაადგილება განჭვრიტა. სინიშაც ყაბულს ყოფილა იმაზე, რომ კვლავ „მანჩოს" ასისტენტად იმუშაოს. ისე კი, მანჩინისთვის ეს კლუბი უცხო არ არის - სწორედ აქ დაიწყო მისი საფეხბურთო კარიერა...

..."ლაციო" კი ლამის დაგვავიწყდა. რომაელებმა შესანიშნავად ითამაშეს. **დელიო როსი**, გარდა იმისა, რომ მისმა გუნდმა დამაჯერებლად გაიმარჯვა, განსაკუთრებით **სარატეს** დუბლით ხარობდა. ამ არგენტინელმა ახალგაზრდამ სეზონის სტარტზე ნამდვილი ფურორი მოახდინა - პირველ 5 მატჩში 7 გოლის გატანა მოახერხა, თუმც 14 დეკემბრის მერე მეტოქენი ერთხელაც არ ჰყავდა დამწუხრებული. მომდევნო მატჩებში გამოჩნდება, ეს დუბლი იმ ბრწყინვალე სტარტის გაგრძელება იყო თუ შემთხვევითი აფეთქება...

„მილანი" ხელიდან წავიდა. უეფას თასიდან გავარდნის შემდეგ „როსონერიმ" შინაურ ფრონტზეც წააგო და შეუძლია, ჩემპიონობაზე ფიქრით თავი აღარ შეიწუხოს. ახლა ბევრი იტყვის, რომ **კარლო ანჩელოტი** უნდა წავიდეს. პრინციპში, ამას მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს - სკუდეტო და ევროპა მორჩა, ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა კი ანჩელოტისაც შეუძლია და მის შესაძლო შემცვლელსაც, თუმცა ამ ეტაპზე კარლეტოს წასვლა ნაკლებად მოსალოდნელია. სეზონის ბოლოს კი ბატონო...

რაც შეეხება თამაშს, ის ძლიერი წვიმის თანხლებით წარიმართა. „სამპდორია" უფრო აქტიური იყო. ანგარიში **კასანომ** გახსნა, თუმცა ფრიად საეჭვო სიტუაციაში, უფრო სწორად, საეჭვო იყო არა ის, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი (რაზეც მეკარე **აბიატი** აპელირებდა), არამედ **კასანოს** პოზიცია - გამეორებისას გამოჩნდა, რომ თითქოს ის თამაშგარეში იყო. სამაგიეროდ, უზადო და უეჭველი ეთქმის მეორე გოლს, როცა **პაცინიმ** მოხდენილად გააცურა **ბონერა** და აბიატის შორეულ კუთხეში დაურტყა. „როსონერი" საბოლოოდ მოეშვა და ხელს არც გაანძრევდა, რომ არა **პატოს** გოლი. მერე, შეცვლაზე შესულმა **ემერსონმაც** შეძლო გატანა, მაგრამ... აქ კი ნაღდი ოფსაიდი იყო გოლი არ ჩაითვალა.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია „ფიორენტინას" ფრე რეჯოკალაბრიაში, რამაც **ჩეზარე პრანდელის** გუნდს „მილანთან" გათანაბრების საშუალება არ მისცა. უცნაური შედეგი დაფიქსირდა ბერგამოში, სადაც „ატალანტამ" ერთ-ერთ მყარ აუტსაიდერ „კიევოსთან" 0:2 წააგო. გავიხსენოთ, რომ ამ გუნდის ყოფილი მწვრთნელი **ლუიჯი დელ ნერი** დღეს სწორედაც „ატალანტას" თავკაცია, ხოლო ბერგამოელთა საკუთრებაში მყოფმა **ლანჯელამ** გუშინ „კიევოსთვის" უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა.

სიცილიური დერბი კი ნამდვილი სენსაცია იყო. თითქოს, ამ თამაშს არაფერი აკლდა ისეთი, რაც დერბის უნდა ჰქონოდა, მაგრამ... არ იყო მთავარი - ეშხი, ინტრიგა და დაძაბულობა. „კატანიამ" პირველივე ტაიმში 3:0 წაიყვანა და ფაქტობრივად მოკლა ინტრიგა, მით უმეტეს, რომ უკვე მე-16 წუთისთვის მასპინძელი „პალერმო" 10 კაცით დარჩა. კურიოზული იყო **მასკარას** გოლი, რომელიც პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა - კატანიელმა ფორვარდმა მოედნის ცენტრში ჩაიგდო ბურთი, წამებში შენიშნა, რომ ამელია წინ იყო გამოსული და პირდაპირ კარში დაარტყა. მეკარე უძლური იყო...

გვიან ღამით კი „ინტერი"-"რომა" ნამდვილ თრილერად გვექცა. ლიდერმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და თითქმის შეუძლებელი შეძლო. თავის მხრივ, დღევანდელი „ჯალოროსისგანაც" გასაკვირი იყო ესოდენ გააზრებული თამაში, მით უფრო **ტოტის** არყოფნის პირობებში. დიდი დანაკლისი ჰქონდა „ნერაძურისაც" - არ იყო მოულოდნელად დაშავებული **იბრაჰიმოვიჩი**. თუმცა შვედის ჭაპანი კარგად გასწიეს ჯერ **ბალოტელიმ**, რომელმაც ორჯერ შეამცირა სხვაობა, და **კრესპომ**, რომელსაც 30 წამი დასჭირდა საიმისოდ, რათა შეცვლაზე შესულს ეფექტური თავურით გაეთანაბრებინა ანგარიში. მანამდე კი...

„რომას" თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა - პირველ ტაიმში **დე როსის** მშვენიერი თავურითა და **რიისეს**, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლით (ნორვეგიელმა ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა და ლამის პირითი ხაზიდან შეაგორა კარში) **ლუჩანო სპალეტის** ბიჭებმა 2:0 წაიყვანეს...

დედაქალაქელები არც მეორე ტაიმში მოეშვნენ. საოცარი იყო თამაშის ბოლო წუთები, როცა „ინტერი" 3:3-ის შესანარჩუნებლად საკუთარ ნახევარზე ჩაიკეტა, „რომამ" კი ბოლო ძალები მოიკრიბა და კინაღამ მეოთხე გოლიც შეაგდო - დე როსიმ დიდებულად შეიგდო ბურთი, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციიდან უზუსტოდ დაარტყა.

ამ ტურის შემდეგ „ინტერსა" და მის მთავარ მდევარ „იუვენტუსს" შორის სხვაობა 9-დან 7 ქულამდე შემცირდა. საინტერესოა, რას გვიმზადებს მომდევნო უქმეები...

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

7 მარტი. რომა-უდინეზე, ჯენოა-ინტერი, ტორინო-იუვენტუსი. 8 მარტი. ბოლონია-სამპდორია, კატანია-სიენა, ნაპოლი-ლაციო, ფიორენტინა-პალერმო, ლეჩე-რეჯინა, მილანი-ატალანტა, კიევო-კალიარი.

### ლაციო-ბოლონია 2:0

**ლაციო:** მუსლერა-6, დე სილვესტრი-5.5, სივილია-6, კრიბარი-6.5, კოლაროვი-6, ბროკი-6 (78. კ. მანფრედინი-6), კ. ლედესმა-5.5, მათუსალემი-6.5 (73. დაბო-6), ფოჯა-7.5, პანდევი-5.5 (67. როკი-6.5), სარატე-7.5.

**ბოლონია:** ანტონიოლი-6, ბელერი-5, ტერცი-5.5, ბრიტოსი-5.5, ლანა-5.5, ვალიანი-6 (46. მარაცინა-6), მუდინგაი-6.5 (80. კოელიო), ვოლპი-5.5, მინგაცინი-6.5, როდრიგესი-4.5 (46. მუტარელი-5.5), დი ვაიო-5.5.

**გოლები:** 1:0 სარატე (36), 2:0 სარატე (81)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 21-8 (5-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 30 000

### იუვენტუსი-ნაპოლი 1:0

**იუვენტუსი:** ბუფონი-6, გრიგერა-6, კიელინი-6.5, ლეგროტალიე-6.5 (73. მელბერგი), მოლინარო-6, მარკიონი-6, პოულსენი-5.5, მარკიზიო-7, ჯოვინკო-6 (63. სალიჰამიჯიჩი), დელ პიერო-5 (69. ამაური), ტრეზეგე-5.5.

**ნაპოლი:** ნავარო-6.5, სანტაკროჩე-6, კონტინი-5.5, კანავარო-6, მონტერვინო-6 (46. დატოლო-6), პაციენცა-5.5 (78. რუსოტო), ჰამშიკი-6.5, ბლაზი-6, ვიტალე-5.5 (78. არონიკა), ლავეცი-4.5, დენისი-5.5.

**გოლი:** 1:0 მარკიზიო (44)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 30-13; **თამაშგარე:** 6-5; **კარში დარტყმა:** 11-5 (4-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 700

### სამპდორია-მილანი 2:1

**სამპდორია:** კასტელაცი-6, რაჯი-6.5 (71. გასტალდელო-6), ლუკინი-6.5, აკარდი-6.5, სტანკევიჩიუსი-6.5 (84. პადალინო), სამარკო-6.5, პალომბო-7, დ. ფრანჩესკინი-6.5, პიერი-6.5, პაცინი-7, კასანო-7.5 (88. მარილუნგო).

**მილანი:** აბიატი-6, ანტონინი-5 (46. ფ. ინძაგი-5), სენდეროსი-5, ბონერა-5, ძამბროტა-5.5, ბექჰემი-5 (68. ემერსონი-6), ფლამინი-5, პირლო-5, იანკულოვსკი-5 (55. ფავალი-6), ზეედორფი-5, პატო-6.

**გოლები:** 1:0 კასანო (33), 2:0 პაცინი (51), 2:1 პატო (80)

**გაფრთხილება:** 4-5; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 8-13 (3-4); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 25 000

### რეჯინა-ფიორენტინა 1:1

**რეჯინა:** პუჯონი-6.5, ლანძარო-6, კ. ვალდესი-5.5, ჩირილო-4, კრაიჩიკი-6 (63. ბრიენცა-6.5), კარმონა-6, ბარილა-6.5, კოსტა-6, სესტუ-7.5 (84. ადეხო), კორადი-6 (85. დი ჯენარო), კოცა-6.

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-7.5, ძაური-5.5, კროდრუპი-5, დაინელი-5.5, ვარგასი-5 (46. გობი-6), დონადელი-6, ფელიპე მელუ-6, მონტოლივო-5.5, სემიოლი-6.5, ბონაცოლი-6.5, მუტუ-7.

**გოლები:** 1:0 სესტუ (21), 1:1 ბონაცოლი (23)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 21-30; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 17-16 (7-6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 9 500

### სიენა-ჯენოა 0:0

**სიენა:** კურჩი-6.5, სუნიგა-6, პორტანოვა-7, ბრანდაუ-6.5, დელ გროსო-6.5, კოდრეა-7, ვერგასოლა-6 (90. ფრიკი), გალოპა-5.5, ხარჯა-4.5 (81. იაროლიმი), გეზალი-5, მაკარონე-6 (85. ამორუზო).

**ჯენოა:** რუბინიო-6.5, ბიავა-7, ფერარი-6, ბოკეტი-6.5, მ. როსი-5.5 (87. მილანეტო), იურიჩი-6.5, კრიშიტო-5.5, მესტო-5.5 (56. სკული-6), ტიაგო მოტა-7, იანკოვიჩი-5 (76. პალადინო-6.5), მილიტო-6.5.

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 30-25; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 11-9 (6-2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 13 255

### კალიარი-ტორინო 0:0

**კალიარი:** მარკეტი-6.5, მატიო-6, ლოპესი-6, კანინი-6, აგოსტინი-6, კონტი-6, ბიონდინი-6 (70. ლაძარი-6), კოსუ-6, პაროლა-6, აკვაფრესკა-5.5 (70. ჟედა), მატრი-6 (75. რაგატცუ).

**ტორინო:** სერენი-7, კოლომბო-6, ნატალი-6, დელაფიორე-5.5, მ. პიზანო-5.5, აბატე-5 (83. ზოიმელი), კორინი-5.5, ბარონე-5.5 (68. სტელონე-6), პ. ძანეტი-5.5, როზინა-5 (77. გასბარონი), ბიანკი-6.

**გაფრთხილება:** 4-5; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 19-30; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 7-9 (2-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 11 000

### პალერმო-კატანია 0:4

**პალერმო:** ამელია-5, კასანი-5 (46. სუჩი-5.5), კიაერი-5 (69. კაროციერი-6), ბოვო-5, ბალცარეტი-6, ლივერანი-5.5, მილიაჩო-6 (65. ჯოვ. ტედესკო-6), ბრეშანო-4, სიმპლისიუ-5, კავანი-5, მიკოლი-5.5.

**კატანია:** ბიცარი-7.5, პოტენცა-6.5, სილვესტრე-7, სტოვინი-7, კაპუანო-7 (78. სილვესტრი-6), კარბონი-6.5, კ. ლედესმა-6.5 (70. იცკო-6), ბიაჯანტი-7, ბაიოკო-7, მორიმოტო-7.5 (46. პაოლუჩი-7), მასკარა-7.5.

**გოლები:** 0:1 პ. ლედესმა (14), 0:2 მორიმოტო (37), 0:3 მასკარა (44), 0:4 პაოლუჩი (66)

**გაძევება:** ბრეშანო (16. პალერმო)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 23-16; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 25-12 (12-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 21 000

### ატალანტა-კიევო 0:2

**ატალანტა:** კონსილი-6.5, დარიჩი-5.5, კაპელი-6, თ. მანფრედინი-5, ბელინი-6, პინტუ-5.5 (86. ძაძა), დე აშენტისი-6, ჩიგარინი-6.5 (46. ხ. ვალდესი-6.5), პადოინი-5, დეფენდი-4.5 (65. ჩერჩი-5.5), პლასმატი-5.5.

**კიევო:** სორენტინო-6.5, ნ. ფრეი-7, მორერო-6.5, იეპესი-6, მანტოვანი-6, მარკოლინი-6 (70. ლანჯელა-7), ლუსიანო-6, პინცი-6, კოლუჩი-6 (64. ბენტივოლიო-6.5), მაკინვა-6 (88. მ. ესპოზიტო), პელისიერი-7.

**გოლები:** 0:1 ლანჯელა (78), 0:2 პელისიერი (89-პენ)

**გაძევება:** თ. მანფრედინი (82. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 23-20; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 9-12 (1-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 10 000

### უდინეზე-ლეჩე 2:0

**უდინეზე:** ბელარდი-6.5, საპატა-6, ა. კოდა-6, ფელიპე-6.5, ლუკოვიჩი-6, ინლერი-5.5, ისლა-5.5 (46. ა. დ'აგოსტინო-6.5), ასამოა-6, პეპე-5 (70. დი ნატალე), ფლორო ფლორესი-6, სანჩესი-6 (86. პასკუალე-6.5).

**ლეჩე:** ბენუსი-5, სკიავი-6, ფაბიანო-6, ა. ესპოზიტო-5.5, ანჯელო-5.5, მუნარი-6, კაზერტა-6 (60. ვივესი-6), ედინიო-5.5 (64. ძანკეტა-6), არიატი-4.5, პაპადოპულოსი-5.5 (83. პაპა ვაიგო), ტირიბოკი-6.

**გოლები:** 1:0 ა. დ'აგოსტინო (74), 2:0 პასკუალე (90)

**გაძევება:** არიატი (78. ლეჩე)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 18-28; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 18-4 (4-2); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 15 000

### ინტერი-რომა 3:3

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, მაიკონი-5, კორდობა-6.5, ბურდისო-5.5 (46. ვიეირა-6.5), სანტონი-6.5, მაქსველი-5.5 (46. ფიგუ-7), კამბიასო-6, ხ. ძანეტი-5.5, სტანკოვიჩი-5.5 (78. კრესპო-7), ბალოტელი-7, ადრიანო-6.5.

**რომა:** დონი-6, მ. მოტა-6.5, მექსესი-6, პანუჩი-6, რიისე-6.5, დე როსი-6.5, ბრიგი-6.5, პიზარო-6.5, ტადეი-6, ბაპტისტა-6, ვუჩინიჩი-6.5 (76. მენეზი).

**გოლები:** 0:1 დე როსი (23), 0:2 რიისე (29), 1:2 ბალოტელი (50), 1:3 ბრიგი (57), 2:3 ბალოტელი (63-პენ), 3:3 კრესპო (79)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 17-15 (8-9); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 51 497

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 26 | 18 | 6 | 2 | 47-21 | 60 |
| 2. იუვენტუსი | 26 | 16 | 5 | 5 | 42-21 | 53 |
| 3. მილანი | 26 | 14 | 6 | 5 | 43-27 | 48 |
| 4. ფიორენტინა | 26 | 14 | 4 | 8 | 38-25 | 46 |
| 5. ჯენოა | 26 | 11 | 9 | 5 | 36-25 | 45 |
| 6. რომა | 26 | 13 | 5 | 8 | 40-34 | 44 |
| 7. კალიარი | 26 | 11 | 5 | 10 | 32-27 | 38 |
| 8. ლაციო | 26 | 11 | 5 | 10 | 37-37 | 38 |
| 9. ატალანტა | 26 | 11 | 3 | 12 | 31-28 | 36 |
| 10. პალერმო | 26 | 11 | 3 | 12 | 32-35 | 36 |
| 11. ნაპოლი | 26 | 10 | 5 | 11 | 32-30 | 35 |
| 12. უდინეზე | 26 | 9 | 7 | 10 | 36-37 | 34 |
| 13. კატანია | 26 | 9 | 6 | 11 | 28-30 | 33 |
| 14. სამპდორია | 26 | 8 | 8 | 10 | 26-30 | 32 |
| 15. სიენა | 26 | 7 | 7 | 12 | 19-26 | 28 |
| 16. ტორინო | 26 | 5 | 9 | 12 | 25-39 | 24 |
| 17. კიევო | 26 | 5 | 8 | 13 | 20-34 | 23 |
| 18. ბოლონია | 26 | 5 | 8 | 13 | 27-42 | 23 |
| 19. ლეჩე | 26 | 4 | 10 | 12 | 22-42 | 22 |
| 20. რეჯინა | 26 | 3 | 9 | 13 | 21-44 | 18 |

**ბომბარდირები:** 16 - დი ვაიო (ბოლონია); 15 - ჯილარდინო (ფიორენტინა), მილიტო (ჯენოა); 14 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 12 - ამაური (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე), მუტუ (ფიორენტინა), პატო (მილანი); 11 - კაკა (მილანი).

## სერია B

### XXVIII ტური

**ასკოლი-აველინო** 2:1

**გოლები:** 1:0 სომეზე (10), 2:0 ბელინგერი (42), 2:1 სფორცინი (80)

**ფროზინონე-ბრეშა** 0:3

**გოლები:** 0:1 კარაჩოლო (21), 0:2 ოკაკა ჩუკა (74), 0:3 კარაჩოლო (90-პენ)

**მანტოვა-ბარი** 0:2

**გოლები:** 0:1 გუბერტი (29), 0:2 პარიზი (45)

**მოდენა-პარმა** 2:2

**გოლები:** 1:0 ბრუნო (6), 1:1 მარიგა (34), 2:1 პინარდი (42), 2:2 კ. ლუკარელი (44-პენ)

**რიმინი-ანკონა** 2:1

**გოლები:** 0:1 სოდიმო (9), 1:1 ჩიპრიანი (39), 2:1 ბაშა (51)

**სალერნიტანა-პიაჩენცა** 0:1

**გოლი:** 0:1 ანაკლერიო (32)

**ტრევიზო-სასუოლო** 2:3

**გოლები:** 0:1 პოლი (5), 1:1 პედრელი (21), 1:2 მარტინეტი (32), 1:3 რეა (45), 2:3 კაფასო (79)

**ტრიესტინა-პიზა** 1:0

**გოლი:** 1:0 დელა როკა (3)

**გაძევება:** ვივიანი (86. პიზა)

**ვიჩენცა-ჩიტადელა** 1:1

**გოლები:** 0:1 მეჯორინი (15), 1:1 ზგრინია (54)

**გაძევება:** ზგრინია (83. ვიჩენცა)

**ლივორნო-ემპოლი** 0:0

**ალბინოლეფე-გროსეტო** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივორნო | 28 | 12 | 14 | 2 | 41-21 | 50 |
| 2. ბარი | 28 | 14 | 11 | 4 | 33-23 | 50 |
| 3. სასუოლო | 28 | 13 | 9 | 6 | 40-26 | 48 |
| 4. პარმა | 28 | 12 | 12 | 4 | 37-23 | 48 |
| 5. ბრეშა | 28 | 13 | 7 | 8 | 35-24 | 46 |
| 6. ტრიესტინა | 28 | 12 | 9 | 7 | 37-28 | 45 |
| 7. ემპოლი | 28 | 11 | 8 | 9 | 30-29 | 41 |
| 8. გროსეტო | 27 | 12 | 5 | 10 | 45-46 | 41 |
| 9. ვიჩენცა | 28 | 9 | 11 | 8 | 31-20 | 38 |
| 10. ალბინოლეფე | 27 | 9 | 11 | 7 | 25-25 | 38 |
| 11. რიმინი | 28 | 9 | 8 | 11 | 32-37 | 35 |
| 12. პიაჩენცა | 28 | 9 | 7 | 12 | 28-33 | 34 |
| 13. ჩიტადელა | 28 | 7 | 12 | 9 | 29-28 | 33 |
| 14. ასკოლი | 28 | 10 | 7 | 11 | 25-30 | 33* |
| 15. პიზა | 28 | 8 | 9 | 11 | 33-41 | 33 |
| 16. ანკონა | 28 | 9 | 5 | 14 | 34-40 | 32 |
| 17. ფროზინონე | 28 | 8 | 8 | 12 | 33-40 | 32 |
| 18. მანტოვა | 28 | 8 | 8 | 12 | 26-34 | 32 |
| 19. სალერნიტანა | 28 | 8 | 6 | 14 | 27-38 | 30 |
| 20. მოდენა | 28 | 5 | 10 | 13 | 37-47 | 25 |
| 21. აველინო | 28 | 5 | 11 | 12 | 25-41 | 24* |
| 22. ტრევიზო | 28 | 5 | 12 | 11 | 29-37 | 23* |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს და ასკოლის დაკლებული აქვთ 4-4 ქულა, აველინოს 2.*

**ბომბარდირები:** 15 - ვანტაჯატო (პარმა); 14 - ტავანო (ლივორნო); 12 - მეჯორინი (ჩიტადელა); 11 - ბარეტო (ბარი), ბრუნო (მოდენა), კ. ლუკარელი (პარმა), მასტრონუნციო (ანკონა), სანსოვინი (გროსეტო); 10 - კარაჩოლო (ბრეშა), დიამანტი (ლივორნო), ლოდი (ემპოლი), ნასი (ბრეშა).

## ლეგა პრო 1/A

### XXIV ტური

პერგოკრემა-ჩეზენა 1:0; პრო პატრია-კრემონეზე 2:2; სპალ-ლუმეცანე 0:1; ლეკო-მონცა 1:1; რეჯანა-ნოვარა 0:0; ვენეცია-პადოვა 0:1; სამბენედეტეზე-პორტოგრუარო 0:0; ლენიანო-პრო სესტო 1:0; რავენა-ვერონა 2:0.

## ლეგა პრო 1/B

### XXIV ტური

პისტოიეზე-არეცო 1:1; პოტენცა-კროტონე 2:0; გალიპოლი-ფოჯა 2:2; კავეზე-პაგანეზე 1:0; იუვე სტაბია-პერუჯა 1:3; ვირტუს ლანჩანო-პესკარა 2:0; ფოლინიო-რეალ მარჩანიზე 1:1; ბენევენტო-სორენტო 1:0; ტარანტო-ტერნანა 1:0.

ესპანეთი. ლიგა BBVA. XXV ტური

# ატლეტიკომ პრიმერაში კოცონი დაანთო


ფორლანმა და აგუერომ დუბლები გაიფორმეს

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ „ვისენტე კალდერონზე“ სასწაული მოხდა. „ატლეტიკო“ ორჯერ აგებდა, თუმცა ჰანდიკაპი ორივეჯერ ამოქაჩა და პრიმერა დივიზიონში ისეთი კოცონი დაანთო, არავინ იცის, მის მცხუნვარე ცეცხლზე ვინ დაიწყება. ასეთი შეხვედრები ძალიან იშვიათად ტარდება. როცა ერთმანეთს მადრიდული და კატალონიური გუნდები ხვდებიან, გამორიცხული არაფერია. პირიქით, გულშემატკივრები ყოველთვის ლამაზ და საინტერესო სანახაობას ელიან ხოლმე, მაგრამ გუშინდელი შეხვედრის ასეთ სცენარს ბევრი ვერ წარმოიდგენდა. არ ვამბობთ, რომ „როხიბლანკოს“ გამარჯვება შეუძლებელი იყო. უბრალოდ, ვერავინ ივარაუდებდა, რომ „ბარსა“ ორი ბურთით დაწინაურდებოდა, შემდეგ მეტოქეს წონასწორობის აღდგენის საშუალებას მისცემდა, მერე ისევ წინ გავიდოდა, მაგრამ საბოლოოდ სამარცხვინოდ წააგებდა. კატალონიელებს შეხვედრის მთავარ არბიტრთან ბევრი პრეტენზია აქვთ, მაგრამ ამით ისინი თავს ვერ გაიმართლებენ. სტუმრებმა შეხვედრა საკუთარი უსუსურობისა და წარმოუდგენელი ფსიქოლოგიური პრობლემების გამო დათმეს. აშკარაა, „ბარსელონას“ რაღაც სჭირს. ამ გუნდმა ჩემპიონთა ლიგის და პრიმერა დივიზიონის 4 შეხვედრიდან 2 წააგო და 2 ფრედ დაასრულა. **პეპ გვარდიოლამ** პრიმერა დივიზიონში ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია, არადა, ყველაფერი რა კარგად დაიწყო. შეხვედრის მე-18 წუთზე **ტიერი ანრიმ** შორეული ულამაზესი დარტყმით ანგარიში გახსნა. დაახლოებით 12 წუთში **ლეო მესის** ჯერი დადგა. მან ჩვეული ოსტატობა გამოამჟღავნა, რამდენიმე მცველი დაიბრიყვა და მეკარეს აულებელი დაურტყა. არ ვიცით, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ორბურთიანმა უპირატესობამ „ბარსას“ დათვური სამსახური გაუწია. ისინი მოდუნდნენ და მწარედ დაისაჯნენ. **დიეგო ფორლანს** ერთი ბურთის გასაქვითადად სულ რაღაც ორი წუთი დასჭირდა. ურუგვაელმა ფორვარდმა თანაგუნდელების მიერ ორგანიზებული მშვენიერი კომბინაცია დააგვირგვინა. არ გვინდა, მასპინძლებს გარჯა დავუკარგოთ, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ გოლის გატანაში ფორლანს სტუმართა ნახევარდაცვა, დაცვა და განსაკუთრებით, **ვიქტორ ვალდესი** დაეხმარნენ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კატალონიური გრანდის მეკარე ბოლო შეხვედრებს იდიოტურად ატარებს.

შესვენების შემდეგ „ატლეტიკო“ აშკარად უფრო შემართული და მოტივირებული გამოვიდა. მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ წაგებისგან თავი დაეღწიათ და გულშემატკივრები ნანატრი გამარჯვებით გაეხარებინათ. ერთი შეხედვით შეუძლებელი ამოცანა მათ რეალობად აქციეს. 56-ე წუთზე დედაქალაქელებმა ისევ და ისევ ბანალური გარემოების ხარჯზე გაიტანეს. კაცმა არ იცის, „ბარსას“ მცველები რას აკეთებდნენ. მასხარად აქცეულმა ვალდესმა **სერხიო აგუეროს** არცთუ რთული დარტყმა ვერ მოიგერია. პრინციპში, იმ ეპიზოდში მეკარეზე მეტად ცენტრალურმა მცველებმა მიქარეს. შეშინებულმა „ბარსელონამ“ კიდევ ერთხელ შეძლო დაწინაურება. 73-ე წუთზე ტიერი ანრიმ პრაქტიკულად ცარიელ კარში შეაგდო. შეხვედრის დასრულებამდე დიდი დრო ნამდვილად არ რჩებოდა. კატალონიელები უბრალოდ ვალდებული იყვნენ, საქმე გამარჯვებამდე მიეყვანათ, მაგრამ მათმა უპირატესობამ სადღაც 6 წუთს გასტანა. დიეგო ფორლანმა ვიქტორ ვალდესს აულებელი პენალტი გაუტანა. „ატლეტიკოს“ ფეხბურთელები მიხვდნენ, რომ „ბარსა“ ნოკდაუნში იყო და მისი მიწასთან გასწორება გადაწყვიტეს. მადრიდელთა მონდომებამ მშვენიერი შედეგი გამოიღო. 89-ე წუთზე მოვლენათა ეპიცენტრში ისევ სერხიო აგუერო მოექცა. არგენტინელმა ფორვარდმა ისევ და ისევ სტუმართა დაცვის სამარცხვინო თამაშით ისარგებლა. ამას თამაშიც არ ჰქვია. თავად განსაჯეთ, გოლის გატანისას აგუერო „ბარსელონას“ საჯარიმოში მარტოდმარტო იყო. კატალონიელებს კი კარის სიახლოვეს 4 მცველი ჰყავდათ. მიუხედავად ყველაფრისა, აგუერომ მეტოქე არაფრად ჩააგდო. მან გამოცდილი **კარლეს პუიოლი** ისე გააბითურა, როგორც საყმაწვილო საფეხბურთო სკოლაში ახლახან მისული ლაწირაკი.

ამ წაგების შემდეგ პრიმერა დივიზიონში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ფორმიდან ამოვარდნილი „ბარსელონა“ ახლა მხოლოდ 4 ქულით ლიდერობს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პეპ გვარდიოლასა და მის ბიჭებს „რეალთან“ გასვლითი შეხვედრა აქვთ ჩასატარებელი. თუ „ბარსა“ გონს არ მოეგება, ისე შერცხვება, რომ ლაქას მრავალი წლის განმავლობაში ვერ ჩამოირეცხავს. ამ გუნდმა ბოლო სამ ტურში 8 ქულა გაფლანგა.

წინა დღით „რეალი“ „მონჟუიკზე“ „ესპანიოლს“ ესტუმრა. ბუნებრივია, სამეფო კლუბის ფეხბურთელებმა არ იცოდნენ, „ბარსა“ ასე რომ მოიჭრიდა თავს, თუმცა **ხუანდე რამოსის** ბიჭებს იმედი ჰქონდათ, რომ მათთვის არანაკლებ საძულველი „ატლეტიკო“ სასიამოვნო სიურპრიზს მოუმზადებდა. „რეალი“, ბუნებრივია, მხოლოდ „როხიბლანკოს“ იმედად ვერ იქნებოდა. მადრიდულ გიგანტს „ესპანიოლი“ ნებისმიერ ფასად უნდა დაემარცხებინა. ხუანდე რამოსს ჰაერივით საჭირო სამი ქულა ძველი გვარდიის მებრძოლებმა, **გუტიმ** და **რაულმა** მოუტანეს. ანგარიში 67-ე წუთზე გაიხსნა. სამეფო კლუბის გულშემატკივრებმა მანამდე ალბათ, ბევრი ინერვიულეს, მაგრამ ხოსე მარიას მიერ გატანილმა ულამაზესმა საჯარიმომ ყველაფერი ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. 5 წუთში სტუმართა გამარჯვება უკვე ცხადი გახდა. „რეალი“ ბოლო დროს ისე კარგად თამაშობს, „მონჟუიკიდან“ ხელმოცარული არ წავიდოდა და „ბარსელონასთან“ მიახლოების სიამოვნებაზე უარს არ იტყოდა. ერთი სიტყვით, 72-ე წუთზე რაულ გონსალესმა საჯარიმოს მისადგომებიდან შესრულებული გამოზომილი დარტყმით დედაქალაქელებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ლიდერებს შორის სხვაობა 4 ქულამდე შემცირდა. ეს კი დაძაბული ფინიშის წინაპირობაა, თუმცა თუ „ბარსა“ გონს არ მოეგება, საქმე დიდი ხნით არ დაიძაბება და „რეალი“ მას ისე ჩაუქროლებს, როგორც ახალთახალი „ფერარი“ ჯართში გადასაგდებ მანქანას.

„ნუმანსია“ 2009 წლის ყველაზე უსახურ გუნდად რჩება. როგორც ჩანს, ეს კლუბი პრიმერა დივიზიონიდან გავარდნისთვისაა განწირული. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სათამაშო უპირატესობისა და აქტიურობის თვალსაზრისით, „დეპორტივო“ მეტოქეს ბევრით ვერაფრით სჯობდა, პირიქით, მასპინძლები მთელ რიგ ეპიზოდებში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა ბოლოს მაინც გალისიელები დარჩნენ მოგებული. **ხუან როდრიგესის** მიერ 74-ე წუთზე გატანილი გოლის გამო „ნუმანსია“ პრიმერა დივიზიონს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. „დეპორმა“ კი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი გაიუმჯობესა.

„სევილიამ“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „სან მამესი“ მისთვის იოლად ასაღები ციხე-სიმაგრეა. თავად განსაჯეთ, ანდალუსიელებმა ბილბაოში ჩატარებული ბოლო ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგეს. ესპანელი ჟურნალისტები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ შაბათის შეხვედრა ერთგვარი შესავალი იყო. საქმე ის არის, რომ რამდენიმე დღეში ამ გუნდებს „სან მამესზე“ კიდევ ერთხელ მოუწევთ ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგომა. ოღონდ ამჯერად ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალში. სათასო დაპირისპირების დიდი ფასის მიუხედავად, პრიმერადივიზიონური შეხვედრა ნახევარფინალისთვის მოსამზადებლად, რა თქმა უნდა, არავის გამოუყენებია. ბასკები და ანდალუსიელები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სამკვდრო სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ სატურნირო მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. როგორც ხედავთ, ამ ამოცანას **მანოლო ხიმენესის** ბიჭებმა უკეთ გაართვეს თავი. სტუმართა გამარჯვებაში მთავარი როლი **ფრედერიკ კანუტემ** ითამაშა. აფრიკელ ფორვარდს მიმდინარე სეზონში 10 გოლი დაუგორავა. მთლიანობაში კი მას „სევილიას“ მაისურით 52 ბურთი აქვს შეგდებული და ამ მაჩვენებლით ანდალუსიური კლუბის ყველა დროს საუკეთესო ბომბარდირთა ათეულში მოხვდა.

„ვალენსიას“ ფინანსური პრობლემები კლუბის თამაშზე პირდაპირპროპორციულად აისახება. „ვალიადოლიდმა“ „მესტალიაზე“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. არადა, ამ გუნდისგან ასეთი წარმატება მაინც მოულოდნელია. კასტილიელები ერთ-ერთი ყველაზე არასტაბულურები არიან და ქულებს უმოწყალოდ ფლანგავენ ხოლმე... თუმცა ამჯერად სენიორ **მენდილიბარის** ბიჭებმა **ვილიას** გარეშე დარჩენილ „ღამურებს“ იოლად მოუგეს.

**ხუან არანგოს** მიერ გატანილმა ულამაზესმა საჯარიმო დარტყმამ „მალიორკას“ სამი ქულა მოუტანა და გასავარდნი ზონისთვის თავის დაღწევის საშუალება მისცა. ამ გამარჯვების შემდეგ ბალეარელები ქულების რაოდენობით „სპორტინგს“ გაუთანაბრდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლიგიდან გავარდნის საფრთხე ახლა უკვე ხიხონელებსაც სერიოზულად ემუქრებათ. ალბათ, გემახსოვრებათ, რომ „სპორტინგი“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც მიმდინარე სეზონში ფრედ არ უთამაშია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

7 მარტი. რეალი-ატლეტიკო, ბარსელონა-ბილბაო, ვილიარეალი-ესპანიოლი. 8 მარტი. დეპორტივო-რასინგი, სევილია-ალმერია, მალიორკა-ბეტისი, ოსასუნა-სპორტინგი, ნუმანსია-ვალენსია, რეკრეატივო-ვალიადოლიდი, ხეტაფე-მალაგა.

### ბილბაო-სევილია 1:2

**ბილბაო:** ირაისოსი - უსტარიტსი, ეჩეიტა, ამორებიეტა, ბალენსიაგა -სუსაეტა, გურპეგი, მუნიოსი (55. იტურასპე), გაბილონდო (80. გარმენდია) - იონ ველესი (58. იგინო ველესი), ტოკერო.

**სევილია:** პალოპი - მოსკერა, სკილაჩი, დრაგუტინოვიჩი, ფერნანდო ნავარო - რომარიკი, ფასიო (53. რენატო), დუშერი, დიეგო კაპელი (74. კონკო) - პეროტი, კანუტე (65. აკოსტა).

**გოლები:** 1:0 გაბილონდო (26), 1:1 კანუტე (39), 1:2 კანუტე (58)

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 8(5)-17(4); **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 18-10; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 35 000

### ესპანიოლი-რეალი 0:2

**ესპანიოლი:** კამენი - სერხიო სანჩესი, ხარკე, პარეხა, დავიდ გარსია - მოისეს ურტადო (85. სმილიანიჩი) - ლუის გარსია, რომან მარტინესი (70. კორომინასი), დე ლა პენია, ნენე - ივან ალონსო (63. ტამუდო).

**რეალი:** კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, ჰაინცე - რობენი (75. სავიოლა), ლ. დიარა, სნეიდერი (59. გუტი), იგუაინი (59. მარსელო) - რაული, ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 გუტი (67), 0:2 რაული (72)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 9(2)-11(3); **კუთხური:** 3-2; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 12-17; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 33 950

### ნუმანსია-დეპორტივო 0:1

**ნუმანსია:** ხუან პაბლო - ფელიპე, პავონი, ბორისი, რაულ ბრავო - დელ პინიო, ნაგორე, ბარკერო (62. მორენო), ბელვისი (75. გორირია) - ბრიტი (54. გაირე), არანდა.

**დეპორტივო:** არანსუბია - ლაური, ზე კასტრო (31. კოლოტო), ადრიან ლოპესი, ფილიპე - ანტონიო ტომასი (44. სერხიო), დე გუსმანი - ხოსე როდრიგესი, ვერდუ (87. პაბლო ამო), ლაფიტა - ლასადი.

**გოლი:** 0:1 ხუან როდრიგესი (74)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 11(3)-13(5); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 12-15; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 8 000

### რასინგი-ოსასუნა 1:1

**რასინგი:** ტონიო - პინილიოსი, ორიოლი, მარკანო, სესპი (55. ლუქსენი) - ვალერა, კოლსა (67. ედუ ბედია), ლასენი, სერანო - ტონი მორალი, პერეირა (90+1. ბეროკალი).

**ოსასუნა:** რობერტო - ასპილიკუეტა, ფლანიო, კრუჩაგა, მონრეალი - ხუანფრანი, პუნიალი (90. ვადოჩი), ნექუნამი, პლასილი - მასუდი (61. პორტილიო), პანდიანი (87. იდალგო).

**გოლები:** 1:0 სერანო (13), 1:1 პანდიანი (45)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(5)-11(4); **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 0-7; **ჯარიმა:** 24-19; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 15 792

### ალმერია-ხეტაფე 2:1

**ალმერია:** ალვესი - ბრუნო, აკასიეტე, პელერანო, მანე - ხუანიტო, ირინეი - ხუანმა ორტისი (59. ხოსე ორტისი), კალუ უჩე (90. ჩიკო) - კრუსატი (74. კორონა), ნეგრედო.

**ხეტაფე:** ხაკობო - კორტესი, მარიო, კატა დიასი, ლიხტი - გავილანი, კასკერო, პოლანსკი (65. სელესტინი), გერონი (65. ალბინი) - უჩე, სოლდადო.

**გოლები:** 0:1 გერონი (6), 1:1 ნეგრედო (16), 2:1 ნეგრედო (63)

**გაფრთხილება:** 4-5; **დარტყმა:** 11(5)-17(5); **კუთხური:** 8-2; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 19-14; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 15 000

### სპორტინგი-მალიორკა 0:1

**სპორტინგი:** ლაფუენტე - კამარა, ხერარდი, ხორხე, ხოსე ანხელი - ანდრეუ, კიკე მატეო (55. ბარალი), დიეგო კამაჩო (55. ლუის მორანი), მიჩელი - დიეგო კასტრო, ბილიჩი (71. მალდონადო).

**მალიორკა:** ავატე - სკალონი, დავიდ ნავარო, რამისი (75. ხოსემი), აიოსე - მარტი, კლებერ სანტანა, ვარელა, ხურადო (71. კეიტა) - არანგო, ადურისი (83. მარიო).

**გოლი:** 0:1 არანგო (40)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 12(2)-12(7); **კუთხური:** 4-1; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 15-13; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 17 000

### მალაგა-რეკრეატივო 0:2

**მალაგა:** გოიტია - გომესი, ველიგტონი, კუადრადო (60. ბაროსი), კალეხა - ელისეუ, ლოლო, აპონიო, დუდა - ლუკე (54. სალვა), ბაა (59. ნაჩო).

**რეკრეატივო:** რიესგო - ბუსონი, მორისი, ლამასი, კასადო (72. აკალე) - ბარბერი, ხავი ფუეგო, ხესუს ვასკესი, აიტორი - კამუნიასი (90. მაიდანა), კოლუნგა (85. რუბენი).

**გოლები:** 0:1 კამუნიასი (54), 0:2 კოლუნგა (63)

**გაძევება:** ლოლო (34. მალაგა)

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 16(4)-10(5); **კუთხური:** 12-4; **თამაშგარე:** 6-3; **ჯარიმა:** 17-23; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 28 000

### ატლეტიკო-ბარსელონა 4:3

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო - ჯონი ჰეიტინგა, ტომაშ უიფალუში, პაბლო იბანიესი, ანტონიო ლოპესი - მაქსი როდრიგესი (67. სინამა პონგოლე), რაულ გარსია (78. მანიშე), პაულო ანსუნსაო, სიმაო - ფორლანი (90. ბანეგა), აგუერო.

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი - დანიელ ალვეში, მარკესი, პუიოლი, სილვინიო (79. კასერესი) - გუდიონსენი, იაია ტურე, ჩავი - მესი, ეტო'ო, ანრი.

**გოლები:** 0:1 ანრი (19), 0:2 მესი (30), 1:2 ფორლანი (32), 2:2 აგუერო (55), 2:3 ანრი (73), 3:3 ფორლანი (80-პენ), 4:3 აგუერო (89)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 22(9)-13(5); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 3-2; **ჯარიმა:** 15-16; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 50 000

### ვალენსია-ვალიადოლიდი 1:2

**ვალენსია:** სესარი - მორეტი, მარჩენა, რაულ ალბიოლი (62. ვისენტე), მატური - მატა, ბარახა (62. მანუელ ფერნანდეში), ალბელდა, ხოაკინი - მორიენტესი, სილვა (61. მიჩელი).

**ვალიადოლიდი:** ვილიარი - ალბერტო მარკოსი, ბეა, ლუის პრიეტო (46. ნანი), პედრო ლოპესი - გოიტომი (85. კანობიო), ბორხა (67. ვივარ დორადო), ალვარო რუბიო, ვიქტორი - სესმა, პედრო ლეონი.

**გოლები:** 0:1 სესმა (6), 0:2 რაულ ალბიოლი (31-საკ. კარში), 1:2 მარჩენა (73)

**გაძევება:** პედრო ლოპესი (82. ვალიადოლიდი)

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 13(4)-9(2); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 18-13; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 34 000

### ბეტისი-ვილიარეალი 2:2

**ბეტისი:** რიკარდო - ნელსონი, ხუანიტო, მელი, ფერნანდო ვეგა - სერხიო გარსია, მეჰმეთ აურელიო, არსუ (54. რივერა), მარკ გონსალესი - ხუანმა (75. ოდონკორი) - რიკარდო ოლივეირა.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი - ხავი ვენტა, ფუენტესი, გოდინი, კაპდევილა - სანტი კასორლა, ეგურენი, პირესი (75. ხ. ლორენტე), კანი - მატი ფერნანდესი (65. მარკოს სენა), როსი (82. ნიჰათი).

**გოლები:** 0:1 სანტი კასორლა (6), 0:2 სანტი კასორლა (36), 1:2 სერხიო გარსია (42), 2:2 რიკარდო ოლივეირა (57)

**გაფრთხილება:** 5-4; **დარტყმა:** 26(5)-14(6); **კუთხური:** 8-2; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 14-23; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 23 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 25 | 19 | 3 | 3 | 74-24 | 60 |
| 2. რეალი | 25 | 18 | 2 | 5 | 57-28 | 56 |
| 3. სევილია | 25 | 14 | 5 | 6 | 34-22 | 47 |
| 4. ვილიარეალი | 25 | 11 | 9 | 5 | 40-34 | 42 |
| 5. ატლეტიკო | 25 | 11 | 6 | 8 | 52-38 | 39 |
| 6. ვალენსია | 25 | 11 | 6 | 8 | 45-37 | 39 |
| 7. მალაგა | 25 | 11 | 6 | 8 | 41-37 | 39 |
| 8. დეპორტივო | 25 | 11 | 6 | 8 | 29-30 | 39 |
| 9. ვალიადოლიდი | 25 | 10 | 3 | 12 | 37-40 | 33 |
| 10. ალმერია | 25 | 8 | 7 | 10 | 32-39 | 31 |
| 11. ბილბაო | 25 | 8 | 7 | 10 | 35-39 | 31 |
| 12. რასინგი | 25 | 7 | 9 | 9 | 26-29 | 30 |
| 13. რეკრეატივო | 25 | 7 | 8 | 10 | 23-34 | 29 |
| 14. ხეტაფე | 25 | 6 | 10 | 9 | 35-38 | 28 |
| 15. ბეტისი | 25 | 7 | 6 | 12 | 34-40 | 27 |
| 16. მალიორკა | 25 | 7 | 6 | 12 | 25-40 | 27 |
| 17. სპორტინგი | 25 | 9 | 0 | 16 | 30-54 | 27 |
| 18. ოსასუნა | 25 | 5 | 10 | 10 | 26-31 | 25 |
| 19. ესპანიოლი | 25 | 4 | 9 | 12 | 22-40 | 21 |
| 20. ნუმანსია | 25 | 6 | 2 | 17 | 26-49 | 20 |

**ბომბარდირები:** 23 - ეტო'ო (ბარსელონა); 19 - ვილია (ვალენსია); 17 - მესი (ბარსელონა), ფორლანი (ატლეტიკო); 15 - ნეგრედო (ალმერია); 14 - ანრი (ბარსელონა), იგუაინი (რეალი), რაული (რეალი); 12 - აგუერო (ატლეტიკო), როსი (ვილიარეალი); 10 - კანუტე (სევილია), ფ. ლორენტე (ბილბაო).

## II დივიზიონი

### XXVI ტური

**ალავესი-სოსიედადი 2:1**
გოლები: 0:1 აბრეუ (37), 1:1 გერა (66), 2:1 ალმირონი (81)

**ხირონა-კორდობა 1:1**
გოლები: 0:1 ნატალიო (50), 1:1 ჩეჩუ (90)

**ერკულესი-ლას პალმასი 4:2**
გოლები: 0:1 საული (16), 1:1 ტოტე (44), 2:1 ფარინოსი (55), 3:1 დელიბაშიჩი (65), 3:2 მარკესი (78), 4:2 სენდოა (82)

**უესკა-ელჩე 3:2**
გოლები: 1:0 ლ. ელგერა (45), 2:0 მარტინი (53), 3:0 ხოსე (61), 3:1 ფუსტერი (64-პენ), 3:2 ფუსტერი (90-პენ)

**მურსია-სარაგოსა 1:4**
გოლები: 0:1 ევერტონი (20-პენ), 1:1 მონტორო (45), 1:2 აიალა (54), 1:3 საპატერი (78), 1:4 არისმენდი (79)

**ხერესი-ვალეკანო 1:1**
გოლები: 0:1 კოლანტესი (27), 1:1 კალე (34)

**კასტელონი-სალამანკა 2:0**
გოლები: 1:0 ულოა (57), 2:0 როსასი (77)

**ეიბარი-ალიკანტე 1:2**
გოლები: 1:0 მედინა (41), 1:1 პედრო (76), 1:2 ბორხა (88)

**ხიმნასტიკი-ალბასეტე 1:0**
გოლი: 1:0 ხოსე მარი (22)

**სევილია II-ლევანტე 1:2**
გოლები: 0:1 ნადალი (23), 0:2 რუბენი (33), 1:2 ბარანკო (45)

**ტენერიფე-სელტა 3:0**
გოლები: 1:0 ალფარო (5), 2:0 ლუნა (10), 3:0 ნინიო (57)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხერესი | 26 | 14 | 8 | 4 | 46-25 | 50 |
| 2. ტენერიფე | 26 | 14 | 5 | 7 | 47-34 | 47 |
| 3. ერკულესი | 26 | 12 | 9 | 5 | 42-25 | 45 |
| 4. ვალეკანო | 26 | 11 | 11 | 4 | 32-24 | 44 |
| 5. სარაგოსა | 26 | 12 | 7 | 7 | 44-29 | 43 |
| 6. კასტელონი | 26 | 11 | 10 | 5 | 37-26 | 43 |
| 7. სალამანკა | 26 | 10 | 8 | 8 | 38-30 | 38 |
| 8. ლევანტე | 26 | 11 | 5 | 10 | 37-39 | 38 |
| 9. უესკა | 26 | 9 | 10 | 7 | 35-32 | 37 |
| 10. ხიმნასტიკი | 26 | 9 | 10 | 7 | 40-31 | 37 |
| 11. სოსიედადი | 26 | 8 | 12 | 6 | 25-22 | 36 |
| 12. ხირონა | 26 | 8 | 12 | 6 | 30-30 | 36 |
| 13. მურსია | 26 | 10 | 4 | 12 | 27-34 | 34 |
| 14. ელჩე | 26 | 8 | 9 | 9 | 33-31 | 33 |
| 15. სელტა | 26 | 8 | 9 | 9 | 28-31 | 33 |
| 16. ალბასეტე | 26 | 8 | 8 | 10 | 29-35 | 32 |
| 17. ალავესი | 26 | 8 | 6 | 12 | 28-43 | 30 |
| 18. ლას პალმასი | 26 | 6 | 10 | 10 | 30-31 | 28 |
| 19. კორდობა | 26 | 7 | 7 | 12 | 25-31 | 28 |
| 20. ეიბარი | 26 | 7 | 6 | 13 | 20-35 | 27 |
| 21. ალიკანტე | 26 | 4 | 7 | 15 | 21-44 | 19 |
| 22. სევილია B | 26 | 1 | 7 | 18 | 15-47 | 10 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

# ლივერპულის თამაშგარეში?

## იუნაიტედი ფაქტობრივად უკონკურენტოდ დარჩა

„მიდლსბრომ“ „ლივერპულის“ საჩემპიონო ამბიციებს გამანადგურებელი დარტყმა აგემა. რივერსაიდელებმა სატურნირო მდგომარეობა ვერ გამოისწორეს. ისინი ისევ გასავარდნ ზონაში იმყოფებიან, მაგრამ ეს სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდათ.

„მიდლსბროს“ 15-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა, „ლივერპულს“ 15-მატჩიანი წაუგებელი სერია. მასპინძლების უკანასკნელი გამარჯვება გასული წლის 9 ნოემბრით თარიღდებოდა. მათ ბირმინგემში „ასტონ ვილას“ 2:1 სძლიეს. მიდლსბროელთა უკანასკნელი საშინაო წარმატება კიდევ უფრო ძველი გახლდათ – 29 ოქტომბერს „მანჩესტერ სიტის“ ორი უპასუხო გოლი უძლვნეს.

როგორც ხედავთ, **გარეთ საუთგეიტის** შეგირდების კარგი გემოვნება აქვთ. ისინი მხოლოდ ამბიციურ მეტოქეებს ერჩიან. თავიანთი კალიბრის გუნდებთან კი უშურველად ანიავებენ ქულებს. ეს კი მათ, შეიძლება, ქვედა დივიზიონში დაქვეითების ფასად დაუჯდეთ. სტატისტიკის მოყვარულებს იმასაც ვეტყვით, რომ **ჩაბი ალონსოს** ავტოგოლამდე, მიდლსბროელებს მეტოქე 526 წუთის განმავლობაში არ ჰყავდათ დამწუხრებული.

რამდენიმე დღით ადრე „ლივერპულმა“ მადრიდში „რეალს“ მოუგო. შაბათ საღამოს კი „მიდლსბროსთან“ შერცხვა. მასპინძლებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. გასულ ოთხშაბათს მათ „ვესტ ჰემსაც“ სძლიეს და ასოციაციის თასის მეოთხედფინალში გააღწიეს. „ლივერპულთან“ მატჩისას „რივერსაიდის“ სტადიონი თითქმის პირთამდე შეივსო. თამაშზე 33 724 მაყურებელი მივიდა, რაც ამ სეზონში ყველაზე დიდი დასწრებაა. ფანებმა ნანატრი გოლი 31-ე წუთზე იხილეს. სტუმართა კარში კუთხური დაინიშნა. **სტიუარტ დაუნინგმა** ბურთი მეკარის საჯარიმოში ჩააგდო. ჩაბი ალონსომ მისი მოგერიება სცადა, მაგრამ... საკუთარი კარი დალაშქრა.

მეორე ტაიმი სამი წუთის დაწყებული იყო, როდესაც “ლივერპულმა“ მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი შექმნა. **სტივ ჯერარდი** (რომელიც მერსისაიდელთა ძირითადში მე-300 შეხვედრას ატარებდა) მეტოქის საჯარიმოში შეიპარა და **ნაბილ ელ ზარს** მოხდენილი პასი გაუკეთა. ახალგაზრდა ლივერპულელმა ბურთი მაღლა, ტრიბუნაზე გაგზავნა. 63-ე წუთზე „მიდლსბრომ“ მეორე გოლი გამოაცხო: **ჟერემი ალიადიერი** მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და **თუნჯაი სანლის** გაუგორა ბურთი. თურქმა თავდამსხმელმა **პეპე რეინას** დაბალ კუთხეში გაუტანა.

ნამატჩევს **რაფა ბენიტესმა** აღიარა, რომ მის შეგირდებს „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაწევა ძალიან გაუძნელდებათ. თუმცა პირველ ადგილს ვინლა ჩივის – მერსისაიდელებს, შესაძლოა, მეორე საფეხური და ჩემპიონთა ლიგის ავტომატური საგზურიც გვერდზე დარჩეთ. „ლივერპულის“ წაფორხილებით „ჩელსიმ“ ისარგებლა და კონკურენტს გაუსწრო...

“არისტოკრატებს“ “უიგანის“ დამარცხება გვარიანი ნერვიულობის ფასად დაუჯდათ. თამაშისათვის განკუთვნილი 90 წუთი ისე მიიწურა, რომ ტაბლოზე 1:1 ენთო. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. 25-ე წუთზე **ჯონ ტერიმ** ძლიერი დარტყმით გაიტანა. 82-ე წუთზე სტუმარმა **ოლივიე კაპომ** წონასწორობა აღადგინა. „სტემფორდ ბრიჯზე“ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. მსაჯისაგან დამატებულ დროში **ფრენკ ლემპარდმა** ბურთს თავი დაჰკრა და „ჩელსის“ სამი ქულა შემატა. როგორც აღვნიშნეთ, „არისტოკრატები“ მეორე ადგილზე გადავიდნენ, მაგრამ მათ „მანჩესტერ იუნაიტედისაგან“ შვიდი ქულა ჰყოფთ. ამას გარდა, „ეშმაკებს“ ერთი თამაში თადარიგში აქვთ.

პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს. მე-17 წუთზე **მარიო მელხიოტის** მიერ წამოწყებული შეტევა **ამრ ზაქიმ** გააგრძელა. მან **პოლ შარნერი** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. **პეტრ ჩეხმა** თავისიანები ნაღდი გოლისაგან იხსნა. მეორე ეპიზოდში „ჩელსი“ უფრო დიდ საფრთხეს გადაურჩა. **ეშლი კოულმა** ჯერ **ტიტუს ბრემბლის** დარტყმული ბურთი გამოიტანა კარის ხაზიდან, შემდეგ **შარლ ნზოგბიას** დამატებულს გადაელობა.

“არისტოკრატები” გათავხედებულ სტუმარს ვალში არ დარჩნენ. **კრის კერკლანდმა ჯონ ობი მიკელის** შორეული დარტყმა მოიგერია. მასპინძლებმა 25-ე წუთზე დაწინაურდნენ: ლემპარდმა საჯარიმოში ჩააწოდა. **ემერსონ ბოისმა** ბურთი უხეიროდ გამოიტანა. მას ჯონ ტერიმ მიუსწრო და საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა. ათ წუთში „ჩელსის“ მეორე გოლის გატანა მართებდა: **სალომონ კალუმ** ლემპარდი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ფრენკმა შანსი ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმის დასაწყისში **დიდიე დროგბამ** წინ გამოსულ კერკლანდს ბურთი თავზე გადაუგდო. ბრემბლმა კარი აკრობატული ილეთით გადაარჩინა. „უიგანს“ მეტოქის შეტევებს ძლივს იგერიებდა, მაგრამ თვალი მაინც კონტრშეტევებზე ეჭირა. 82-ე წუთზე კაპომ **ფიგეროას** ჩაწოდებით ისარგებლა და ახლო კუთხეში შეაგდო. თამაშის მიწურულს უიგანელმა მცველებმა ბურთის მოგერიება სცადეს. ის **მიხაელ ბალაკს** მიუვიდა. გერმანელმა ნახევარმცველმა კვლავ მეტოქის საჯარიმოში ჩაკიდა. ლემპარდმა **მარიო მელხიოტს** დაასწრო და გამარჯვების გოლი გაიტანა.

### მომდევნო ტური

3 მარტი. პორტსმუთი-ჩელსი, ვესტ ბრომვიჩი-არსენალი, ლივერპული-სანდერლენდი. 4 მარტი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა, ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი, სტოკ სიტი-ბოლტონი, უიგანი-ვესტ ჰემი, ბლექბერნი-ევერტონი, ფულჰემი-ჰალ სიტი, ტოტენჰემი-მიდლსბრო.

### ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი 2:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, იობო, ჟაგიელკა, ბაინესი, ჰიბერტი (26. ოსმანი), ფელაინი (61. საა), ფილ ნევილი, პიენაარი, გოსლინგი, ჟო (75. კასტილიო), ტიმ კაჰილი.

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ადბულაიე მეიტე, დონკი, რობინსონი, ცუიველოონი, ვალერო (53. გრინინგი), კორენი, ბრანტი, მორისონი, მარკ-ანტუან ფორჩუნი (89. ფელიპე ტეიშეირა), სიმპსონი (58. ლუკ მური).

**გოლები:** 1:0 ტიმ კაჰილი (36), 2:0 საა (70).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 12(5)-21(5); **ჯარიმა:** 9-18; **კუთხური:** 3-6; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 33 898

### არსენალი-ფულჰემი 0:0

**არსენალი:** ალმუნია, გალასი, კოლო ტურე, კლიში, სანია (70. ებუე), დიაბი, დენილსონი, ველა (63. ბენდტნერი), არშავინი, ვან პერსი, ნასრი.

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, ბეირდი (46. სტოორი), დენი მერფი, ეტუჰუ, საიმონ დევისი, დემპსი (88. გერა), ზამორა, ენდრიუ ჯონსონი.

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 19(4)-13(1); **ჯარიმა:** 6-14; **კუთხური:** 11-6; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 60 102

### ჩელსი-უიგანი 2:1

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, ალექსი, ეშლი კოული, მანსიენი (82. კვარეშმა), ობი მიკელი, ლემპარდი, ბალაკი, ანელკა, დროგბა, კალუ (76. ბელეტი).

**უიგანი:** კერკანდი, ბრემბლი, ბოისი, ფიგეროა, მელხიოტი, შარნერი, კატერმოული (70. როდალიეგა), ნზოგბია, ბრაუნი, კაპო, ზაქი (90. სიბირსკი).

**გოლები:** 1:0 ტერი (25), 1:1 კაპო (82), 2:1 ლემპარდი (90).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 17(8)-16(4); **ჯარიმა:** 15-15; **კუთხური:** 12-8; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 40 714

### მიდლსბრო-ლივერპული 2:0

**მიდლსბრო:** ჯოუნსი, ჰუთი, ვიტერი, პოგატეცი, ჰოიტი, არკა (89. უოქერი), ბეიტსი, დაუნინგი, ონილი, ალიადიერი (68. მარლონ კინგი), თუნჯაი (80. ადამ ჯონსონი).

**ლივერპული:** რეინა, ჰიიპია, კარაგერი (71. ბენაიუნი), ფაბიო აურელიო, შკრტელი, ჩაბი ალონსო, მასკერანო, კუიტი, ჯერარდი (77. ლუკასი), ბაბელი, ელ ზარი (68. ნგოგი).

**გოლები:** 1:0 ჩაბი ალონსო (31-საკ.კარში), 2:0 თუნჯაი (63).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 5(3)-23(4); **ჯარიმა:** 1-7; **კუთხური:** 2-9; **ბურთის ფლობა:** 28%-72%.

**მაყურებელი:** 33 724

### ჰალ სიტი-ბლექბერნი 1:2

**ჰალი:** დიუკი, ზაიათი, მაიკლ ტერნერი, დოსონი, დოილი (67. ფეგანი), მარნი, ეშბი, კილბეინი (53. კუზენი), მენდი, რიჩარდ გარსია, ჯოვანი (54. ბარმბი).

| 11. ვეილე | 18 | 2 | 7 | 9 | 13-28 | 13 |
| 12. ჰორსენსი | 18 | 2 | 5 | 11 | 17-31 | 11 |

## ხორვატია

XX ტური

| | |
|---|---|
| სიბალია–ვარტექსი | 1:0 |
| კროაცია–ზაგრები | 1:4 |
| შიბენიკი–ოსიეკი | 1:1 |
| ინკერი–ჰაიდუკი | 0:4 |
| რიეკა–ზადარი | 2:1 |
| დინამო–სლავენი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰაიდუკი | 20 | 14 | 2 | 4 | 37-17 | 44 |
| 2. დინამო | 20 | 13 | 3 | 4 | 38-19 | 42 |
| 3. სლავენი | 20 | 9 | 4 | 7 | 28-24 | 31 |
| 4. შიბენიკი | 20 | 8 | 5 | 7 | 29-20 | 29 |
| 5. რიეკა | 20 | 8 | 5 | 7 | 25-23 | 29 |
| 6. ვარტექსი | 20 | 8 | 3 | 9 | 27-29 | 27 |
| 7. ზაგრები | 20 | 7 | 6 | 7 | 23-27 | 27 |
| 8. ოსიეკი | 20 | 6 | 7 | 7 | 28-27 | 25 |
| 9. სიბალია | 20 | 7 | 3 | 10 | 19-33 | 24 |
| 10. ინკერი | 20 | 5 | 6 | 9 | 30-37 | 21 |
| 11. კროაცია | 20 | 5 | 4 | 11 | 24-38 | 19 |
| 12. ზადარი | 20 | 4 | 4 | 12 | 16-31 | 16 |

## კვიპროსი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| აპოპ–აელ | 1:3 |
| აეკ–აპოელ | 0:1 |
| ალკი–დოხა | 1:2 |
| აპოლონი–აევა | 1:1 |
| ენოსისი–ეთნიკოსი | 0:4 |
| ატრომიტოსი–ანორთოსისი | 1:6 |
| ომონია–აეპ | 0:0 |

## ისრაელი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ბნეი იეჰუდა–მაკაბი (ფ-თ) | 1:0 |
| ჰაპოელი (ქ-შ)–მაკაბი (ჰ) | 1:0 |
| ჰაპოელი (ფ-თ)–ჰაკოახი | 1:0 |
| აშდოდი–მაკაბი (თ-ა) | 1:0 |
| ჰაპოელი (თ-ა)–ბნეი სახნინი | 1:0 |
| ბეითარი–მაკაბი (ნ) | დღეს |

## სლოვენია

XXII ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა–პუბლიკუმი | 0:0 |
| რუდარი–ინტერბლოკი | 2:1 |
| პრიმორიე–კოპერი | 0:0 |
| დრავა–გორიცა | 2:2 |
| დომჟალე–მარიბორი | 3:3 |

## შვეიცარია

XXII ტური

| | |
|---|---|
| არაუ–გრასჰოპერი | 0:3 |
| სიონი–იანგ ბოიზი | 2:3 |
| ბელინცონა–ქსამაქსი | 2:0 |
| ლუცერნი–ბაზელი | 1:2 |
| ციურიხი–ვადუცი | 6:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 22 | 14 | 5 | 3 | 50-20 | 47 |
| 2. ბაზელი | 22 | 14 | 3 | 5 | 42-26 | 45 |
| 3. იანგ ბოიზი | 22 | 13 | 5 | 4 | 50-27 | 44 |
| 4. გრასჰოპერსი | 21 | 9 | 9 | 3 | 33-17 | 36 |
| 5. არაუ | 21 | 6 | 8 | 7 | 22-30 | 26 |
| 6. ბელინცონა | 22 | 6 | 6 | 10 | 21-31 | 24 |
| 7. ქსამაქსი | 22 | 5 | 8 | 9 | 29-35 | 23 |
| 8. სიონი | 22 | 5 | 6 | 11 | 25-39 | 21 |
| 9. ვადუცი | 22 | 4 | 6 | 12 | 13-41 | 18 |
| 10. ლუცერნი | 22 | 3 | 4 | 15 | 23-42 | 13 |

### ჩელენჯლიგა

XVII ტური

ნიონე-ლოკარნო 1:0; ლუგანო-თუნი 3:1; ლოზანა-გოსაუ 1:1; კონკორდია-ბილი 1:1; შაფჰაუზენი-სერვეტი 0:0; ვოლენი-ვილი 0:1; ვინტერტური-შო დე ფონი 0:1; სტ. გალენი-ივერდონი დღეს.

## ჩეხეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| პლზენი–ლიბერეცი | 0:2 |
| ბანიკი–ვიქტორია | 0:0 |
| სპარტა–ბუდეიოვიცე | 0:0 |
| ქლინი–კლადნო | 0:0 |
| იაბლონეცი–სიგმა | 1:0 |
| ბოჰემიანსი–სლავია | 0:0 |
| პრშიბრამი–ტეპლიცე | გადაიდო |
| ზბროიოვკა ბრნო | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლავია | 18 | 12 | 5 | 1 | 40-13 | 41 |
| 2. ბანიკი | 18 | 9 | 4 | 5 | 30-18 | 31 |
| 3. სპარტა | 18 | 9 | 4 | 5 | 28-17 | 31 |
| 4. ზბროიოვკა | 17 | 9 | 4 | 4 | 24-18 | 31 |
| 5. ლიბერეცი | 18 | 8 | 5 | 5 | 23-18 | 29 |
| 6. იაბლონეცი | 18 | 8 | 4 | 6 | 19-21 | 28 |
| 7. სიგმა | 18 | 7 | 5 | 6 | 21-23 | 26 |
| 8. ტეპლიცე | 17 | 7 | 4 | 6 | 18-14 | 25 |
| 9. ბრნო | 17 | 6 | 5 | 6 | 19-16 | 23 |
| 10. პლზენი | 18 | 5 | 7 | 6 | 25-24 | 22 |
| 11. ბოჰემიანსი | 18 | 6 | 2 | 10 | 23-30 | 20 |
| 12. ბუდეიოვიცე | 18 | 3 | 11 | 4 | 16-24 | 20 |
| 13. პრშიბრამი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-23 | 19 |
| 14. კლადნო | 18 | 4 | 5 | 9 | 10-27 | 17 |
| 15. ვიქტორია | 18 | 3 | 4 | 11 | 17-27 | 13 |
| 16. ქლინი | 18 | 2 | 5 | 11 | 9-28 | 11 |

## უკრაინა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი (დ)–კრივბასი | 1:1 |
| მეტალურგი (ზ)–ზორია | 2:1 |
| ვორსკლა–ტავრია | 1:0 |
| დნეპრო–ლვოვი | 1:1 |
| არსენალი–ხარკოვი | 1:0 |
| კარპატი–ჩერნომორეცი | 3:0 |
| ილიჩოვეცი–შახტარი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 17 | 14 | 1 | 2 | 42-11 | 43 |
| 2. მეტალისტი | 17 | 11 | 4 | 2 | 29-12 | 37 |
| 3. ვორსკლა | 18 | 10 | 6 | 2 | 20-10 | 36 |
| 4. მეტალურ (დ) | 18 | 10 | 4 | 4 | 24-13 | 34 |
| 5. შახტარი | 17 | 8 | 7 | 2 | 25-12 | 31 |
| 6. მეტალურ (ზ) | 18 | 8 | 6 | 4 | 19-16 | 30 |
| 7. დნეპრო | 18 | 6 | 7 | 5 | 16-14 | 25 |
| 8. კარპატი | 18 | 5 | 7 | 6 | 19-21 | 22 |
| 9. ზორია | 18 | 5 | 6 | 7 | 19-27 | 21 |
| 10. ჩერნომორეცი | 18 | 6 | 2 | 10 | 18-24 | 20 |
| 11. კრივბასი | 18 | 4 | 8 | 6 | 15-21 | 20 |
| 12. არსენალი | 18 | 4 | 5 | 9 | 13-21 | 17 |
| 13. ტავრია | 18 | 3 | 5 | 10 | 19-32 | 14 |
| 14. ლვოვი | 18 | 3 | 4 | 11 | 12-26 | 13 |
| 15. ილიჩოვეცი | 17 | 3 | 3 | 11 | 16-30 | 12 |
| 16. ხარკოვი | 18 | 0 | 9 | 9 | 10-26 | 9 |

## რუმინეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| სტიაუა–ვასლუი | 1:1 |
| პოლიტეხნიკა–უნივერსიტატეა | 1:0 |
| ოცელული–გაზ მეთანი | 3:1 |
| ფარული–გლორია (ბუზ) | 2:0 |
| პ. ტიმიშოარა–არჯეში | 2:1 |
| უნირეა–ბრაშოვი | 0:0 |
| გლორია (ბის)–რაპიდი | 1:3 |
| ჩლუჟი–ოტოპენი | 1:0 |
| დინამო–პანდური | 3:0 |

## სერბეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ბანატი–ბორაცი | 0:0 |
| იაგოდინა–ჩუკარიჩკი | 1:2 |
| ნაპრედაკი–ვოივოდინა | 2:1 |
| ოფკ–რად | 0:1 |
| პარტიზანი–ცრ. ზვეზდა | 1:1 |
| ჰაიდუკი–იავორი | 1:1 |

## უელსი

| | |
|---|---|
| ნითი–პორტმედოგი | 3:0 |
| რილი–ქერნარფონი | 4:0 |

## ურუგვაი

III ტური

| | |
|---|---|
| სერო ლარგო–სენტრალი | 2:0 |
| ხუვენტუდი–ლივერპული | 3:1 |
| მონტევიდეო–დანუბიო | 4:2 |
| ტაკუარემბო–სერო | 0:5 |
| რამპლა–რივერი | 2:1 |
| დეფენსორი–ბელა ვისტა | 3:0 |
| რასინგი–პენიაროლი | შეწყდა |

რაგბი ერთა თასი



გარღვევაზე დავით კაჭარავა

# ძიუდომაც ვერ უშველა

**ესპანეთი-საქართველო 11:55**

ესპანეთი(15-9): სემპერე, კანო (ალვარესი 61), კანოსა, ნავა, მოტა, პალუმბო, ფეიხოო (ლოპესი 20). (1-8) ინსაუსტი (პინტო 52), სალასარი (ატორი 52), ბორხესი (სარსოსა 50), არამბურუ, სოუტო (როკე 60), ერნანდესი (გერერო 14), გონსალესი, ბერნასკონი.

*ლ: პალუმბო. 2ს: პალუმბო.*

საქართველო(15-9: ბარკალაია (თოდუა 74), მაჩხანელი, კაჭარავა, ი.გიორგაძე (ზიბზიბაძე 55), ჩხიკვაძე, მალაღურაძე, აბუსერიძე (სამხარაძე 55). (1-8) ხინჩაგიშვილი, ა. გიორგაძე (ნატრიაშვილი 59), შველიძე (ქუბრიაშვილი 50), ლაბაძე, ჩხაიძე (ურუშაძე 50), გორგოძე (ბასილაია 61).

*8ლ: საჯარიმო, გორგოძე (2), მალაღურაძე, აბუსერიძე, ჩხიკვაძე, ნატრიაშვილი, კაჭარავა. 6გ,ს: მალაღურაძე.*

სინბინი: მალაღურაძე.

მსაჯი: ფ. მასიელო (საფრანგეთი).

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასის მორიგ შეხვედრაში, სტუმრად მადრიდში, მასპინძელთა ეროვნული გუნდი გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა - 55:11.

პორტუგალიასთან შინ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ, მადრიდში გამართულ შეხვედრას ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. ესპანელები გათამაშების ფავორიტთან შესახვედრად გაორმაგებული მონდომებით ემზადებოდნენ. მათი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ინგლისელმა **გედ გლინმა** დასახმარებლად **ტანა უმაგას** ძმას, **მაიკ უმაგასაც** კი უხმო. „ლომებმა“ რამდენიმე ვარჯიში ძიუდოს ილეთების დახვეწასაც დაუთმეს, მაგრამ ვერაფერმა უშველათ.

ცხადია, მასპინძლებს საკუთარი კედლების იმედიც ჰქონდათ და დასაწყისშივე აქტიურად შემოგვიტიეს. უკვე მე-2 წუთზე ბორჯღალოსნები რაკში თამაშისას დაჯარიმდნენ და ესპანელთა ახალმა „აღმოჩენამ“ **ხერემიას პალუმბომ** 40 მეტრიდან საჯარიმოდან გაგვიტანა - 3:0.

ანგარიშში დასაწინაურებლად საქართველოს ნაკრების მორაგბეებს 11 წუთი დასჭირდათ. ეს სწორედ ის დროა, რომლის განმავლობაშიც საბოლოოდ გამოიკვეთა, გუნდებიდან ვინ რისი მაქნისი იყო. ჩვენი მორაგბეები მეტოქეს ყველა კომპონენტში ჯაბნიდნენ. ტრადიციულად ლონივრად თამაშობდა შერკინება. პირწმინდად მოიგეს მეტოქის დერეფანი. უფრო ფეხმარდად და გააზრებულად ირჯებოდნენ უკანახაზელებიც.

ერთადერთი, რაც ბორჯღალოსნებს დაეწუნებოდათ, ეს იყო რაკში თამაში. ჩვენი ბიჭები ხშირად ჯარიმდებოდნენ, უფრო მეტად კი შეტევისას. ბურთის დაყოვნებისა თუ რაკში გვერდიდან შესვლის გამო რამდენიმე სალელოვე შეტევა ჩაგვეშალა. ესპანეთმა ვერ შეძლო, თორემ კლასით უფრო მაღალი დონის გუნდი ამდენ შეცდომას არაფრით გვაპატიებს.

პირველი ლელო ბორჯღალოსნებმა ჩვეულ სტილში მოინაგრეს. ჩვენი უკანახაზელების შეტევა ესპანელებმა საკუთარი ლელოდან ხუთ მეტრში წესის დარღვევით შეაჩერა. ქართველმა მორაგბეებმა საჯარიმოს შერკინება არჩიეს და არც შემცდარან. მასპინძლებმა ჩვენი მორკინალების მიძალება სამჯერ წესის დარღვევით შეაჩერა და მატჩის ფრანგმა არბიტრმა საჯარიმო ლელო მოგვაკუთვნა. გარდასახვა ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა **ლაშა მალაღურაძემ** - 7:3.

მომდევნო ლელო ჩვენმა მორაგბეებმა 6 წუთში გაიტანეს. ესპანელებმა საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან ბურთი ფეხით უხეიროდ გამოიტანეს. ბორჯღალოსნები მას მოედნის ცენტრში დაეუფლნენ და მარცხენა ფრთისკენ შეუტიეს. იქ წარმოქმნილი რაკიდან გამოსულ ბურთს ლაშა მალაღურაძემ პირი უცვალა. მარჯვნივ შუამარბ **დავით კაჭარავას** გადააწოდა, რომელმაც ორ მოწინააღმდეგეს ოსტატურად აუარა გვერდი, ხაზი გაჭრა და ბურთი შუისკენ უმეთვალყუროდ დარჩენილ მესამეხაზელ **მამუკა გორგოძეს** გაატანა. „გულივერას“ მოწინააღმდეგის ლელოში შეღწევა აღარ გასჭირვებია. მალაღურაძემ ისევ ზუსტად გარდასახა - 14:3.მანვე შვიდ წუთში საჯარიმოდან კიდევ ერთხელ დაარტყა ზუსტად და ანგარიშში სხვაობა 14 ქულამდე გაზარდა - 17:3.

მანამდე კი, მე-20 წუთზე ესპანელთა კაპიტანი და გუნდის ლიდერი **პაბლო ფეიხოო** ერთ-ერთ თანაგუნდელს შეეჯახა დაკიდებული ბურთისთვის ბრძოლაში და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. ტაიმის მიწურულს ბორჯღალოსნები ოდნავ მოეშვნენ. შედეგად 38 -წუთზე ესპანელთა დამრტყმელმა პალუმბომ კიდევ ერთი საჯარიმო მიითვალა - 6:17.

მეორე ტაიმის საწყის ათ წუთში საქართველოს ნაკრებმა ორი ლელოს გატანა მოახერხა და ფაქტობრივად, მატჩის ბედი გადაწყვიტა. საკითხავი ისღა იყო, რა სხვაობით შევძლებდით მასპინძელთა ძლევას. 44-ე წუთზე მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დერეფანი ისევ სუფთად მოვიგეთ. **გიორგი ჩხაიძემ** ბურთი კიდევ ერთ მასამეხაზელ **გია ლაბაძეს** ჩამოუგდო. ამან ხაზის გაჭრა ვერ მოახეხა. რაკიდან ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე შერკინების კვაჭს **აქვსენტი გიორგაძეს** გაუტანეს. ისიც შებოჭეს. თუმცა შეტევა წამითაც არ შეყოვნებულა. **ირაკლი აბუსერიძემ** ახლა მარცხნივ წარმოქმნილ რაკთან ახლოს ჩართო შეტევაში მამუკა გორგოძე, რომელსაც უმალ ჩხაიძეც წამოეშველა და ესპანელები კიდევ ერთხელ დაალელოვა. მალაღურაძემ ისევ ზუსტად გარდასახა - 24:6.

ექვს წუთში საქართველოს ნაკრების ხელდახელ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, გარემარბმა **ირაკლი მაჩხანელმა** მეტოქის დაცვის ხაზი გაჭრა. თუმცა ხერემიას პალუმბომ მაინც შეძლო მისი შებოჭვა. ბურთი რაკში ჩაიხურა და არბიტრმა ჩვენს სასარგებლოდ შერკინება დანიშნა. იქიდან ბურთის გამოტანის შემდეგ მორკინალები ორჯერ მიეძალნენ. ლელომდე ორი მეტრიღა იყო დარჩენილი. აბუსერიძემ რაკიდან პირდაპირ შეუტია და ჩათვლის მოედანში შეაღწია. მალაღურაძეს მიზანი არც ამჯერად გამრუდებია - 31:6.

დარჩენილი ოცდაათი წუთის განმავლობაში ბორჯღალოსნებს ზეწოლა ოდნავაც არ შეუნელებიათ, რასაც შედეგად კიდევ ოთხი ლელო მოჰყვა. აქედან სამი უკანახაზელების ანგარიშზეა. მეოთხეც, რომელიც შეცვლაზე შემოსულმა შერკინების კვაჭმა, **ირაკლი ნატრიაშვილმა** გაიტანა, თამამად უნდა ითქვას, რომ თავიდან ბოლომდე, ასევე შეცვლაზე შემოსული შუამარბის **ალექსანდრე თოდუას** ბრწყინვალე თამაშის შედეგია.

ამის გარდა, თითო ლელო ლაშა მალაღურაძემ, დავით კაჭარავამ და ირაკლი ჩხიკვაძემ მიითვალეს. ამათგან მალაღურაძემ მხოლოდ ორი ვერ გარდასახა.

მასპინძლები გარდაუვალი მარცხის მიუხედავად მაინც აგრძელებდნენ თავდადებით ბრძოლას და ერთი, პრესტიჟის ლელოს გატანა მაინც მოახერხეს. თავი ისევ პალუმბომ გამოიჩინა. გარდასახვა მანვე დაარტყა, თუმცა ვერ გაიტანა - 11:55.

**ერთა თასი**

**რუმინეთი-რუსეთი 19:28**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +40 | 6 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | +77 | 5 |
| 3.რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +22 | 4 |
| 4.პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | +34 | 3 |
| 5.ესპანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | -69 | 2 |
| 6.გერმანია | 4 | 0 | 0 | 4 | -104 | 0 |

**14 მარტი**

საქართველო-რუმინეთი

**15 მარტი**

პორტუგალია-ესპანეთი

**21 მარტი**

რუმინეთი-პორტუგალია

**22 მარტი**

რუსეთი-საქართველო

**2 მაისი**

გერმანია-რუსეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**

მძლეოსნობა საქართველოს ჩემპიონატი

# მანეჟიდან ეროვნულ სტადიონზე

**საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ „ლელოსთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ჩვენთან „სპორტის დედოფლის“ 50 მწვრთნელს სხვადასხვა ოდენობის ხელფასი დაენიშნა, სავარჯიშო პირობებიც გაუმჯობესდა, ამიტომ მშობლებს უფრო თამამად მოჰყავთ შვილები მძლეოსნობაში სავარჯიშოდ, განსაკუთრებით - ეროვნულ სტადიონზე, სადაც ახლო მომავალში 150 ათასი დოლარის ინვენტარს შემოვიტანთო.**

წინსვლა მართლაც რომ საგრძნობია, ეს დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატმაც დაადასტურა, სადაც 24 რაიონისა და ქალაქის 250-ზე მეტმა წარმომადგენელმა იასპარეზა, თუმცა შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, უწინდელთან შედარებით მაინცდამაინც დიდი ნახტომი არ შეიმჩნევა. მთავარი ის არის, რომ საპაექროდ იმ რაიონებიდანაც ჩამოვიდნენ, რომლებიც რამდენიმე წელიწადია, საქართველოში შეჯიბრებებს არც გაკარებიან.

- წლეულს რამდენიმე სიახლე გვაქვს, - მითხრა თამაზ მდინარაძემ. - ამას წინათ ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნულმა ანდრო ბედუკაძემ უცხოური ლიტერატურიდან თარგმნა მძლეოსნობასთან დაკავშირებული მასალები და ზამთრის ჩემპიონატის წინ გამართულ სემინარებზე დაურიგა მწვრთნელებს, რომლებიც მსაჯებთან ერთად პერიოდულად გამოცდებს ჩააბარებენ. თანამედროვეობას უნდა ავუბათ მხარი, თორემ ორი ათეული წელიწადია, ოლიმპიურ თამაშებზე მედალი არ მოგვიპოვებია. ეს უსიამოვნო ტრადიცია უნდა დავარღვიოთ. კარგი ახალგაზრდობა გვეზრდება და მათთან სათანადო მუშაობით საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მიღწევა შეიძლება.

**- რომელ ტურნირებზე გამოცდით ჩვენს ათლეტებს?**

- მალე დათბება და სავარჯიშოდ ეროვნულ სტადიონზე გადავინაცვლებთ, სადაც იდეალური პირობებია. მანეჟში 250 სპორტსმენი თუ გამოვიდა სარბენ ბილიკებსა და მძლეოსნურ სექტორებზე, მერწმუნეთ, ზაფხულის ჩემპიონატზე ორჯერ მეტი მოასპარეზე გვეყოლება. მანამდე კი დავით ილარიანი იტალიაში ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე გაეჯიბრება მეტოქეებს. სტაიერულ დისტანციებზე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები - გიული დეკანაძე და ჯეირან ხოფერია კროსში (ქალები - 8 კილომეტრზე, ვაჟები - 12 კილომეტრზე) მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ, რომელსაც იორდანია უმასპინძლებს.

ცხრა წელიწადია, ევროპის საკლუბო ჩემპიონატში ვმონაწილეობთ. შარშან მეთოთხმეტედან მეექვსე ადგილზე გადავინაცვლეთ. წლეულს ისეთი შემადგენლობა გვეყოლება, მეხუთე ადგილის დაკავებაც შეგვიძლია. საგულისხმოა ისიც, რომ რამდენიმე ათლეტი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვისაც ემზადება. წინა წლებში ამგვარ შეჯიბრებებზე ტულუშს ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, გიგაიას კი - ბრინჯაოსი.

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ბერლინში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა იქნება. გერმანიაში გამგზავრების უფლება უკვე დაიმსახურა მარიამ ქევხიშვილმა, რომელიც ამერიკაში სწავლობს და ვარჯიშობს. მან ოკეანისგაღმა წლეულს უკვე ხუთი შეჯიბრების მოგება მოასწრო. ბერლინში მარიამთან ერთად დავით ილარიანიც იასპარეზებს.

როგორც ხედავთ, საქართველოს მძლეოსნებს, რომლებმაც დიდუბის მანეჟში 2009 წელს მეორედ მოსინჯეს ძალები, დაძაბული და საინტერესო საერთაშორისო პაექრობები ელით. რაც შეეხება ზამთრის ჩემპიონატის ორი დღის ტექნიკურ შედეგებს, შეპირებისამებ, აქვე გთავაზობთ:

**ტექნიკური შედეგები**

**ქალები. 60 მ.** 1. სალომე აბშილავა - 7,8 (ზუგდიდი), 2. ლიკა ლოლუა - 7,9 (ფოთი), 3. სოფიო მაჭავარიანი - 7,9 (თბილისი). **60 მ. თარჯრბენი.** 1. მაია გოგოლაძე - 9,1 (თბილისი), 2. თეა ფაცურია - 9,6 (ფოთი), 3. რიტა ფუთურიძე - 10,0 (ქუთაისი). **200 მ.** 1. მაია გოგოლაძე - 27,0 (თბილისი), 2. ლიკა ლოლუა - 27,1 (ფოთი), 3. თეა ფაცურია - 27,5 (ფოთი). **400 მ.** 1. გაიანე უსტიანი - 1.01,7 (ახალციხე), 2. ანა ხამალაშვილი - 1.03,2 (თბილისი), 3. სოფიო ჩოჩნიძე - 1.03,3 (თბილისი). **800 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი - 2.22,5 (ბორჯომი), 2. გაიანე უსტიანი - 2.23,7 (ახალციხე), 3. ნინო გველესიანი - 2.28,9 (ჭიათურა). **1500 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი - 4.51,0 (ბორჯომი), 2. გიული დეკანაძე - 4.58,9 (ვანი), 3. ანტონინა მურადიანი - 5.46,6 (ახალციხე). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე - 10.31,1 (ვანი). **ბირთვი.** 1. ნათია რიგიშვილი - 12,77 (თიანეთი), 2. ნათია ნაჭყებია - 10,48 (ფოთი), 3. ანა კაშია - 10,16 (ქუთაისი). **სამხტომი.** 1. ქრისტინე შალამბერიძე - 11,78 (ქუთაისი). **სიგრძეზე ხტომა.** 1. მაია გოგოლაძე - 5,46 (თბილისი), 2. ქრისტინე შალამბერიძე - 5,41 (ქუთაისი), 3. სალომე აბშილავა - 5,27 (ზუგდიდი). **ესტაფეტა 4X200 მ.** 1. თბილისი - 1.52,4; 2. ქუთაისი - 1.55,0; 3. ახალციხე - 2.02,0.

**ვაჟები. 60 მ.** 1. გიორგი ანთელიძე - 6,8 (თბილისი), 2. ბაჩანა ხორავა - 6,9 (ზუგდიდი), 3. ბექა ჯიშკარიანი - 7,1 (ქუთაისი). **60 მ. თარჯრბენი.** 1. დავით ილარიანი - 7,68 (თბილისი), 2. ნიკა ბატანაგოვი - 8,96 (ქუთაისი), 3. ბესიკ ხუსკივაძე - 9,14 (თბილისი). **200 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი - 22,2 (ახალციხე), 2. გიორგი ანთელიძე - 22,8 (თბილისი), 3. ბაჩანა ხორავა - 23,1 (ზუგდიდი). **400 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი - 49,6 (ახალციხე), 2. დავით ცუცქირიძე - 51,2 (ბორჯომი), 3. დენის ჟვანია - 51,5 (ზუგდიდი). **800 მ.** 1. ლუდვიგ ზილბერშტეინი - 1.57,3 (ახალციხე), 2. თენგიზ ლვინჯილია - 1.57,8 (ზუგდიდი), 3. მერაბ ქინიძე - 1.58,1 (თბილისი). **1500 მ.** 1. ჯეირან ხოფერია - 4.06,3 (ფოთი), 2. დავით ქინიძე - 4.07,9 (თბილისი), 3. ირაკლი ჩუბინაშვილი - 4.08,4 (თბილისი). **3000 მ.** 1. ჯეირან ხოფერია - 8.56,3 (ფოთი), 2. ირაკლი ჩუბინაშვილი - 8.57,1 (თბილისი). 3. გიორგი შეკრელიძე - 8.57,4 (დუშეთი). **ბირთვი.** 1. ბენიკ აბრამიანი - 17,06 (თბილისი), 2. ზურაბ გიგაია - 16,93 (მარტვილი), 3. გიორგი ბედოშვილი - 16,02 (თბილისი). **სამხტომი.** 1. ვახტანგ ჯინჭველაშვილი - 14,.24 (ქუთაისი), 2. ლაშა ლულელაური - 14,06 (ახმეტა), 3. ოთარ ხაჭაპურიძე - 13,80 (თბილისი). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ბოლესლავ სხირტლაძე - 7,28 (თბილისი), 2. ვასილ ელანიძე - 6,56 (ახმეტა), 3. ლაშა ლულელაური - 6,51 (ახმეტა). **ესტაფეტა 4X200.** 1. ახალციხე - 1.34,5; 2. თბილისი - 1.34,7; 3. ქუთაისი - 1.39,5.

**საერთო გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისი - 471; 2. ქუთაისი - 309; 3. ახალციხე - 246 ქულა. **II ჯგუფი.** 1. ვანი - 87; 2. ჭიათურა - 72; 3. ახმეტა - 57,5 ქულა.

**ვაჟა დანელია**



კალათბურთი

*ქართველი NBA-ში*

## ზაზა ფაჩულია:

# სახლი მომენატრა

"ატლანტა ჰოქსი" 6 გასვლითი შეხვედრის შემდეგ შინ დაბრუნდა და "მაიამი ჰიტს" უმასპინძლა. ზედიზედ სამი მარცხის მერე მშობლიურ კედლებსა და გამარჯვებას მონატრებულმა ატლანტელებმა ფლორიდელებს პირველივე პერიოდიდან აქტიურად შეუტიეს და მეორე თორმეტწუთეულის დასაწყისში ისეთი უპირატესობა მოიპოვეს, რომლის აღმოფხვრა "მაიამიმ" ვეღარ შეძლო.

საწყისი მეოთხედის ბოლოს **ზაზა ფაჩულია** თანაგუნდელებს ერთი საჯარიმოთი შეენია და ხუთი ქულით დააწინაურა – 17:12. მცირე შესვენების შემდეგ **ელ ჰორფორდის** ოთხ ქულას **მერვინ უილიამსის** 3 და **ფლიპ მიურეის** 2 მიემატა და მასპინძელთა 9:0 სპურტიც "გამოცხვა", რის შემდეგ "ჰოქსი" 28:17 დაწინაურდა. ამ ეპიზოდში ზაზა მოედანზე იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ორ ცენტრს, ფაჩულიასა და ჰორფორდს გვერდიგვერდ უწევდათ თამაში... ჩვენი გაზეთის პარასკევის ნომერში სწორედ იმაზე გესაუბრეთ, რომ მოედანზე ზაზასა და ელის ერთდროულად ყოფნა გუნდისთვის სასარგებლოა, რასაც ადრე მწვრთნელი არ ეთანხმებოდა.

ზაზას გუნდისთვის სარგებელი რომ არ მოეტანა, **მაიკ ვუდსონი** 17 წუთს არ ათამაშებდა. რაც შეეხება ჰორფორდს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან "მაიამისთან" სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა: 21 ქულა და 22 მოხსნა მიითვალა. 22 მოხსნა ელის პირადი რეკორდია.

მატჩის შემდეგ სტუმარი თუ მასპინძელი, ყველა ჰორფორდზე ლაპარაკობდა. თანაგუნდელი ზაზამაც შეაქო და დასძინა: *"ატლანტაში ორი კვირაა, არ გვითამაშია. არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ამ დროით სახლიდან მოშორება ძალიან ძნელია. მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს "პეპსი არენას" დავუბრუნდით."*

"ჰოქსის" მწვრთნელმა, მაიკ ვუდსონმა მატჩის შემდეგ პლეი ოფზე ისაუბრა: *"მაიამელებთან დაპირისპირება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო. ფლორიდელები აღმოსავლეთის კონფერენციაში ჩვენს უკან, მეხუთე ადგილზე არიან. დღევანდელი გამარჯვებით "მაიამის" დაწევის უფლება არ მივეცით."*

ახლა უფრო კონკრეტულად: "ატლანტას" 33 მოგება და 25 მარცხი აქვს, ხოლო "ჰიტს" – 30 გამარჯვება და 27 წაგება. თუ მათ სეზონის ბოლომდე დღევანდელი პოზიციები შეინარჩუნეს, პლეი ოფში სწორედ "ატლანტა"-"მაიამის" დაპირისპირებას ვიხილავთ. ზაზას თანაგუნდელები მორიგ მატჩს დღეს გამთენიისას გამართავდნენ – **ლებრონ ჯეიმსის** "კლივლენდს" უმასპინძლებდნენ.

**ფაჩულიას მონაგარი**

**ატლანტა-მაიამი 91:83**

17 წუთი, 3 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი, 1 შეცდომა

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:44 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:24 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 02:09 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 01:18 | საჯარიმოები: 2\1 (1ძ, 17:12) |
| 01:06 | ფოლი: 1 |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:38 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 08:40 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:38 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 04:24 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:00 | ჩაჭრა: 1 (უეიდს ჩაუჭრა) |
| 03:58 | შეცდომა: 1 |
| 03:03 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 01:56 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 00:41 | ორქულიანი: 3ძ (64:51) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 07:57 | ზაზა ჯონსონმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი


დინამო-ენერჯი


მაკაბი-ავიამშენი. უტევს გიორგი ნიკოლაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

*საქართველოს ჩემპიონატი. XIV ტური*

# საკალათბურთო გაზაფხული მტრედმა მოგვიყვანა

1 მარტი, თბილისი. სპორტის სასახლე

**შსს-თსუ 83:111**

20:29, 7:30, 28:22, 28:30

შსს: შენგელია (20ქ, 17მ, 2დ), მიქაბერიძე (10ქ, 3პ, 5ჩ), ბერუაშვილი (9ქ, 4პ), არველაძე, ბ. ნოზაძე (1ქ, 5მ), ნინუა (14ქ, 3პ), პატარაია, ქვილითაია, ფაიქრიძე (14ქ, 6მ), აბულაძე (15ქ, 9მ), ი. ბაქრაძე (2დ)

თსუ: ივანეიშვილი (7ქ), გაფრინდაშვილი (3ქ, 10მ), ელანიძე (2ქ), კოხრეიძე (12ქ, 7მ, 3პ), ლოსაბერიძე (2ქ), მარკოიშვილი (29ქ, 8მ, 4პ), კუჭავა (2ქ), ხეცურიანი (27ქ, 8მ, 6პ, 4ჩ), ახალკაცი (23ქ, 15მ), დეკანოიძე (4ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. მაჭავარიანი

**ნტდ-ბათუმი 125:68**

27:17, 26:10, 29:22, 43:19

ნტდ-თბილისი: ტეტელაშვილი (9ქ, 5პ), ფაშაევი (7ქ, 7პ, 4ჩ), სარიევი (19ქ), ნიფტალიევი (9ქ, 5მ, 5პ), გლოველი (4ქ), როდუმტა (2ქ, 9მ, 3ჩ), კოლუაშვილი (15ქ, 5მ, 6პ, 2დ), ბახშიევი (10ქ, 3პ), სუხიშვილი (19ქ, 5მ), დ. ბარბაქაძე (18ქ, 5მ, 5პ, 3ჩ), ათუაშვილი (13ქ, 11მ)

ბათუმი: გვაზავა (2ქ), მაისურაძე (16ქ), თავართქილაძე (15ქ, 3პ, 4ჩ), გ. დოლიძე (6ქ), კეშელავა (15ქ, 9მ, 3ჩ), მ. ბოლქვაძე (8ქ), შალიკიანი (1ქ), კვერნაძე (5ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

**დინამო-ენერჯი 70:93**

21:26, 21:18, 18:24, 10:25

დინამო: გ. ბაქრაძე (7ქ, 3პ, 3ჩ), ნანიტაშვილი (11ქ), სორდია, ლაფანაშვილი (9ქ, 6მ, 4ჩ, 2დ), სიგუა (9ქ, 5ჩ, 3პ), კორკოტაძე (8ქ), ქადარია (3ქ), ხანიაშვილი (19ქ, 3ჩ), ხიზანიშვილი (4ქ, 5მ)

ენერჯი: გამყრელიძე (5პ), ბაბიაშვილი (12ქ, 8მ), დვალიშვილი (2ქ), ლეჟავა (9ქ, 5მ, 3პ), დიდია (5ქ, 6მ), ცეკვავა (5ქ), ტულუში (14ქ, 4პ), უგრეხელიძე (14ქ, 6მ), არნივიძე (6ქ, 4პ), ტუჯანი (16ქ, 11მ), ჭოჭუა (7ქ), მაჭავარიანი (3ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**მაკაბი-ავიამშენი 64:124**

10:38, 8:25, 27:36, 19:25

მაკაბი: კილაძე (4ქ), თევზაძე, ჯიქია (4ქ. 5მ), არონია, ანთაძე (7ქ, 6მ), ლონდარიძე (12ქ, 7მ), სუდაძე, ახმედიანი (8ქ, 3პ), მჭედლიშვილი (2ქ), ჯანგველაძე (23ქ, 14მ), რევაზიშვილი, ბიბილური (4ქ, 6მ)

ავიამშენი: ბერაია (4ქ), ი. ბერიშვილი (14ქ, 3პ), მოსეშვილი (5ქ), ბორისა (11ქ), ნიკოლაძე (13ქ, 6პ), კვიმსაძე (6ქ, 4პ), მინაშვილი (13ქ, 3პ), მათიაშვილი (23ქ, 7მ), ნინიაშვილი (9ქ, 9მ), დ. ბერიშვილი (5ქ, 10პ), პირველაშვილი (13ქ, 6ჩ, 3დ), შერმადინი (8ქ, 9მ)

მსაჯები: დ. არეშიძე, გ. მიქელაძე

სპორტის სასახლეში "დინამო"-"ენერჯის" მატჩისას მტრედი შემოფრინდა. მისი გამოჩენა მშვიდობის მომასწავებელი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო, რადგან ფეხბურთისგან განსხვავებით, კალათბურთში მშვიდობიანი ანგარიში (ფრე) არ ფიქსირდება. ვიფიქრეთ, გაზაფხული გვახარაო, მაგრამ მტრედის შემოფრენის მთავარი მიზეზი შეხვედრის ბოლოს გავარკვიეთ. ფრინველმა დინამოელებს უყურა, უყურა და როცა გაუჭირდათ, მოედანზე შევიდა... ეს მატჩის 32-ე წუთზე მოხდა. მანამდე თბილისელები სტუმრებს თანაბრად ეთამაშებოდნენ. თუ "ენერჯი" ფარქვეშიდან კარგად უტევდა მეტოქეს, დინამოელებმა მესამე პერიოდში შორეული ტყორცნების ხარჯზე მოახერხეს დაწევა – 11-ქულიანი ჩამორჩენა **ლექსო ლაფანაშვილის** ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ ნულამდე დავიდა (44:44).

ბოლო რაუნდის წინ ანგარიშში სხვაობა 8 ქულას შეადგენდა – 68:60 "ენერჯის" სასარგებლოდ. დარბაზში შეკრებილ ქომაგს იმედი მიეცა, რომ "დინამო" განვლილი ტურის დარად იყოჩაღებდა და მატჩის ბედის გადაწყვეტას ბოლო წამებს მიანდობდა, მაგრამ ასე არ მოხდა – **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა ბოლო მეოთხედი მობილიზებით დაიწყეს, დაცვაში მტკიცედ დადგნენ, რის წყალობითაც 13:0 გაქცევა მოაწყვეს და ოცქულიანი სხვაობა დაფიქსირდა – 83:63. მტრედიც მანამ შევიდა მოედნის "დინამოს" ნახევარზე, ვიდრე რუსთაველები სპურტს დაიწყებდნენ, მაგრამ ზემონახსენებ ეპიზოდში "ენერჯი" ისეთი ენერგიით იყო დამუხტული, რომ მას არათუ ექვსი, ათი დინამოელიც ვერ შეაჩერებდა. 93:70 რუსთაველთა სასარგებლოდ.

თუ წინა ტურში "დინამო" "ნტდ-თბილისს" ფარქვეშ თანაბრად ეთამაშა, გუშინ "ენერჯისთან" ამ კომპონენტში ვერაფერი გააწყო. თბილისელებმა 30 მოხსნა მიითვალეს, მაშინ, როცა რუსთაველებმა ბურთი 56-ჯერ მოხსნეს. დილმელთა მარცხის მთავარი მიზეზიც ეს იყო.

ტურის საუკეთესო კალათბურთელის გამოვლენა გაგვიჭირდა, იყო რამდენიმე კანდიდატი: **კახა შენგელია** (20 ქულა, 17 მოხსნა), **შიო ხეცურიანი** (27 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა), **გიორგი მარკოიშვილი** (29 ქულა, 8 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა), **ჟულივეტ ტუჯანი** (16 ქულა, 11 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება)... ჟურნალისტებმა მათ შორის საუკეთესოს გამორჩევაზე ბევრი ვიმსჯელეთ და ჟულივეტ ტუჯანზე შევჩერდით. ჩვენი გადაწყვეტილება არ გაგიკვირდებოდათ, მონაგარში წუთებიც რომ ჩაგვეწერა – "ენერჯის" კამერუნელმა ლეგიონერმა 16 ქულა და 11 მოხსნა სულ რაღაც 17 წუთში მოაგროვა. თან მას ყველაზე დაძაბულ, ტურის ცენტრალურ მატჩში მოუხდა მონაწილეობა.

გუშინ სპორტის სასახლის არენაზე პირველ მატჩში შსს-მ თსუ-ს უმასპინძლა. როგორც ყოველთვის, ძალოვნებმა პირველი მეოთხედი თსუ-სთანაც კარგად ჩაატარეს. თუმცა მეორეში სტუდენტთა სწრაფი შეტევების შეკავება ვერ მოახერხეს და 7:30 დათმეს. საბოლოოდ, მატჩის ბედზე დიდი გავლენა სწორედ მეორე პერიოდის ჩაგდებამ იქონია.

შეხვედრაში თავგამოჩენილ ხეცურიანზე, მარკოიშვილსა და შენგელიაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. აქ მხოლოდ ორ სტატისტიკურ მონაცემზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. შსს-მ 28-დან ოდენ 10 საჯარიმო გამოიყენა (35.7 პროცენტი), რაც მეტისმეტად დაბალი მაჩვენებელია. ხოლო მოხსნების საერთო რაოდენობას თუ გადავხედავთ, მივხვდებით, რომ საქმე რეკორდთან გვაქვს: თსუ-მ ბურთი 61-ჯერ მოხსნა, შსს-მ – 53-ჯერ. ერთ მატჩში 114 მოხსნა ჩემპიონატის რეკორდია.

მოხსნებს გვერდს ვერც "ნტდ-თბილისი"-"ბათუმის" მატჩში ავუვლით – ისევე როგორც "ენერჯიმ" "დინამო", ნტდ-მ "ბათუმი" ფარქვეშ აშკარად დაჩაგრა: 54:29. ფარიდან მოხსნილ ბურთებს ზღვისპირელთა კალათში **ნუგზარ კანდელაკის** შეგირდები იოლად აბრუნებდნენ. შესაბამისად, მივიღეთ ორქულიანების ტყორცნის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი – 68.8 (64-დან 44). "ნტდ-თბილისმა" გუშინ ორი რეკორდიც დაამყარა: 36 პასი ჩაიწერა, ხოლო მის მიერ ჩაგდებული 125 ქულა სეზონის საუკეთესო მონაგარია. მანამდე ერთ მატჩში ჩაგდებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 119 ქულა იყო.

"მაკაბი"-"ავიამშენის" მატჩის მთავარი ინტრიგა ბოლო წუთებს უკავშირდებოდა – საკითხავი იყო, ოთხი საათით ადრე დამყარებულ რეკორდს გააუმჯობესებდა თუ არა "ავია". ამისთვის მას 126 ქულა უნდა ჩაეგდო. ყველაფერი "მშენებელთა" სასიკეთოდ დაიწყო, პირველივე ტაიმში **ლევან მოსეშვილის** გუნდმა კოლოსალურ უპირატესობას მიაღწია – 52:12 დაწინაურდა.

მეორე ტაიმში "ავია" ცოტა მოეშვა და სროლის სიზუსტემაც იკლო. ამის მიუხედავად, საფინალო 10 წამში **რიჩარდ მათიაშვილს** თანაგუნდელთა 126 ქულამდე აყვანა შეეძლო, მაგრამ მისმა ტყორცნამ მიზანს ვერ მიაღწია და "ავიამ" "ოდენ" 124:64 გაიმარჯვა.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 12 | 12 | 0 | 24 |
| 2. თსუ | 13 | 8 | 5 | 21 |
| 3. ნტდ | 12 | 9 | 3 | 21 |
| 4. სასოფლო | 12 | 8 | 4 | 20 |
| 5. ავიამშენი | 12 | 9 | 3 | 21 |
| 6. ბათუმი | 12 | 5 | 7 | 17 |
| 7. დინამო | 13 | 3 | 10 | 16 |
| 8. შსს | 13 | 2 | 11 | 15 |
| 9. მაკაბი | 13 | 0 | 13 | 13 |

ვაჟა სიმონიშვილი



*ლეგიონერი*

# ბორისას ასპროცენტიანი დებიუტი ზადარში

**ვლადიმერ ბორისა** ხორვატიულ "ზადარს" ოთხშაბათს შეუერთდა და ადრიატიკის თასზე პირველი მატჩიც ჩაატარა. ხორვატები სერბეთში ადგილობრივ ფმპ-ს დაუპირისპირდნენ და ბოლო წუთებზე დათმეს – 78:82.

ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 13 წუთი გაატარა და ერთი ტყორცნა არ აუცილებია: 1-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო და 12 ქულას 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიამატა.

ვაჟა სიმონიშვილი

თვის მონაგარი

## თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. **ფეხბურთი.** ლევან [illegible] გერმანულ „[illegible]“ 2010 წლის ზაფხუ[illegible] გააფორმა ხელშეკრულება.

1. **კალათბურთი.** ზამთრის შესვენების შემდეგ განახლდა საკალათბურთო სუპერლიგა.

4. **ფეხბურთი.** გაირკვა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები: თურქეთი, შვეიცარია, ესტონეთი, სომხეთი, ირლანდია.

5. **ჭადრაკი.** ნანა ძაგნიძემ ქალთა შორის გიბრალტარის საჭადრაკო ფესტივალი მოიგო.

5. **ანტიკური ჭიდაობა.** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი. გამარჯვებულები: ქემალ ხარაბაძე, უჩა შავაძე, ანტონ მამაგეიშვილი და გენადი გოგიშვილი.

6. **ანტიკური ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, დავით ქარჩავა, ალეკო ბურდილაძე და რევაზ ქელიძე.

7. **ძიუდო.** პარიზის „დიდ სლემზე“ ვერცხლის მედალი მოიპოვა ამირან პაპინაშვილმა.

7-8. **ფეხბურთი.** ზამთრის შესვენების შემდეგ განახლდა საქართველოს ჩემპიონატი.

8. **რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 38:5 გერმანიის ნაკრები დაამარცხა.

8. **ყინულის ჰოკეი.** დასრულდა საქართველოს ისტორიაში პირველი საერთაშორისო ტურნირი ყინულის ჰოკეიში - „ბორჯომის თასი“. გამარჯვებული „მიმინო“ გახდა.

10. **მშვილდოსნობა.** გაიმართა საქართველოს ზამთრის პირველობა. ვაჟებში შალვა ნიბლიაშვილმა, ქალებში კი ასმათ დიასამიძემ იმარჯვეს.

10. **ფეხბურთი.** ლაშა ჯაკობია „მეტალისტიდან“ კიევის „არსენალში“ გადავიდა.

11. **ფეხბურთი.** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები დუბლინში 1:2 დამარცხდა ირლანდიასთან.

14. **რაგბი.** ერთა თასზე საქართველომ პორტუგალიას უმასპინძლა და 20:20 დაუზავდა.

15. **ძიუდო.** ბუდაპეშტის მსოფლიოს თასზე ჩემპიონი ზვიად ხანჯალიაშვილი გახდა, ზვიად გოგოჭურმა კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

16. **კალათბურთი.** ვლადიმერ ბორისა ესპანურ „მენორკას“ დაშორდა.

21. **ტყვიის სროლა.** პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის ჩემპიონატზე ნინო სალუქვაძემ მეორე ადგილი დაიკავა.

22. **ძიუდო.** ჰამბურგის გრანპრიზე მესამე პრიზიორი გახდა ირაკლი ცირეკიძე.

22. **თავისუფალი ჭიდაობა.** კიევის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დავით ოთიაშვილმა დაიკავა, ბესიკ გოჩაშვილმა და მალხაზ ქურდიანმა - მესამე.

28. **რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა მადრიდში ესპანეთის ნაკრები 55:11 დაამარცხა.

28. **ფიგურული ციგურაობა:** ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ელენე გედევანიშვილმა მე-6 ადგილი დაიკავა.

28. **ძიუდო.** ვარშავის მსოფლიოს თასზე ნესტორ ხერგიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

**სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!**

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ძიუდო — მსოფლიოს თასი

# ვარშავამ კითხვები დაგვიმატა

## ევროპის ჩემპიონატი ცირეკიძის გარეშე?

WORLD CUP MEN
WARSAW 2009

მსოფლიოს თასი ვარშავაში საქართველოს ნაკრებისთვის ბოლო რეპეტიცია იყო ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც თბილისში აპრილში გაიმართება. ამიტომაც, **შოთა ხაბარელისთვის** იმდენად საერთო წარმატებას არ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც ზოგიერთ წონით კატეგორიაში ლიდერის გამოვლენას. 60, 81, 100 და მძიმე წონებში ჩვენი ძიუდოისტები დაუსწრებლად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ვარშავის ტატამზე. პოლონეთმა მწვრთნელს პასუხებზე მეტი კითხვები დაუტოვა. ვარშავიდან კი ორი ბრინჯაო წამოვილეთ...

შაბათს ერთ მედალს შევწვდით - ყველაზე დაბალ წონაში დაბრუნებულმა **ნესტორ ხერგიანმა** ბრინჯაოს მედალი აილო. ევროპის ჩემპიონატის წინ შოთა ხაბარელს ჯერ კიდევ გასარკვევი აქვს ვინ იჭიდავებს თბილისურ ტატამზე 60 კგ-ში გამოცდილი ხერგიანი, თუ ახალგაზრდა **ამირან პაპინაშვილი**. პაპინაშვილმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, თბილისის მსოფლიოს თასი მოიგო, ხოლო პარიზის დიდ სლემზე ფინალში გავიდა. მოკლედ, ყველას დაგვანახა პოტენციალი. ხაბარელმა ვარშავაში ორივე წაიყვანა. საბოლოო დასკვნას მწვრთნელი ალბათ შეკრების შემდეგ გამოიტანს, თუმცა უშუალოდ ვარშავაში ხერგიანმა აჯობა ახალგაზრდა კონკურენტს.

ნესტორმა იაპონელ **ჰიროაკი ჰარაოკას** იუკოთი სძლია, შემდეგ კი ორი ვაზარით გერმანელ **ტობიას ენგლმაიერს** მოუგო. მესამე წრეში ხერგიანი მისთვის უხერხულ მეტოქეს, სომეხ ძიუდოისტ **ოვანეს დავთიანს** შეხვდა და ორი ვაზარით დამარცხდა. პაპინაშვილმა მონღოლ **ჩიმიდ ბოლდბაათარს** მეორე წრეში აჯობა (ამირანი პირველში ისვენებდა), მესამეში კი გზა მასაც სომეხმა სპორტსმენმა გადაუკეტა - **არტურ სრაპიანმა** მოუგო. ნესტორს უფრო გაუმართლა - მისი დამმარცხებელი ნახევარფინალში გავიდა და ხერგიანს რეპეშაჟში ჭიდაობა მოუწია, პაპინაშვილისთვის კი მსოფლიოს თასი სრაპიანის მეოთხედფინალური მარცხით დასრულდა. რეპეშაჟში ჩვენებურმა ჰოლანდიელ **ხეროენ მოორენს** იუკოთი მოუგო და მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მიიღო. ხერგიანი უნგრელ **ლასლო ბურჟანს** გაუმკლავდა ვაზარით და კვარცხლბეკზე ავიდა. სხვათა შორის, მესამე ადგილი მასთან ერთად კიდევ ერთმა ქართველმა მოიპოვა - უკრაინის სახელით მოასპარეზე **გიორგი ზანთარაიამ**.

66 კგ-ში ძიუდოისტი არ გვყოლია, 73-ში კი საქართველოს ღირსებას **თენგიზ პაპოშვილი** იცავდა. პაპოშვილმა ბრწყინვალედ დაიწყო, მან აზერბაიჯანელი **ელჩინ გასიმოვი** სუფთაზე დააგდო. მეორე წრეში მან ამერიკელ **ნიკ დელპოპოლოს** მოუგო. სამწუხაროდ, პაპოშვილმა ბელგიელ **ჟოაკიმ ბოტეუსთან** (იუკო) წააგო.

გუშინ 81 კგ წონით კატეგორიაში სამი ქართველი ჩაება. პირველად ხელი **გრიგოლ შინჯიკაშვილს** მოეცარა, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა ესპანელ **ხორხე ბენავენტეს**. **გიორგი ბაინდურაშვილმა** კანადელ **კალუმ კაჩურს** იპონით სძლია, შემდეგ კი ბელარუს **ალექსანდრ სტსიაშენკასთან** იპონითვე დამარცხდა.

ჩვენი მესამე მონაწილე წონაში **ლევან ნიკლაური** ყველაზე გვიან გავიდა ტატამზე, მან ვაზარით და იუკოთი აჯობა მოლდოველ **ალექსანდრუ გაინას**. ნიკლაურმა ესპანელ **ხავიერ მადერას**, ნაკლები დღე მან არც ყაზახ **რინატ იბრაგიმოვს** აყარა - ვაზარი და იუკო აართვა. ნახევარფინალში ჩვენი თანამემამულე ძლიერ ბელარუს **სიარჰეი შუნჯიკაუსთან** (ბელარუსი) იპონით დამარცხდა. მესამე ადგილისთვის მატჩში ლევანი რუს **მურატ შადოვს** შეხვდა. სამწუხაროდ, ნიკლაური ვერ შეწვდა მედალს, რუსმა ის იპონზე დააგდო. შეიძლება ითქვას, რომ ლევანმა ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობის თამამი განაცხადი გააკეთა.

მძიმედ დაიწყო სეზონი ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონისთვის - **ირაკლი ცირეკიძე** მეორე ტურნირზე გამოვიდა წლეულს, ამჯერად მან პირველივე რაუნდში წააგო პოლონელ **მაციეი სარნაცკისთან**. **ლომერ ჟორჟოლიანმა** 2 ვაზარით მოუგო თურქ **რემზი კოჩათურქს**. ვაზარი და იუკო აართვა ლომერმა **დენი მეუსენს**, ვაზარით მოუგო ჩეხ **ლუკაშ კრპალეკს**. ლომერი აშკარად სჯობდა ფრანგ **სირილ მარესაც**, ვისაც ვაზარით და იუკოთი აჯობა. ქართველი ძიუდოისტი ნახევარფინალში შეაჩერეს, მას გერმანელმა **რობერტ ციმერმანმა** იპონით სძლია. მესამე ადგილისთვის მატჩში ჟორჟოლიანი **ეუჰენ სიომაჩკინს** (ბელარუსი) გადაეყარა და იუკოთი მოიგო ბრინჯაოს მედალი. ევროპის ჩემპიონატმა შეიძლება ოლიმპიური ჩემპიონის, ირაკლი ცირეკიძის გარეშე ჩაიაროს...

მძიმე წონაში **ადამ ოქრუაშვილმა** რიხით გაიარა პირველი სამი წრე. მან იუკოთი აჯობა ბულგარელ **ივან ილიევს**, 2 იუკო აართვა ყოჩაღ უნგრელ **ბარნა ბორს** და იპონი აართვა ესტონელ **მარტინ პადარს**. ნახევარფინალში დასრულდა ადამის წაუგებელი სვლა, მას იპონით აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **იჰარ მაკარაუმ** (ბელარუსი).

**ლაშა გუჯეჯიანმა** ჩინელ **იან ლიუს** აჯობა, მანვე მოუგო იპონით პოლონელ **გრეგორჟ ეიტელთან**. გუჯეჯიანი, თითქოს, ჰოლანდიელი **ლუკ ვერბიხის** წინააღმდეგაც ფავორიტი იყო, მაგრამ ორი ვაზარით ნახევარფინალში ჰოლანდიელი გავიდა. ქართველმა ძიუდოისტმა რეპეშაჟიც წააგო - ლიტველ **მარიუს პასკევიჩიუსთან**. რომელსაც მესამე ადგილისთვის მატჩში ადამ ოქრუაშვილი შეხვდა, ჩვენებური ვერ შეწვდა მედალს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ვარშავის მსოფლიოს თასი**

28 თებერვალი-1მარტი. პოლონეთი

**60 კგ**

1. ელიო ვერდე (იტალია), 2. ოვანეს დავთიანი (სომხეთი), 3. ნესტორ ხერგიანი (საქართველო), გიორგი ზანთარაია (უკრაინა).

**66 კგ**

1. იო-ინ კიმი (კორეა), 2. სერგეი ლიმი (ყაზახეთი), 3. სებასტიენ ბერტელო (საფრანგეთი), ადრიან კულიში (გერმანია).

**73 კგ**

1. ვონ-იუნ კიმი (კორეა), 2. კრისტოფერ ფოილკი (გერმანია), 3. კრჟიშტოფ ვილკომირსკი (პოლონეთი), ბათრაძ კაიტმაზოვი (რუსეთი).

**81 კგ**

1. სიარჰეი შუნჯიკაუ (ბელარუსი), 2. ალექსანდრ სტსიაშენკა (ბელარუსი), 3. მურატ შადოვი (რუსეთი), მასაჰირო ტაკამაცუ (იაპონია).

**90 კგ**

1. ტამაშ მადარაში (უნგრეთი), 2. კაროლის ბაუზა (ლიტვა), 3. კირილ ვოპროსოვი (რუსეთი), ნიკოლა ბრისონი (საფრანგეთი).

**100 კგ.**

1. არიელ ზეევი (ისრაელი), 2. რობერტ ციმერმანი (გერმანია), 3. სირილ მარე (საფრანგეთი), ლომერ ჟორჟოლიანი (საქართველო).

**მძიმე**

1. იჰარ მაკარაუ (ბელარუსი), 2. ლუკ ვერბიხი (ჰოლანდია), 3. მარტინ პადარი (ესტონეთი), მარიუს პასკევიჩიუსი (ლიტვა).

ფიგურული ციგურაობა



# რა სჭირს ელენეს?

## ჩაგებული ტიტული

გუშინ სოფიის „ზამთრის სპორტის სასახლეში" გალა სანახაობით დასრულდა ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. თუმცა ქართველ გულშემატკივრებს საზეიმო არაფერი აქვთ - 19 წლის **ელენე გედევანიშვილმა**, იმის ნაცვლად, რომ ტიტულის მოსაპოვებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა, თავისუფალი პროგრამა ჩააფლავა და საბოლოოდ მე-6 ადგილი იკმარა. შეგახსენებთ, რომ პირველი დისციპლინის შემდეგ ელენე უახლოეს მდევარს 3 ქულით უსწრებდა...

შაბათს ელენე გედევანიშვილი უკანასკნელ ჯგუფში ასპარეზობდა. მან იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ საბოლოოდ თავისუფალ პროგრამაში მე-11 შედეგი აჩვენა (78,00, რითაც ხუთ კონკურენტს გადასწრების საშუალება მისცა. თუ მოკლე პროგრამაში ჩვენებურმა საკუთარი საუკეთესო შედეგი გააუმჯობესა, თავისუფალში ამ მაჩვენებელს 15 ქულაზე მეტით ჩამორჩა. ელენემ ტექნიკურ ელემენტებში 31,76 ქულა მიიღო, რაც ძალზე ცუდია, 25 ფინალისტს შორის ეს მაჩვენებელი მხოლოდ ოთხი აუტსაიდერისას სჯობს. პროგრამული კომპონენტი კი ჩვეულებისამებრ მაღალი იყო - 46,24 ქულა (მხოლოდ სამ მოციგურავეს ჰქონდა უფრო მაღალი შედეგი). ასე რომ, ელენემ ვერ შეძლო თავისივე პროგრამის კარგად შესრულება.

მოკლე პროგრამის შემდეგ მე-10 ადგილზე იყო, ერთ-ერთი ფავორიტი, ამერიკელი **კაროლინ ჟანკი**, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა თავისუფალი პროგრამა - 107,03 ქულა. საერთო ჯამში ჟანკს ეს მეორე ადგილისთვის ეყო (ზედიზედ მეორედ გახდა ვერცხლის პრიზიორი). ამერიკელმა 154,67 ქულა დააგროვა და თითქმის სამი ქულით ჩამორჩა მსოფლიოს ჩემპიონს, რუს **ალიონა ლეონოვას** (157,18). ამერიკელი **ეშლი ვაგნერი**, რომელიც ელენეს კვალში მიჰყვებოდა მოკლე პროგრამის შემდეგ, 153,57 ქულით ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ჩვენებურს კიდევ ორმა მოციგურავემ გაასწრო, ესენია: შვედი **ჯოში ჰელგესონი** - 139,89 და ამერიკელი **კატრინა ჰაკერი** - 139,68. გედევანიშვილმა სულ 138,32 ქულა დააგროვა. 2004 წელს ელენემ პირველად იასპარეზა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე და მაშინ მე-12 ადგილი დაიკავა, 2005 წელს ჩვენებური უკვე მე-5 იყო, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ის ისევ გამოჩნდა ახალგაზრდულ ასპარეზზე, თუმცა კარგად დაწყებული საქმე ცუდად დაასრულა და მე-6 ადგილს დასჯერდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# სრული კომპლექტი!

შაბათ-კვირას უნგრეთის ქალაქმა სომბატელიმ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოქროს გრანპრის უმასპინძლა, სადაც 24 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ქართველებმა სამი მედალი მოიპოვეს: ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო. პირველ დღეს **დავით ქარჩავამ** (84 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო მძიმეწონოსანმა **რევაზ ჭელიძემ** - ბრინჯაო. გუშინ 66 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა **მანუჩარ ცხადაია**...

60 კგ-ში **რევაზ ლაშხმა** და **უჩა შავაძემ** იჭიდავეს. შავაძემ ბულგარელ **ემილ მილევთან** დათმო ორთაბრძოლა - 0:1, 0:6. ლაშხმა კი ჯერ უკრაინელი **დმიტრო ზლატკინი** დაამარცხა - 3:0, 2:3, 5:1, შემდეგ ყირგიზი **ატაი კოიჩუკულოვი** - 1:0, 3:0. მესამე წრეში ქართველი მოჭიდავე იაპონელ **რიოტა სატოსთან** დამარცხდა - 0:2, 0:1.

74 კგ-ში **გენადი გოგიშვილმა** ტურნირი რუმინელი **იონელ პუშკაშუს** დამარცხებით დაიწყო - 1:0, 3:1. მეორე წრეში ჩვენებური ბელარუს **ეუჰენი სილივონჩიკს** გაუმკლავდა - 1:0, 1:0. მეოთხედფინალი კი მასპინძელ **რენატო კუნთან** დათმო - 0:4, 0:1.

84 კგ წონით კატეგორიაში ქარჩავამ იაპონელ **ნორიკაცუ საიკავას** მოუგო - 4:0, 0:6, 3:0. მეოთხედფინალში ჩვენებურმა თურქ **აჰმედ ილდირიმს** აჯობა - 1:0, 2:0. ამის მერე ქარჩავას მასპინძლებთან მოუწია ჭიდაობამ, დავითმა ნახევარფინალში **ზოლტ დაიკას** მოუგო - 1:0, 1:0. სამწუხაროდ, ფინალში თანამემამულის ჯავრი **ზოლტან ფოდორმა** ამოიყარა, რომელმაც ქართველს ორ პერიოდში მოუგო - 1:0, 1:0.

შაბათს მძიმეწონოსნებმა (120 კგ) დაასრულეს ასპარეზობა, რევაზ ჭელიძემ **ბაიერს დრემიელის** (აშშ) ძლევის (0:1, 1:0, 1:1) შემდეგ უნგრელ **მიჰალი დეაკ-ბარდოშთან** წააგო ორთაბრძოლა - 0:1, 0:3. ჭელიძემ რეპეშაჟში რუმინელი და ბულგარელი მეტოქეები მიყოლებით წააქცია და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სხვათა შორის, ამ წონაში კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი ქართველმა აილო, - ბელარუსის სახელით მოასპარეზე **იოსებ ჩუგოშვილმა**.

გუშინ სამ წონით კატეგორიაში გათამაშდა მედლები. ყველაზე მსუბუქ წონაში (55 კგ) **გიორგი გვენეტაძემ** და **ლაშა გოგიტაძემ** იჭიდავეს. გვენეტაძე პირველი წრიდან თავისუფალი იყო, გოგიტაძემ კი აზერბაიჯანელ **ელჰინ ალიევს** მოუგო - 3:0, 0:1, 1:0. მეორე წრეში ლაშა იაპონელმა **რიო მინემურამ** შეაჩერა - 3:0, 0:6, 1:3. გვენეტაძემ ესტონელ **ანარ ზეინალოვს** მოუგო - 1:0, 0:1, 1:0. ჩვენებური მესამე წრეში დამარცხდა, ამერიკელ **სპენსერ მანგოსთან** ჭიდილში - 0:5, 2:2, 0:1.

66 კგ წონით კატეგორიაში ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად მანუჩარ ცხადაია და **ანტონ მამაგეიშვილი** იბრძვიან. უნგრეთში ორივემ კარგად იჭიდავა, განსაკუთრებით ეს ცხადაიაზე ითქმის, რომელმაც ყველა მოწინააღმდეგეს აჯობა და ოქროს გრანპრის გამარჯვებული გახდა. მანუჩარმა მასპინძლით დაიწყო, **ატილა დრეშლერს** ორ პერიოდში მოუგო - 1:0, 2:0. მანვე დაძლია ბულგარელი **პლამენ პეტროვის** წინააღმდეგობა - 4:0, 3:2. მესამე წრეში ცხადაიამ რუმინელი **იონ პანაიტი** დაჯაბნა - 0:1, 5:0, 3:0, ნახევარფინალში კი იაპონელი **ცუტომუ ფუჯიმურა** - 2:2, 4:0, 1:0.



დავით ქარჩავა (მარცხნივ) ფინალში

მამაგეიშვილმა პირველი წრე დაისვენა, მეორეში ჩეხ **კარელ ჰანაკს** მოუგო - 3:0, 1:0, აჯობა **დამიან ზუბას** (უნგრეთი) 1:0, 4:0 და ნახევარფინალში გავიდა. სამწუხაროდ, ქართული ფინალის გამართვას ხელი სერბმა **დავორ სტეფანეკმა** შეუშალა, რომელმაც ანტონს სამ პერიოდში აჯობა. თანამემამულის დამარცხებისთვის შური მანუჩარ ცხადაიამ იძია, რომელმაც ფინალში დამაჯერებლად 7:1, 4:0 დაამარცხა სტეფანეკი. 96 კგ-ში **ალექსანდრე ბურდილაძე** მალევე დაემშვიდობა გრანპრის, მან მასპინძელ **არმინ მაჟორროშთან** წააგო - 2:0, 0:3, 0:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ქართველებს გიზა და მინსკი ელით

ამერიკის ქალაქ ქლეარუოთერში მოასპარეზე **მაკა ჩახნაშვილმა** (221) საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი $) წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში გასვლა იკმარა. ამ ეტაპზე მან და ბრაზილიელმა **მარია-ფერნანდა ალვესმა** (454) ვერაფერი გააწყვეს მე-2 ნომრად განთესილ ჩეხურ დუეტთან, **ლუსი ჰრადეჩკასა** (94) და **მიხაელა პაშტიკოვასთან** (264) - 1:6, 1:6. მაკა უკვე ფლორიდის ქალაქ ფორტ უოლტონ ბიჩშია, სადაც ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $) იწყება. ჩვენებური საკვალიფიკაციო ბადეში მე-6 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში მაკა ისვენებს, ის ჩეხი **კრისტინა პლიშკოვასა** (740) და ამერიკელი **რიზა ზალამედას** მატჩის გამარჯვებულს შეხვდება.

ეგვიპტის ქალაქ გიზაში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი $) დაიწყო, რომლის ძირითად ბადეში **ოქსანა კალაშნიკოვა** (390) ითამაშებს. ჯერ საკვალიფიკაციო ბადის თამაშები მიმდინარეობს, სადაც ორ ჩვენებურს უკვე მოეცარა ხელი. 18 წლის **მარიამ კუპრეიშვილს** „უაილდ ქარდი" ჰქონდა, მან ურეიტინგო იტალიელ **ჯულია გასპარისთან** წააგო - 2:6, 1:6. 17 წლის **ანა ჯიქიას** მეტოქე მე-16 ნომრად განთესილი გერმანელი **იასმინ შტაინერი** (1010) იყო - 5:7, 3:6. მინსკის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) ითამაშებს **სოფიო შაფათავა** (244).

**ნიკოლოზ ბასილაშვილი** ტეხასის შტატის ქალაქ მაკალენში (10 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში მე-12 ნომრადაა განთესილი. პირველი წრიდან იგი თავისუფალია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ექვსი ერი

# პრეტენდენტი ირლანდია და უდისციპლინო ინგლისი

ექვსი ერის გათამაშებაში მესამე ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილს ერთპიროვნული ლიდერი გაუჩნდა. ირლანდიის ნაკრებმა ზედიზედ მესამე შეხვედრაც მოიგო და ახლა ერთადერთი გუნდია, ვინც დამარცხების სიმწარე არ იცის.

ირლანდიელებმა საკუთარ „ქროუქ პარკზე" უმძიმესი ბრძოლა გადაიტანეს ინგლისის ნაკრებთან. მასპინძლებმა გუნდის ლიდერების **ბრაიან ოდრისკოლისა** და **რონან ოგარას** ბრწყინვალე თამაშის წყალობით მეტოქე მინიმალური ანგარიშით - 14:13 დაამარცხეს.

პირველ ტაიმში გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ერთმა მოიპოვა. ანგარიში 29-ე წუთზე ოგარამ საჯარიმოდან გახსნა. ინგლისელთა დამრტყმელმა **ტობი ფლადმა** კი, ათ წუთში საპასუხო საჯარიმო გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა - 3:3. პირველი ტაიმი ასე, რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით დასრულდა.

მეორე ტაიმში ინგლისელები ორჯერ დარჩნენ კაცნაკლულნი და ორივე შემთხვევა ირლანდიელებმა კარგად გამოიყენეს. 45-ე წუთზე ოდრისკოლმა არეკნით დააწინაურა თავისიანები - 6:3. ათ წუთში ინგლისელთა შერკინების ბურჯი **ფილ ვკერი** მატჩის არბიტრმა მოედნიდან ათი წუთით გააძევა. მასპინძლებს ორი წუთი დასჭირდათ იმისათვის, რომ რიცხობრივ უპირატესობაში მეტოქე დაელელოვებინათ. თავი ისევ ოდრისკოლიმ გამოიჩინა. ოგარას გარდასახვა გაუცუდდა - 11:3.

მეორედ უმცირესობაში ინგლისელები 69-ე წუთზე დარჩნენ, როცა ანგარიში 6:11 იყო. ამჯერად ირლანდიელები მხოლოდ საჯარიმოს დასჯერდნენ, რომელიც ოგარას ანგარიშზეა - 14:6. სტუმრებმა მატჩის მიწურულსლა გამოიღეს ხელი. მათი ხანგრძლივი, მრავალფაზიანი შეტევა ფულ ბეკმა **დელონ არმითიჯმა** ლელოთი დაასრულა. გარდასახვა შეცვლაზე შემოსულმა **ენდი გუდმა** გაიტანა, მაგრამ უკვე გვიან იყო -13:14.

მატჩის შემდეგ განრისხებას ვერ ფარავდა ინგლისელთა თავკაცი, ლეგენდარული **მარტინ ჯონსონი.** უკმაყოფილების მიზეზი, ცხადია, მისი შეგირდების უდისციპლინობა იყო. ბოლო ოთხ შეხვედრაში ინგლისის ნაკრების მორაგბეებმა 10 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს, რაც გუნდს ძალიან ძვირად უჯდება.

ყველაზე საინტერესო შეხვედრა მაინც საფრანგეთში გაიმართა. „ლე ბლო" მოქმედი ჩემპიონისა და ერთ-ერთი ლიდერის, უელსის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ არნახულად მობილიზებული გამოვიდა. მასპინძლებმა მეტოქე 21:16 დაამარცხეს.

თუმცა ფრანგებს გამარჯვება მაინც საკმაოდ გაუჭირდათ. მეტიც, პირველი ტაიმის ბოლო წუთამდე ანგარიშში სწორედ უელსელები იყვნენ წინ. ისინი იგებდნენ -13:6. ფრანგების მესამეხაზელმა **ტიერი დიუზოტუარმა** ლელო ბოლო წამებზე გაიტანა. **მორგან პარამ** გარდასახა და ანგარიში გაათანაბრდა -13:13.

მეორე ტაიმში, 53 -ე წუთზე, ფაქტობრივად, გამარჯვების მომტანი ლელო გარემარბ **სედრიკ ემონსის** ანგარიშზეა - 18:13. დარჩენილ დროში, დიდი მცდელობის მიუხედავად, გუნდებმა მხოლოდ თითო საჯარიმოს გაცვლა მოახერხეს. ფრანგებმა უელსს პირველი მარცხი მიაყენეს - 21:16.

აუტსაიდერების, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრები გუნდების მატჩში უჩვეულო არაფერი მომხდარა. სქოთები აძურის შინ იგებდნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს კიდეც - 26:6

**ბესიკ ჯანგავაძე**

### საფრანგეთი - უელსი 21:16

**საფრანგეთი** (15-9) მედარი, მალზიო, ბასტარო, ჟოზიონი, ემონსი, ბაბი (ტრინ დუკი 36), პარა (ტიუბორდი 71), (1-8) ბარსელია, შარუევსკი (კაისერი 64), მარკონე (დომინგო 56), შაბალი (მიო-შლუსკი 56), ნალე, დიუზოტუარი, უედრაოგო, არენორდოკი.

**2ლ:** ემონსი, დიუზოტუარი. **3ს,გ:** პარა.

**უელსი** (15-9) ბერნი, ჰაფ პენი, შენკლინი, რობერტსი (ჰენსონი 54), შ.ვილიამსი, ს.ჯოუნსი (ჰუკი 67), ფილიპსი (პილი 54). (1-8) ჯენინქსი, რისი (ბენეტი 54), ა.ჯოუნსი, გოფი (ჩარტერისი 67), აჯოუნსი, რ.ჯოუნსი, მ.ვილიამსი, პაუელი (დ.ჯოუნსი 67).

**ლ:** ბერნი. **3ს:** ს.ჯოუნსი (2), ჰუკი.

**მსაჯი:** მარკ ლორენსი (ს.აფრიკა)

### შოტლანდია - იტალია 26:6

**შოტლანდია** (15-9) საუსველი (პეტერსონი 48), დენიელი, მ.ევანსი, მორისონი, თ. ევანსი, გოდმენი, ბლერი (კაზიტერი 53). (1-8) ჯეკობსენი, ფორდი (ჰალი 53), მარი, ვაითი, ქელოქი, სთრექოში, ბარქლეი (გრეი 55), თეილორი.

**2ლ:** დანიელი, გრეი. **4ს,2გ:** გოდმენი.

**იტალია** (15-9) მარკატო (რუბინი 48), მირკო ბერგამასკო, კანალე, გარსია (ბაკეტი 5), პრატიკეტი, მაკლეინი, გრიფინი (კანავოზიო 55). (1-8) პერუჯინი, ჯირალდინი, კასტროჯოვანი (ნიეტო 57), დელაპე (დელ ფავა 57), ბორტოლამი, ძანი, მაურო ბერგამასკო, პარისე.

**ს:** მაკლეინი, **ა:** პარისე.

**მსაჯი:** ნაიჯელ ოუენსი (უელსი)

### ირლანდია - ინგლისი 14:13

**ირლანდია** (15-9) ქარნი, ბოუ, ოდრისკოლი, პ. ვოლესი, ფიცჯერალდი, ოგარა, ოლირი (სტრინგერი 65). (1-8) ჰორანი, ფლენერი ფლანერი 68), ჰეისი, ოკალაჰენი, ოკონელი, ფერისი, დ. ვოლესი, ჯ. ჰიზლიფი (ლეამი 68).

**ლ:** ოდრისკოლი. **2ს:** ოგარა. **გ:** ოდრისკოლი.

**ინგლისი** (15-9) არმითიჯი, საქი (თაითი 57), თინდოლი, ფლუთი, კვეიტო, ფლადი (გუდი 66), ელისი (კერი 58). (1-8) შერიდანი (ვაითი 77), მირსი (ჰართი 66), ვიქერი, ბორსვიქი, ქენედი (ქროფთი 69), ჰესქელი, ვორსლი, ისთერი.

**ლ:** არმითიჯი. **გ:** გუდი. **2ს:** ფლადი, არმითიჯი.

**მსაჯი:** კრეგ იუბერი (ს.აფრიკა).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ირლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | +39 | 6 |
| 2.უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | +16 | 4 |
| 3.საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +5 | 4 |
| 4.ინგლისი | 3 | 1 | 0 | 2 | +16 | 2 |
| 5.შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | -2 | 2 |
| 6.იტალია | 3 | 0 | 0 | 3 | -74 | 0 |

**IV ტური**

**14 მარტი**

იტალია-უელსი

შოტლანდია-ირლანდია

**15 მარტი**

ინგლისი-საფრანგეთი





ცნობილმა გამთამაშებელმა **სტეფონ მარბერიმ** „ნიუ იორკ ნიქსიდან" წასვლის შემდეგ, სწრაფად იპოვა ახალი კლუბი. როგორც მოსალოდნელი იყო, მცველმა NBA-ის ჩემპიონ „ბოსტონ სელტიქსში" გააგრძელა კარიერა.

კალათბურთი. ტრანსფერი

# მარბერი ბოსტონს შეუერთდა

*„მოხარულები ვართ სტეფონის დონის კალათბურთელის დამატებით,* - განაცხადა „სელტიქსის" გენერალურმა მენეჯერმა **დენი ეინჯმა**. - *ჩვენ ყველანი დარწმუნებულები ვართ, რომ მარბერი ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაში დიდ სამსახურს გაგვიწევს".*

მარბერიმ ამ სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი „კელტებთან". გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ „ბოსტონმა" ვეტერანისთვის განკუთვნილი მინიმალური ხელფასი (1.3 მილიონი) გაუფორმა გამთამაშებელს, რომელიც გასულ კვირას 32 წლის შესრულდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მარბერის ორ წელზე მეტია არ უთამაშია რეგულარულ ჩემპიონატში.

შაბათს სტეფონს დებიუტი ჰქონდა ახალი გუნდის რიგებში. როგორც მოსალოდნელი იყო, ის „სელტიქსის" ძირითადი გამთამაშებლის **რაჟონ რონდოს** შემცვლელად მოგვევლინა. „ინდიანასთან" მატჩში მარბერიმ 12 წუთი ითამაშა და 8 ქულითა და 2 შედეგიანი პასით დაეხმარა „ბოსტონს", რომელმაც 104:99 გაიმარჯვა.

**გია თვალაბეიშვილი**

ახალი ამბები

# ტრავმები, დისკვალიფიკაცია და ზოს აღიარება

**მარბერის** ტრანსფერის გარდა, გასულ უიქ ენდზე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა.

ერთბაშად ორმა კლუბმა - „ოკლაჰომა-სიტიმ" და „ჩიკაგო ბულზმა" დაკარგეს თავიანთი წამყვანი კალათბურთელები. „ოკლაჰომას" დაახლოებით ორი კვირა ფორვარდ **კევინ დურანტის** გარეშე მოუწევს თამაში. ახალგაზრდა კალათბურთელმა „დალასთან" შეხვედრაში (108:110) მარჯვენა კოჭი დაიზიანა.

მატჩის შემდეგ ჩატარებულმა შემოწმებამ მოტეხილობა არ დააფიქსირა. შარშანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშე ბოლო 10 მატჩში საშუალოდ 33.1 ქულასა და 6.7 მოხსნას აგროვებდა.

უფრო მეტად არ გაუმართლა „ჩიკაგოს" ფორვარდ **ლუოლ დენგს**, რომელმაც „ჰიუსტონის" წინააღმდეგ მარჯვენა ტერფის ტრავმა მიიღო. რენტგენმა, სავარაუდოდ, მოტეხილობა აჩვენა, საბოლოო პასუხი კი ორშაბათს გახდება ცნობილი, როცა ბრიტანული პასპორტის მქონე კალათბურთელი ტომოგრაფიულ გამოკვლევას ჩაიტარებს.

თუ მოტეხილობა დადასტურდა, დენგს (2008-09 წლების სეზონი: 14.3 ქულა და 6.1 მოხსნა) ამ სეზონისთვის დამშვიდობება მოუწევს.

■ ■ ■

„დეტროიტ პისტონზის" ფორვარდი **რაშიდ უოლასი** „ნიუ ორლეანთან" მატჩში უდისციპლინო საქციელისთვის 25 ათასი დოლარით დაისაჯა. შეხვედრის მეოთხე მეოთხედში კალათბურთელმა ორი ტექნიკური ჯარიმა მიიღო: პირველ შემთხვევაში მსაჯთან კამათისთვის, მეორედ კი ტრიბუნაზე პირსახოცის სროლისთვის.

ამ ჩემპიონატში უოლასისთვის ეს შენიშვნები, შესაბამისად, მე-15 და მე-16 უნდა ყოფილიყო, რაც კალათბურთელის ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ითვალისწინებდა, მაგრამ NBA-ის სადისციპლინო კომიტეტმა გააუქმა ფორვარდის მიერ 23 დეკემბერსა და 7 თებერვალს მიღებული ტექნიკური პერსონალურები და რაშიდს ფულადი ჯარიმა აკმარა.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ხმარებიდან ამოიღებს ცენტრალური თავდამსხმელის **ალონზო მოურნინგის** 33-ნომრიან მაისურს. კლუბი ამ გზით აპირებს კალათბურთელის ღვაწლის დაფასებას, რომელმაც NBA-ში გატარებული 15 სეზონიდან ათში „ჰიტის" ღირსება დაიცვა. „მაიამის" არენის თაღზე მოურნინგის მაისურის აღმართვის საზეიმო ცერემონია 30 მარტს, „ორლანდოსთან" მატჩის წინ გაიმართება.

38 წლის ზო „მაიამის" ლიდერია მატჩების (593), ქულებისა (9459) და მოხსნების (4807) რაოდენობით. მოურნინგი ორჯერ დაასახელეს სეზონის საუკეთესო დამცველად, მან აგრეთვე შვიდჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში". ალონზომ 2006 წელს „მაიამის" შემადგენლობაში NBA-ის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ამა წლის 22 იანვარს კი ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ.

**გია თვალაბეიშვილი**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

### 27 თებერვალი

**ორლანდო-დეტროიტი 85:93**

24:20, 25:23, 16:28, 20:22

**ო:** დ. ჰოვარდი (21+13 მოხსნა), ელსტონი (14+6 პასი+3 ჩაჭრა), თურქოგლუ (13), კ. ლი (11), ლუისი (10+7 მოხსნა).

**დ:** ჰემილტონი (31+6 პასი+3 ჩაჭრა), სტაკი (22), პრინსი (17), მაკდაესი (8+13 მოხსნა), რ. უოლასი (6+10 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ჩიკაგო 113:90**

27:18, 22:27, 34:29, 30:16

**ვ:** ჯეიმისონი (27+11 მოხსნა), კ. ბატლერი (14+7 მოხსნა+6 პასი), მ. ჯეიმსი (14), სონგაილა (12+3 ჩაჭრა), ნ. იანგი (12), ბლეტჩი (12), მაკნუაირი (10+11 მოხსნა+3 დაფარება).

**ჩ:** სალმონსი (25), ბ. გორდონი (11), დ. როუზი (10), ბ. მილერი (9+11 მოხსნა).

**ატლანტა-მაიამი 91:83**

19:15, 17:17, 28:21, 27:30

**ა:** ჯო ჯონსონი (24), ჰორფორდი (21+22 მოხსნა), ჯ. სმიტი (14+8 მოხსნა), მ. უილიამსი (13), მიურეი (12).

**მ:** ბიზლი (23), უეიდი (21+10 პასი+3 ჩაჭრა), კუკი (11), ჰასლემი (10+11 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (8+11 მოხსნა).

**ბოსტონი-ინდიანა 104:99**

26:18, 22:31, 29:26, 27:24

**ბ:** რ. ალენი (30), გ. დევისი (18), პირსი (16), პოუ (14), პერკინსი (6+11 მოხსნა+5 დაფარება), რონდო (3+17 პასი).

**ი:** ფორდი (23), მერფი (20+13 მოხსნა), ბ. რაში (17), ჯეკი (14).

**ნიუ იორკი-ფილადელ. 103:108**

11:29, 26:25, 34:23, 32:31

**ნ-ი:** ჰიუზი (25+4 ჩაჭრა), ელ ჰარინგტონი (23), დ. ლი (17+11 მოხსნა), რობინსონი (14), დუჰონი (11+6 პასი).

**ფ:** ა. მილერი (25+6 პასი+3 ჩაჭრა), ი. იანგი (23), იგუოდალა (15+7 მოხსნა), დალემბერი (10+14 მოხსნა), ლ. უილიამსი (10).

**მინესოტა-პორტლენდი 82:102**

21:23, 19:25, 18:29, 24:25

**მ:** მ. მილერი (16), კ. სმიტი (16), ბ. ბრაუნი (15), ფოიე (13).

**პ:** როი (19), ფერნანდესი (18), ოლდრიჯი (15+10 მოხსნა), აუთლო (15), როდრიგესი (12).

**ნიუ ორლეანი-მილუოკი 95:94**

29:18, 21:17, 25:26, 20:33

**ნ-ო:** დ. უესტი (28+12 მოხსნა), რ. ბატლერი (17), ტ. ჩენდლერი (14+9 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (13), პოლი (9+7 მოხსნა+20 პასი).

**მ:** რ. ჯეფერსონი (22), ჩ. ბელი (21), რიდნური (14), ვილანუევა (13+7 მოხსნა).

**დალასი-ოკლაჰომა 110:108 (ო)**

24:22, 24:21, 16:26, 31:26, 15:13

**დ:** ნოვიცკი (41+9 მოხსნა), ჯოშ ჰოვარდი (13), სინგლტონი (12+9 მოხსნა+3 დაფარება), კიდი (10+13 პასი+4 ჩაჭრა).

**ო:** უესტბრუკი (33+8 მოხსნა), ჯ. გრინი (28+12 მოხსნა), სეფოლოშა (12+8 მოხსნა), კრსტიჩი (10+9 მოხსნა), ე. უოტსონი (5+11 პასი).

**დენვერი-ლეიკერსი 90:79**

16:19, 30:21, 20:23, 24:16

**დ:** ბილაპსი (22+6 პასი), სმიტი (22), პ. გასოლი (12+12 მოხსნა), კ. ანდერსენი (11+12 მოხსნა+7 დაფარება).

**ლ:** ბრაიანტი (29+8 მოხსნა), პ. გასოლი (18+10 მოხსნა), ოდომი (12+19 მოხსნა).

**ფინიქსი-ტორონტო 133:113**

37:30, 31:37, 28:25, 37:21

**ფ:** შ. ო'ნილი (45+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ამუნდსონი (20+10 მოხსნა+4 დაფარება), ბარნსი (18+6 პასი), ჰილი (14+12 პასი), ჯ. რიჩარდსონი (11), ბარბოზა (11+4 ჩაჭრა).

**ტ:** მერიონი (27+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბარნიანი (21), ბოში (19+10 მოხსნა), ე. პარკერი (14+7 მოხსნა), კაპონო (15), კალდერონი (10).

**სან ანტონიო-კლივლენდი 86:97**

13:27, 25:18, 18:32, 30:20

**ს-ა:** ტ. პარკერი (11+6 პასი), ფინლი (11+7 მოხსნა+3 დაფარება), ჰეირსტონი (11), მენსა-ბონსუ (11), რ. მეისონი (10).

**კ:** ლ. ჯეიმსი (30+14 მოხსნა), დ. უესტი (17+7 მოხსნა), ილგაუსკასი (10+10 მოხსნა), გიბსონი (10).

**საკრამენტო-კლიპერსი 98:86**

27:18, 25:21, 26:21, 20:26

**ს:** მარტინი (20), ბ. ჯექსონი (18), ნოჩიონი (17), გარსია (15+6 პასი), მაკენტსი (12), ტომპსონი (10+7 მოხსნა), ჰოვსი (4+15 მოხსნა).

**კ:** ბ. დევისი (13+4 ჩაჭრა), ნოვაკი (13), ზ. რენდოლფი (11+12 მოხსნა), კემბი (8+13 მოხსნა).

**გ. სტეიტი-შარლოტი 109:112**

24:25, 31:36, 31:26, 23:25

**გ-ს:** ს. ჯექსონი (33+8 პასი+3 ჩაჭრა), მაგეტი (20), ბიედრინსი (18+13 მოხსნა), აზუბუიკე (14), სიჯეი უოტსონი (10+4 ჩაჭრა).

**შ:** ფელტონი (26+9 პასი+4 ჩაჭრა), დიაო (22+4 ჩაჭრა), ოკაფორი (15+11 მოხსნა), ჯ. უოლასი (14+11 მოხსნა), რადმანოვიჩი (11).

### 28 თებერვალი

**ფილადელფია-ორლანდო 100:106**

32:26, 25:19, 23:25, 20:36

**ფ:** ა. მილერი (23+8 მოხსნა+7 პასი), იგუოდალა (22), გრინი (19), ტ. იანგი (18).

**ო:** თურქოგლუ (23+7 პასი), ლუისი (23), კ. ლი (18), დ. ჰოვარდი (12+8 მოხსნა+3 დაფარება), ელსტონი (11).

**მაიამი-ნიუ იორკი 120:115**

22:34, 37:33, 24:31, 37:17

**მ:** უეიდი (46+8 მოხსნა+10 პასი+4 ჩაჭრა+3 დაფარება), ჯ. ო'ნილი (18+7 მოხსნა), მუნი (17+12 მოხსნა), ბიზლი (12+7 მოხსნა), ჰასლემი (8+10 მოხსნა).

**ნ-ი:** რობინსონი (29+8 მოხსნა), დუჰონი (19+9 პასი), ჰიუიზი (19), დ. ლი (18+13 მოხსნა), ელ ჰარინგტონი (16).

**მემფისი-ოკლაჰომა 92:99**

17:29, 28:25, 16:23, 31:22

**მ:** გეი (20+7 მოხსნა), მაიო (18), კონლი (17), არტური (13).

**ო:** ჯ. გრინი (27+10 მოხსნა), უესტბრუკი (25+7 პასი+4 ჩაჭრა), სეფოლოშა (15+11 მოხსნა), კრსტიჩი (10).

**ჩიკაგო-ჰიუსტონი 105:102**

26:31, 29:27, 16:30, 34:14

**ჩ:** დ. როუზი (22+8 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ტ. ტომასი (19+9 მოხსნა), ბ. გორდონი (16), სალმონსი (12), ბ. მილერი (11), ნოა (10+15 მოხსნა).

**ჰ:** არტესტი (32+3 ჩაჭრა), იაო მინი (17+7 მოხსნა+3 დაფარება), სკოლა (16+12 მოხსნა), ვაფერი (11), ლოური (10).

**მილუოკი-ვაშინგტონი 109:93**

30:17, 25:23, 28:30, 26:23

**მ:** ვილანუევა (25), რ. ჯეფერსონი (22), მბა ა მუტე (13+9 მოხსნა), ჩ. ბელი (12), სეშენსი (12+10 პასი), გაძურიჩი (10+11 მოხსნა).

**ვ:** ჯეიმისონი (21+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), კ. ბატლერი (19+6 პასი), ნ. იანგი (13).

**იუტა-საკრამენტო 102:89**

32:25, 22:25, 25:23, 23:16

**ი:** რ. ბრიუერი (26+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ოქური (26), დ. უილიამსი (16+11 პასი), მილსეპი (8+12 მოხსნა).

**ს:** მარტინი (19), მაკენტსი (17), ბ. ჯექსონი (14), გარსია (13), ტომპსონი (7+12 მოხსნა+3 დაფარება), ჰოვსი (5+11 მოხსნა).

**კლიპერსი-შარლოტი 95:100**

29:17, 22:28, 20:34, 24:21

**კ:** ზ. რენდოლფი (33+9 მოხსნა), ტორნტონი (16), ბ. დევისი (14+6 პასი), ტეილორი (13), კემბი (4+13 მოხსნა).

**შ:** ოკაფორი (28+9 მოხსნა), რ. ბელი (21+7 მოხსნა), დიაო (15).

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# ვონმა ტიტულების შეგროვება დაიწყო



მსოფლიოს თასის დასრულებამდე ორი ეტაპია დარჩენილი და ქალთა გათამაშებაში თანდათან ირკვევა სეზონის ლაურეატთა ვინაობა. წინა კვირას სუპერკომბინაციაში ბროლის მცირე გლობუსი შვედმა **ანია პერსონმა** მოიპოვა. ამჯერად კი გაირკვა სწრაფდაშვებაში მსოფლიოს თასის მფლობელი - ზედიზედ მეორედ ამ კატეგორიაში პირველობა ამერიკელმა **ლინდსი ვონმა** დაიმსახურა, რითაც სახელოვანი თანამემამულის - **პიკაბო სტრიტის** შედეგი გაიმეორა, რომელმაც 1995-96 წლებში მიაღწია ანალოგიურ წარმატებას.

გასულ უქმეებზე ქალი მოთხილამურეები ბულგარეთის კურორტ ბანსკოში შეიკრიბნენ, სადაც ჩქაროსნულ დისციპლინებში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. შაბათს სწრაფდაშვებაში ვონმა მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავა, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა მსოფლიოს თასის მოსაპოვებლად. ამერიკელმა უახლოეს მდევარ **ანდრეა ფიშბახერს** 99 ქულით გაუსწრო და დარჩენილი ერთი სტარტი ველარაფერს შეცვლის.

ვონი ბულგარეთში ტრავმით იყო ჩასული და სწრაფდაშვებაზე მისი გამოსვლა საეჭვო იყო. მაგრამ ლინდსი საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვისაც იბრძვის და საჭირო ქულებისთვის სტარტზე გავიდა. მეორე დღეს კი ამერიკელმა ბრწყინვალე სტილში იასპარეზა სუპერ-გიგანტში. მან ამ დისციპლინაში ზედიზედ მეოთხე ეტაპი მოიგო და აქაც ბროლის მცირე გლობუსს უმიზნებს - ლინდსი სუპერ-გიგანტის ლიდერ **ფაბიან სუტერს** სულ რაღაც 15 ქულით ჩამორჩება.

რაც შეეხება საერთო ჩათვლას, თუ სასწაული არ მოხდა, ვონი ზედიზედ მეორედ გახდება სეზონის საუკეთესო ქალი მოთხილამურე. ასე რომ, 2008-09 წლების სეზონი ამერიკელისთვის განსაკუთრებულად ტრიუმფალური იქნება. შეგახსენებთ, რომ ლინდსიმ ვალ დ'იზერში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი მოიპოვა.

### კრანსკა გორა (სლოვენია)

#### გიგანტური სლალომი. კაცები

1. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 2:19.92 (1:07.45+1:12.47); 2. **დიდიე კუში** (შვეიც) - 2:20.11 (1:07.10+1:13.01); 3. **მასიმილიანო ბლარდონე** (იტა) - 2:20.26 (1:07.35+1:12.91); 4. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - 2:20.55 (1:07.78+1:12.77); 5. **სტივ მისილიე** (საფ) - 2:20.66 (1:08.21+1:12.45); 6. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 2:20.73 (1:08.16+1:12.57).

#### სლალომი

1. **ჟულიან ლიზერუ** (საფ) - 1:40.11 (48.91+51.20); 2. **ჯულიანო რაცოლი** (იტა) - 1:40.45 (48.74+51.71); 3. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერ) - 1:40.67 (49.27+51.40); 4. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 1:40.71 (48.90+51.81); 5. **მარიო მატი** (ავსტრია) - 1:40.73 (49.66+51.07); 6. **მატიას ჰარგინი** (შვედ) - 1:40.80 (49.50+51.30); 6. **მანფრედ პრანგერი** (ავსტრია) - 1:40.80 (49.27+51.53).

#### საერთო ჩათვლა

1. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 837; 2. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 835; 3. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 777; 4. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 751; 5. **დიდიე კუში** (შვეიც) - 727; 6. **კარლო იანკა** (შვეიც) - 635.

### ბანსკო (ბულგარეთი)

#### სწრაფდაშვება. ქალები

1. **ანდრეა ფიშბახერი** (ავსტრია) - 1:45.81; 2. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 1:46.07; 3. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 1:46.20; 4. **ლარა გუტი** (შვეიც) - 1:46.43; 5. **ნადია ფანკინი** (იტა) - 1:46.61; 6. **მარიონ როლანდი** (საფ) - 1:47.07.

#### სუპერ-გიგანტი. ქალები

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:14.49; 2. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 1:15.07; 3. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 1:15.40; 4. **ინგრიდ ჟაკემო** (საფ) - 1:15.64; 5. **ფრაენცი აუფდენბლატენი** (შვეიც) - 1:15.82; 5. **მარია რიში** (გერ) - 1:15.82.

#### საერთო ჩათვლა

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1556; 2. **მარია რიში** (გერ) - 1165; 3. **ანია პერსონი** (შვედ) - 986; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 885; 5. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 713; 6. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 694

ოლიმპიზმი

# ავსტრალიამ ოთხი მედალი მიიღო

1904 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე მოცურავე **ფრენსის გეილის** მიერ მოგებული ოთხი მედალი ამერიკის ნაცვლად ავსტრალიის კუთვნილება გახდება. დიდი ხანი ითვლებოდა, რომ გეილი ამერიკის ნაკრებს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა, სპორტულმა ისტორიკოსებმა გაარკვიეს, რომ ის ავსტრალიელი ყოფილა. 1904 წლის თამაშებზე გეილმა ვერცხლის სამი და ბრინჯაოს ერთი მედალი მოიპოვა - წერს ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

ამ ორგანიზაციის ოფიციალური მემატიანის **გარი გორდონის** სიტყვებით, შეცდომა იმით არის გამოწვეული, რომ გეილი ამერიკაში ცხოვრობდა და 1904 წლის ოლიმპიადაზე არა ავსტრალიის ნაკრების, არამედ სან ფრანცისკოს ოლიმპიური კლუბის ფორმით გამოდიოდა. მოცურავემ ვერცხლის მედლები 200, 400 და 800 მეტრ დისტანციებზე მოიპოვა, ბრინჯაოსი - 1500 მეტრზე.

გეილი ავსტრალიიდან ამერიკაში 1904 წლის დასაწყისში გადასახლდა, სენტ ლუისის თამაშების შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა 1906 წელს საბოლოოდ გადავიდა ამერიკაში, იქაური მოქალაქეობა მიიღო, კალიფორნიაში ცხოვრობდა და 1972 წლის ივლისში გარდაიცვალა.

მას შემდეგ, რაც გეილის ოთხი მედალი ავსტრალიას გადაეცა, ეს ქვეყანა 1904 წლის ოლიმპიადის გუნდურ ჩათვლაში მეხუთე ადგილზე გადავიდა. ადრე ითვლებოდა, რომ სენტ ლუისის თამაშებზე ავსტრალიას მხოლოდ მძლეოსანი **კორი გარდნერი** წარმოადგენდა, რომელმაც უმედლოდ დატოვა ის ოლიმპიადა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 27 თებერვალი

**ფილადელფია-მონრეალი 3:4 (ო)**
2:3, 1:0, 0:0: 0:1

გოლები: 1:0 ლუპული-18 (ჰარტნელი-24, ჯ. კარტერი-29), 2:0 მ. რიჩარდსი-24, 2:1 პლეკანეცი-17 (შნაიდერი-13, კოვალიოვი-30), 2:2 კოსტოპულოსი-7 (პასიორეტი-7), 2:3 კოვალიოვი-15 (პლეკანეცი-17, გორჯესი-13), 3:3 საიმონ განიე-24, 3:4 შნაიდერი-7 (კოვალიოვი-31, ს. კოივუ-23).

**დეტროიტი-ლოს ანჯელესი 2:1**
0:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 მიჩი-2 (დრეიპერი-9, ლეინო-4), 2:0 კოპეცკი-4 (ფილპულა-25), 2:1 ფროლოვი-26 (ქუინსი-30, ჰანძუში-17).

**ჩიკაგო-პიტსბურგი 4:5 (ო)**
1:2, 1:2, 2:0, 0:1

გოლები: 0:1 ჯ. სტაალი-16 (გონჩარი-4, კუნიტცი-20), 0:2 კუნიტცი-17 (ჯ. სტაალი-18, კენედი-12), 1:2 ტეუვზი-23 (ბარკერი-24), 2:2 ტეუვზი-24 (კეინი-35, ბარკერი-25), 2:3 შატანი-16 (ფედოტენკო-14), 2:4 ტელბოტი-9 (დუპუი-11, კუკი-14), 3:4 ტეუვზი-25 (ბარკერი-26, ვიშნიევსკი-11), 4:4 ბოლანდი-14 (ლედი-25, ჰავლატი-33), 4:5 მალკინი-28 (გონჩარი-5, შატანი-19).

**კალგარი-მინესოტა 4:1**
0:0, 3:0, 1:1

გოლები: 1:0 კამალერი-31 (კონროი-28, იგინლა-43), 2:0 ფანოფი-9, 3:0 ლუნდმარკი-1 (სერიჩი-16), 4:0 კამალერი-32 (მოსი-13), 4:1 მ-ა. ბერჟერონი-8 (ფრიტშე-4, ბერნსი-17).

**ვანკუვერი-ტამპა ბეი 2:1**
1:0, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 ედლერი-7 (კესლერი-21, დემიტრა-21), 1:1 სტემკოსი-12 (სენტ ლუისი-39, რეკი-27), 2:1 ბერნიე-13 (დემიტრა-22, რ. ჯონსონი-3).

### 28 თებერვალი

**ბოსტონი-ვაშინგტონი 3:4 (ო)**
1:1, 1:1, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ბექსტრიომი-17 (სიომინი-34, მ. გრინი-32), 1:1 ჰენვიკი-5 (სავარი-47, კესელი-21), 1:2 ოვეჩკინი-45 (ბრედლი-5, იურჩინა-9), 2:2 კესელი-26 (სავარი-48, ჰენვიკი-14), 2:3 ფლიშმანი-17 (ლეიჩი-20, პოტი-10), 3:3 ხარა-15 (პ. ბერჟერონი-20, სავარი-49), 3:4 სიომინი-24 (მ. გრინი-33, შულტცი-10).

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 7:2**
2:0, 4:1, 1:1

გოლები: 1:0 პარიზე-37 (ლანგენბრუნერი-34, მარტინი-18), 2:0 პარიზე-38, 3:0 შენეჰანი-4 (კლარკსონი-12, როლსტონი-11), 4:0 ზაიაცი-18 (პარიზე-38, ელიაში-42), 5:0 როლსტონი-12 (ჯონტა-33, კ. უაიტი-13), 5:1 პელტონენი-10 (კალიმორი-6, დვორაკი-17), 6:1 კლარკსონი-14 (შენეჰანი-3, ოდუია-19), 6:2 მაკეიბი-11 (ბალარდი-20, დვორაკი-18), 7:2 ზუბრუსი-13 (ელიაში-43, ჯონტა-34).

**დალასი-ანაჰაიმი 3:4**
0:2, 2:0, 1:2

გოლები: 0:1 ს. ნიდერმაიერი-9 (ებეტი-16, ბ. რაიანი-19), 0:2 ებეტი-4 (პრონგერი-27, ბ. რაიანი-20), 1:2 რიბეირო-14 (ოტი-16, სიდორი-10), 2:2 ნისკანენი-5 (რიბეირო-41, რობიდასი-20), 3:2 რიბეირო-15 (ოტი-17, ლეპტინენი-15), 3:3 პერი-22 (გეტცლაფი-50, დ. მილერი-5), 3:4 სელიანე-20 (ებეტი-17).

**მონრეალი-სან ხოსე 3:2**
3:0, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 მარკოვი-9 (პლეკანეცი-18, შნაიდერი-14), 2:0 გორჯესი-3 (დ'აგოსტინი-7, ს. კოივუ-24), 3:0 ს. კოივუ-11 (მარკოვი-41), 3:1 პაველსკი-18 (მ. მიხალეკი-26, ბოილი-31), 3:2 ჯ. ტორნტონი-16 (მარლო-31, ერჰოფი-23).

**ოტავა-ტორონტო 3:4 (ო)**
0:2, 2:0, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 მეიერსი-4 (ჯ. მიტჩელი-14, ტ. კაბერლე-27), 0:2 სტეპლტონი-1 (ჯ. ბლეიკი-28, მური-29), 1:2 შენონი-3 (სპეცა-28, ჰიტლი-27), 2:2 ი. რუუტუ-5 (კომრი-14, დონოვანი-4), 3:2 ალფრედსონი-18 (ფიშერი-14), 3:3 კუბინა-11 (ანტროპოვი-25, გრაბოვსკი-18), 3:4 კუბინა-12 (ი. უაიტი-14, სტაიანი-29).

**აილენდერსი-ბაფალო 2:0**
0:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ბერგენჰაიმი-10 (ჰილენი-3, ოკსოპო-11), 2:0 ბერგენჰაიმი-11 (ნილსენი-17).

**რეინჯერსი-კოლორადო 6:1**
4:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კელეჰანი-14 (დუბინსკი-23, დრური-25), 2:0 ჟერდიოვი-17 (კორპიკოსკი-6), 3:0 პრუხა-4 (კორპიკოსკი-7, მარა-12), 4:0 გომესი-13 (მ. სტაალი-8, ჟერდიოვი-30), 5:0 დრური-16 (გომესი-32, ნესლუნდი-19), 5:1 რ. სმიტი-21 (ჰეიდუკი-26, ლაილსი-22), 6:1 ნესლუნდი-20 (გომესი-33, კალინინი-12).

**ატლანტა-კაროლინა 5:3**
0:2, 1:0, 4:1

გოლები: 0:1 ტ. რუუტუ-17 (ე. სტაალი-21), 0:2 სამსონოვი-13 (ი. იოკინენი-14, ივსი-7), 1:2 კოვალჩუკი-33 (ტ. უაიტი-39), 1:3 ბაბჩუკი-8 (ტ. რუუტუ-22, ე. სტაალი-22), 2:3 პევერლი-9 (რისონერი-13, კოვალჩუკი-35), 3:3 ტ. უაიტი-17 (კოვალჩუკი-36, ლიტლი-17), 4:3 პევერლი-10 (კოვალჩუკი-37, ვიაჩ. კოზლოვი-36), 5:3 კოვალჩუკი-34 (ჰეინსი-26).

**ნეშვილი-დეტროიტი 8:0**
5:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 კოისტინენი-3 (შ. უებერი-21, ო'რაილი-1), 2:0 ლეგუანდი-17 (სმიტსონი-7, ჯ. უორდი-12), 3:0 ჯ. უორდი-11, 4:0 პილსტრიომი-2 (ტუტუ-8, კლეინი-5), 5:0 არნოტი-24 (კოისტინენი-7, რ. ჯონსი-9), 6:0 არნოტი-25 (სალივანი-7, დუმონი-34), 7:0 შ. უებერი-17 (სალივანი-8, დუმონი-35), 8:0 არნოტი-26 (დუმონი-36, სალივანი-9).

**ფინიქსი-სენტ ლუისი 1:3**
0:0, 0:1, 1:2

გოლები: 0:1 მაკლემანი-11 (ა. სტინი-15), 0:2 პერონი-9 (ბექზი-16, ბერგლუნდი-21), 1:2 ო. იოკინენი-21 (იენდლი-22, მიულერი-20), 1:3 ე. მაკდონალდი-9 (ტკაჩუკი-18, ბოიესი-26).

**ედმონტონი-მინესოტა 3:2**
1:2, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 ბრუნეტი-14 (მ. კოივუ-40, ბუშარი-25), 1:1 ჰემსკი-20 (პორკოფი-28, გილბერტი-32), 1:2 მიეტინენი-14 (ველო-7, ოლვეცკი-2), 2:2 სტორტინი-5 (რედუ-3, შმიდი-8), 3:2 გილბერტი-4 (რედუ-4, გრებეშკოვი-22).

ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **NBA** | |
| ბოსტონი-დეტროიტი | 95:105 |
| **გერმანიის თასი** | |
| ტელეკომი-დიუსელდორფი | 83:62 |
| ალბა-სკაილაინერსი | 81:69 |
| სკაილაინერსი-დიუსელდორ. | 73:69 |
| ალბა-ტელეკომი | 69:44 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-კავალა | 78:59 |
| პანელინიოსი-კოლოსოსი | 70:66 |
| ოლიმპია-პაოკ | 74:80 |
| ეგალეო-აეკ | 59:61 |
| პანიონიოსი-მარუსი | 70:84 |
| ტრიკალა-ლარისა | 79:70 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 77:75 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-რეალი | 88:81 |
| ტაუგრესი-კახასოლი | 92:75 |
| სარაგოსა-მენორკა | 85:70 |
| ვალენსია-უნიკახა | 79:83 |
| მურსია-გრანადა | 78:75 |
| ფუენლაბრადა-ესტუდიას. | 97:89 (ო) |
| ხუვენტუდი-ბრუესა | 106:70 |
| გრან კანარია-მანრესა | 89:65 |
| **იტალია** | |
| ბენეტონი-რიეტი | 82:79 |
| აველინო-ვირტუსი | 64:65 |
| ტერამო-კანტუ | 83:75 |
| ბიელა-მონტეგრანარო | 92:74 |
| მილანი-ფერარა | 76:74 |
| რომა-სნაიდერო | 83:70 |
| სკავოლინი-კაზერტა | 91:84 |
| ფორტიტუდო-სიენა | 67:63 |
| **საფრანგეთი** | |
| ბეზანსონი-გრაველინი | 74:90 |
| ჰავრი-ნანსი | 86:78 |
| დიჟონი-ვიში | 79:85 (ო) |
| ორლეანი-შალონი | 53:73 |
| პო ორტეზი-როანი | 66:88 |
| ტულონი-ლე მანი | 73:78 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **NHL** | |
| ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 3:0 |
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-ავანგარდი | 2:2 |
| ატლანტი-ტრაქტორი | 3:0 |
| დინამო-დინამო (რ) | 4:0 |
| ლოკომოტივი-ნეფტიხიმიკი | 2:2 |
| **ავსტრია** | |
| გრაცი-ვენა | 2:1 |
| ინსბრუკი-კლაგენფიურტი | 1:3 |
| ლინცი-ვილახი | 2:0 |
| **[illegible]** | |
| დუისბურგი-ვოლფსბურგი | 1:5 |
| დიუსელდორფი-კასელი | 2:3 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 3:3 |
| [illegible] | 1:3 |
| კრეფელდი-აუგსბურგი | 3:1 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 0:3 |
| ფრანკფურტი-ნიურნბერგი | 1:2 |
| შტრაუბინგი-აისბარენი | 3:4 |
| **დანია** | |
| სენდერიისკი-ესბერგი | 4:1 |
| ოდენსე-ნორდსილანდი | 4:1 |
| როდოვრე-ფრედრიკსჰავნი | 1:2 |
| ჰერნინგი-ოლბორგი | 2:2 |
| **ნორვეგია** | |
| ლორენსკოგი-სპარტა | 2:4 |
| სტორჰამარი-სტავანგერი | 2:1 |
| სტიორნენი-ლილეჰამერი | 3:1 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 2:6 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-მიკულაში | 1:2 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 2:0 |
| ზვოლენი-მიკულაში | 5:2 |
| სკალიცა-ტრენჩინი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ილვესი | 4:1 |
| ლუკო-იოკერიტი | 3:1 |
| ტაპარა-სეიპა | 7:4 |
| ტპს-იუვიასკიულა | 2:1 |
| ჰიფკ-კიეკო | 2:1 |
| ჰპკ-პელიკანსი | 1:0 |
| ესეტი-კალპა | 0:7 |
| იოკერიტი-კიეკო | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-ტრშინეცი | 3:0 |
| ზნოიმო-ბოლესლავი | 3:2 |
| კლადნო-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-რაპერსვილი | 1:1 |
| ბილი-ლანგნაუ | 4:1 |
| ჟენევა-კლოტენი | 2:6 |
| ლუგანო-დავოსი | 2:2 |
| ფრიბურგი-ციურიხი | 3:0 |
| ცუგი-ბერნი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლინჩოპინგი | 3:6 |
| ბრიუნესი-ფერიესტადი | 1:3 |
| მოდო-სიოდერტალე | 3:3 |
| ტიმრა-ლულეო | 2:3 |
| ფრიოლუნდა-იურგორდენი | 5:3 |
| ჰვ71-როგლე | 5:2 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. დელრეი ბიჩი** | |
| ფიში-კოროლიოვი | 7:5, 6:3 |

TV პროგრამა

### 2 მარტი. ორშაბათი

**I არხი**

23:00 საფეხბურთო მიმოხილვა - გოლი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:35 ესპანეთის ჩემპიონატი.
09:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-რენი.
11:10 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-რივერ პლეიტი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
15:10 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ვილიარეალი.
19:10 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-სტოკი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სევილია.
01:10 პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-სპორტინგი.
03:00 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლორიანი.
06:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

**EUROSPORT**

11:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I რბოლა. ავსტრალია.
12:30 მოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
12:45 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
13:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 30 კმ. ქალები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 50 კმ. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS134. გუნდური. ლიბერეცი. ჩეხეთი.
16:30 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. უფა. რუსეთი.
17:00 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. უფა. რუსეთი.
17:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 30 კმ. ქალები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
18:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 50 კმ. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS134. გუნდური. ლიბერეცი. ჩეხეთი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - ფერნანდო ტორესი.
22:00 სნუკერი.
23:15 მულტისპორტი.
23:30 არმრესტლინგი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:15 მულტისპორტი.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS134. გუნდური. ლიბერეცი. ჩეხეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
12:00 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი. ეროვნული ლიგა. რეგულარული ჩემპიონატი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. IV ტური. კრიმ მერკატორი (სლოვაკეთი)-ვალჩეა (რუმინეთი).
15:30 ახალი ამბები.
15:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
16:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
16:30 მოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
16:45 ახალი ამბები.
17:00 ჰოკეი. უნივერსიადა. ფინალი. ჰარბინი. ჩინეთი.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. III ტური. პორტლენდი სან ანტონიო (ესპანეთი)-ჰამბურგი (გერმანია).
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ეტაპი. IV ტური. იკასტი (დანია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
19:45 ახალი ამბები.
20:00 ცეკვების ფესტივალი. საფრანგეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
22:00 მოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
22:15 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
23:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი.
01:00 პეინტბოლი. ტელეჟურნალი.
01:30 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
01:45 ბილიარდი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
06:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1




# ჰონდას ბრაუნ რეისინგი დაერქმევა

ყოველდღიურად ახალ-ახალი ინფორმაციები ჩნდება იაპონურ საჯინიბო „ჰონდასთან" დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს ხანში ამ გუნდმა სახელი შეიცვალოს და მას „ბრაუნ რეისინგი" ეწოდოს. როგორც AUTOSPORT-ი იუწყება, გუნდის ადვოკატმა **კაროლინ მაკგრორიმ** 24 და 25 თებერვალს ორი დომენი - brawnracing.co.uk და brawnracing.com დაარეგისტრირა. ამ დომენებზე სულ მალე გაიხსნება განახლებული გუნდის ოფიციალური ვებგვერდები.

შეგახსენებთ, რომ არაოფიციალური ინფორმაციით, „ჰონდა" შეისყიდა მისმა სპორტულმა დირექტორმა **როს ბრაუნმა**, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობას ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

ამასობაში, „ჰონდას" პირველი პილოტი **ჯენსონ ბატონი** ხელფასის 15 მილიონი ფუნტით შემცირებას დათანხმდა. ბრიტანელ ავტომრბოლს იაპონურ საჯინიბოსთან სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, რომლის მიხედვითაც 24 მილიონი ფუნტი უნდა მიეღო, მაგრამ გუნდის ხარჯების შემცირებისთვის 9 მილიონის მიღებას დათანხმდა.

გარდა ამისა, ბატონი მზად არის, დამოუკიდებლად გადაიხადოს ცხოვრებისა და გადაადგილების ხარჯები, რაც მას დაახლოებით 250 ათასი ფუნტი დაუჯდება.

# ახალი ფორს ინდია და უილიამსის ახალი ფერები




*„ვისურვებდი რბოლებში გამარჯვებებს ან ლიდერთა სამეულში მუდმივად შესვლას. მაგრამ თუ ლიდერთა პოზიციებს მაქსიმალურად მივუახლოვდებით, ესეც უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს შეუსრულებელ მისიად სულაც არ მიმაჩნია, მაგრამ ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად კარგად ვიმუშავეთ ზამთარში. შესაძლოა, ამ მანქანით გაგვიმართლოს კიდეც", -* ამბობს სერ ფრენკი.

■ ■ ■

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ბოლო გუნდი, რომელმაც 2009 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდის პრეზენტაცია მოაწყო, ინდური „ფორს ინდია" გახლავთ. მანქანის სახელწოდებაა VJM02. შარშანდელთან შედარებით, მანქანა უფრო ნათელი ფერებით არის შეღებილი. არ გამართლდა სპეციალისტთა ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ფორს ინდიას" ბოლიდი ძალიან დაემგვანებოდა McLaren MP4-24-ს.

ასეთი ვარაუდი იმან წარმოქმნა, რომ „ფორს ინდია" 2009 წლის სეზონში „მაკლარენის" ძრავს, გადაცემათა კოლოფსა და KERS-ის სისტემას გამოიყენებს.

ფორმულა 1-ის ბრიტანულმა საჯინიბო „უილიამსმა" თავისი გუნდის „საბრძოლო შეფერილობა" წარმოადგინა. სწორედ ასეთი იქნება 2009 წლის ჩემპიონატზე ახალი ბოლიდი - FW31.

ზამთრის ტესტებზე ეს მანქანა მუქი ლურჯი იყო, მაგრამ საბოლოო ვერსიაში მას თეთრი ფერიც დაემატა, რომელიც დიდი ხანია შედის „უილიამსის" საფირმო პალიტრაში.

„უილიამსმა" ძალიან ადრე დაიწყო FW31-ის შექმნა და ამის გამო, შარშანდელი სეზონი პრაქტიკულად ჩაუვარდა, მაგრამ გუნდის შეფი **ფრენკ უილიამსი** იმედოვნებს, რომ მექანიკოსთა მონდომება ამ სეზონში გამოიღებს ნაყოფს.




ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჯოკოვიჩმა ნავსი გატეხა

**სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა** როგორც იქნა მოახერხა ამ სეზონში პირველი ტიტულის მოგება. რა თქმა უნდა, მსოფლიოს მესამე ჩოგანისთვის ეს სასიხარულო ფაქტია, მაგრამ დუბაიში მაინც ვერ მოხერხდა ნოვაკის საბრძოლო ფორმის შემოწმება, რადგან კლასიფიკაციის დიდი ოთხეულის წევრები - **რაფაელ ნადალი, როჯერ ფედერერი** და **ენდი მიურეი** ტრავმირებულები არიან.

სეზონის დასაწყისიდანვე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ჯოკოვიჩი გაურბოდა თავის ძირითად კონკურენტებთან შეხვედრას. ავსტრალიის ღია პირველობას თუ არ ჩავთვლით, დუბაის ტურნირი იყო ამ სეზონში პირველი, სადაც ნოვაკის გარდა, ტოპ-ოთხეულის მინიმუმ ერთი წევრი თამაშობდა.

ავსტრალიის ღიამდე ნადალმა, ფედერერმა და მიურეიმ დოჰაში საჩვენებელი ტურნირი ითამაშეს, სერბმა კი ამ დროს კატარის დედაქალაქს ბრისბენი არჩია. ავსტრალიის შემდეგ ფედერერმა ხანგრძლივი პაუზა აიღო, რაფამ და ენდიმ როტერდამის პრესტიჟული ტურნირის ფინალი გაითამაშეს, ნოვაკმა კი კიდევ ერთი კვირა დაისვენა და მარსელში გაემგზავრა, სადაც რანგით უფრო დაბალი ტურნირის ნახევარფინალში „ძველ მეგობარ" **ჟოვილფრიდ ცონგასთან** ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო.

მაგრამ ჯოკოვიჩი მეტს ველარ დაიმალებოდა და დუბაიში გაემგზავრა, მაგრამ მთავარ კონკურენტთაგან იქ მხოლოდ ენდი მიურეი ელოდა. ყველა ამ ორის ფინალს ელოდა, თუმცა არც აქ გაუმართლათ ჩოგბურთის მოყვარულებს. ბრიტანელს **რიშარ გასკესთან** მეოთხედფინალის წინ ვირუსული ინფექცია შეეყარა და ბრძოლას გამოეთიშა.

ასე რომ, სპეციალისტებმა ვერც ამჯერად შეამოწმეს ამ სეზონში ნოვაკის რეალური შესაძლებლობები, არადა, სერბს რაფასთან, როჯერთან და ენდისთან შარშანდელი სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია და მათთან ბოლო შეხვედრები წაგებული აქვს.

საერთო ჯამში, ჯოკოვიჩს ისლა დარჩენოდა, დუბაის ტურნირი მოეგო. ყველაფრის მიუხედავად, სერბი ქებას იმსახურებს. კრიზისში მყოფ „ჯოკერს" მაინც არ დაუკარგავს მისთვის დამახასიათებელი ბრძოლის ჟინი. თანაც, საკმაოდ რთული მეტოქეები ჰყავდა. სერბმა ორი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა ამ სეზონში ორი ტიტულის მომგებ ხორვატ **მარინ ჩილიჩთან** და ფრანგ **ჟილ სიმონთან**. ფინალში კი მკვდრეთით აღმდგარ **დავიდ ფერერთან** ითამაშა დამაჯერებლად, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ სეტში ბეწვის ხიდზე გაიარა - პარტიის ბოლოს ჯოკოვიჩმა საკუთარ მოწოდებაზე სამი ბრეიკ-პოინტი მისცა ესპანელს.

ამ გამარჯვებას რეიტინგის მხრივაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რაფამდე სერბს ძალიან ბევრი უკლია, მაგრამ მეორე ადგილზე მყოფ ფედერერთან ჩამორჩენა შემცირდა, ხოლო მეოთხე ნომერი მიურეი უფრო მეტად ჩამოიტოვა უკან.

ამ მომენტისთვის დიდი ოთხეულის წევრებიდან მიურეის ორი ტიტული აქვს, ერთი ნადალმა მოიპოვა და თანაც როგორი! ახლა ამ ჯგუფს ჯოკოვიჩიც შეუერთდა და მსოფლიოს ჩოგბურთის ლიდერთაგან უტიტულოდ მხოლოდ ფედერერია დარჩენილი.

აი, ასეთი სიტუაციაა ტოპ-ოთხეულში ამერიკის საგაზაფხულო „მასტერსების" წინ. იმ დროისთვის, ალბათ, ყველა გამოვა ჩრდილიდან და რეალურად დავინახავთ ნოვაკის შესაძლებლობებს. იმედი ვიქონიოთ, ინდიან უელსსა და მაიამიში სერბი ვერ აიცილებს ლიდერებთან შეხვედრას.

მანამდე კი მამაკაცთა ტურის თითქმის ყველა უძლიერეს ჩოგბურთელს დევისის თასზე გამოსვლა ელის. სხვათა შორის, ჯოკოვიჩის სერბეთი ნადალის ესპანეთს ხვდება და იქნებ სწორედ აქ შედგეს ამ სეზონში რაფასა და ნოვაკის პირველი დაპირისპირება.

■ ■ ■

ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირებას ახდენს **ვენუს უილიამსი**. ამერიკელმა ჩოგბურთელმა გრიგალივით გადაუარა აკაპულკოს ტურნირის მონაწილეებს და ბოლო ორ კვირაში ზედიზედ მეორე ტიტული მიითვალა.

ამ ტურნირში უფროსი უილიამსის დომინირებაზე ფინალის მსვლელობაც კარგად მეტყველებს. ვენუსის მეტოქე იტალიელი **ფლავია პენეტა** იყო, რომელმაც მცირედი წინააღმდეგობაც ვერ გაუწია ტიტულოვან მეტოქეს. ამერიკელმა პირველი მოწოდებით ქულების 90 პროცენტი მიითვალა (29-დან 26), ექვსი ცდიდან ოთხჯერ აილო მეტოქის მოწოდება, პენეტას კი მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა.

იტალიელი მექსიკის ღია პირველობის შარშანდელი ჩემპიონია. პენეტამ ამ ტურნირში უნიკალურ შედეგს მიაღწია - 2004 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ მეექვსედ (!) ითამაშა ფინალში და აქედან ორჯერ გახდა მთავარი პრიზის მფლობელი.

სხვათა შორის, ვენუსისთვის ფლავია უხერხულ მეტოქედ ითვლება. აკაპულკოს ფინალამდე პენეტას ორჯერ ჰყავდა დამარცხებული მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი, მაგრამ ამჯერად ვერ შეძლო ამ სერიის გაგრძელება. ქალთა ტურის ისტორიას ექვსი ჩოგბურთელი ახსოვს, ვისაც ვენუსი ზედიზედ სამჯერ ჰყავს დამარცხებული. ესენი არიან: **დევენპორტი, ჰინგისი, ნოვოტნა, სერენა უილიამსი, მორესმო** და **იანკოვიჩი**.

აკაპულკოში გამარჯვებისთვის უილიამსმა 37 ათასი დოლარი მიიღო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ATP**

**დუბაის ღია**

დუბაი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 233 500 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ჟილ სიმონი (საფ, 3) 3:6, 7:5, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-რიშარ გასკე (საფ) 6:2, 6:2.

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 7:5, 6:3.

**მექსიკის ღია**

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 1 226 500 დოლარი

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 4)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:4, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 2)**-ხოსე აკასუსო (არგ, 5) 6:3, 6:4.

**ფინალი**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 4)**-გაელ მონფილსი (საფ, 2) 6:4, 6:4.

**Delray Beach International**

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 576 000 ევრო

**1/4 ფინალი**

**ჟერემი შარდი (საფ, 7)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 7:6(7), 7:6(3); **კრისტოფ როხუსი (ბელ)**-შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 7:6(6); **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 6:2, 6:2; **მარდი ფიში (აშშ, 1)**-ფლორან სერა (საფ, 6) 7:6(2), 7:6(4).

**1/2 ფინალი**

**მარდი ფიში (აშშ, 1)**-ჟერემი შარდი (საფ, 7) 6:4, 6:1; **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-კრისტოფ როხუსი (ბელ) 6:1, 7:5.

**WTA**

**მექსიკის ღია**

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ვენუს უილიამსი (აშშ, 1)**-ბარბორა ზახვალოვა სტრიკოვა (ჩეხ) 6:0, 6:3; **ფლავია პენეტა (იტა, 2)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ, 4) 6:3, 6:3.

**ფინალი**

**ვენუს უილიამსი (აშშ, 1)**-ფლავია პენეტა (იტა, 2) 6:1, 6:2.

კრივი

# ჰატონმა პაკიაოს მოუგო

2 მაისს ლას ვეგასში დიდი ჩხუბია დანიშნული. ლეგენდარული ფილიპინელი **მენი პაკიაო** ცნობილ ბრიტანელ **რიკი ჰატონს** შეხვდება. შაბათს მანჩესტერში ამ ბრძოლისადმი მიძღვნილი შოუ და სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა.

მოკრივეები ერთმანეთს დარტსში შეეჯიბრნენ და გამარჯვებას ჰატონმა მიაღწია, რომელმაც მატჩის შემდეგ თავისი საყვარელი კლუბის - „მანჩესტერ სიტის" მაისურა აჩუქა პაკიაოს. ცოტა ხანში ისრების სროლაში მოკრივეების მწვრთნელები გაეჯიბრნენ ერთმანეთს - **ფლოიდ მეივეზერ-უფროსისა** (ჰატონი) და **ფრედი როუჩის** (პაკიაო) დაპირისპირება ფრედ დასრულდა.

ამის შემდეგ პრესკონფერენციის ჯერი დადგა, სადაც მოკრივეები თავიანთ გულშემატკივრებს გამარჯვებას დაჰპირდნენ.

*„რიკი ძალიან კარგი მოკრივეა, მაგრამ მე ამ ბრძოლაში გავიმარჯვებ და მოგებას მთელ ფილიპინებს მივუძღვნი", -* განაცხადა პაკიაომ, რომელიც წონითი კატეგორიის მიუხედავად, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ არის აღიარებული.

*„2 მაისს გაიცნობთ პლანეტის საუკეთესო მებრძოლს. ნახევრადსაშუალო წონაში არავის დავუმარცხებივარ. ეს ჩემი კატეგორიაა და სწორედ აქ ვამჟღავნებ ხოლმე საუკეთესო თვისებებს. ვპირდები ჩემს ფანებს, რომ ამ ბრძოლას მანჩესტერისთვის მოვიგებ", -* ეს უკვე რიკი ჰატონის სიტყვებია.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**